# საერთო გაზეთი

№38 (350) ● 2 დეკემბერი, 2015 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● WWW.SAERTOGAZETI.GE ● ფასი 1 ლარი



## დატოვებს თუ არა ნუგზარ ფოფხაძე ელისო კილაძეს, იგივე „ქინძისოს“, იმ ერთ კაბაში, რომლითაც ქუთაისიდან ჩამოვიდა?






## ნაციონალური მოძრაობა ახალგაზრდებს ხელისუფლებისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ რაზმავს

### ლევან ფანჩვიძე:

#### ვინც თუნდაც ერთ ნამდვილ მწერალს უღალატებს, ის მთელი ერის მოღალატეა!



9 აპრილს ჯარის შემოყვანა, ხალხის უმოწყალოდ ცემა და დახოცვა — აი, ამ უბედურებაში ნუგზარ ფოფხაძის ხელიც ურევია

### დავით გაგნიძე:

#### დარწმუნებული ვარ, ამ ინტერვიუს შემდეგ ვიღაც-ვიღაცები პრორუსად და „სამშობლოს მოღალატედ“ გამომაცხადებენ...



„საქართველოს ტერიტორიის 1/3 აქვს თავის დროზე მიტაცებული თურქეთს და მადლობა უნდა თქვა, იქ ქართულ სიტყვას თუ გაიგონებ, ბოლომდე გაათურქეს ეს ხალხი და თუ ჭკუას დროზე არ მოვუხმობთ, ჩვენც იგივე მოგველის.“

### ლევან ფანჩვიძე:

#### „ლეიბორისტულ პარტიას“ მისი წევრები აქტიურად ტოვებენ და „მემარცხენე ალიანსში“ გადადიან...



„ნაც-მოძრაობა“ არათუ პოლიტიკურ ველზე უნდა იყოს, არამედ უნდა გასამართლდეს!“

## საერთო გაზეთი - გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

# ირაკლი ღარიბაშვილი: დიდი იმედი მაქვს, ლევილის მამული დაუბრუნდება ქართველ ხალხს



ლევილის მამულის საქართველოსთან გადმოცემასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები ბოლო ეტაპზეა, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს პარიზში განუცხადა.

პრემიერის თქმით, რამდენიმე თვის წინ მთავრობამ, ტექნიკური დოკუმენტაციის მოწესრიგების მიზნით, დამატებითი თანხები გამოყო, რაც წლების განმავლობაში ვერც ერთმა მთავრობამ ვერ მოაგვარა.

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ პროცესში აქტიურად არიან ჩართული საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი და საქართველოს საელჩო საფრანგეთში.

მთავრობის მეთაური იმედოვნებს, რომ პროცესი წარმატებით დასრულდება.

“დიდი იმედი მაქვს, ჩვენი წინაპრების შთამომავლები ამ პროცესს დაასრულებენ და ლევილის მამული დაუბრუნდება ქართველ ხალხს, ჩვენს სახელმწიფოს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ გამოვიყენებთ ამ მამულს. ჩემი დავალებით, საინტერესო კონცეფცია შემუშავდა საფრანგეთში ჩვენი საელჩოს მიერ, რაშიც ასევე ჩართულია დიასპორის სამინისტრო. ვფიქრობთ, მას შემდეგ, რაც გადმოცემის პროცედურები მოგვარდება, მამული მივმართოთ ახალგაზრდებისთვის. ლევილი უნდა გახდეს ქართული კულტურის ცენტრი საფრანგეთის შუაში. მინდა, დავადასტურო ჩვენი სრული მზადყოფნა, რომ ეს პროცესი მივიყვანოთ ბოლომდე. ის, რაც არ გაკეთებულა 25 წლის განმავლობაში, ჩვენ რამდენიმე თვეში გავაკეთეთ“, - აღნიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

# ერდოღანი მზადაა თანამდებობა დატოვოს, თუ დადასტურდა, რომ თურქეთი ნავთობს „ისლამური სახელმწიფოსგან“ ყიდულობს

თურქეთის პრეზიდენტის რეჯეფ ტაიპ ერდოღანი ამბობს, რომ ის მზად არის თანამდებობა დატოვოს იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდა, რომ თურქეთი ნავთობს „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებისგან ყიდულობს.

დასავლური მედიის ინფორმაციით, ეს განცხადება ერდოღანმა პარიზში, კლიმატურ ცვლილებების კონფერენციის ფარგლებში ჟურნალისტებთან საუბრისას გააკეთა.



„მე აქ რაღაც ძალიან ძლიერი უნდა ვთქვა. თუ ეს დამტკიცდა, მაშინ ჩვენი ეროვნული სიამაყე მოითხოვს, რომ თანამდებობა დავტოვო“, - განაცხადა ერდოღანმა.

რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის განცხადებით, რუსულ მხარეს აქვს მტკიცებულები ფოტოების სახით, რომ “ისლამური სახელმწიფოს” კონტროლირებადი ტერიტორიებიდან თურქეთში კონტრაბანდული ნავთობი შედის.

# „საქართველო“, მხოლოდ „საქართველო“!

„საერთო გაზეთი“, თავის დროზე, ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა და მხარი დაუჭირა საქართველოს დამსახურებული ეკონომისტის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ანზორ ბაბუხადიას წინადადებას, რომ ერთხელ და სამუდამოდ, სახელმწიფო დონეზე გადაწყდეს — ჩვენს სამშობლოს მსოფლიოს ხალხთა ყველა ენაზე თავისი ისტორიული სახელი „საქართველო“ ეწოდოს და არა ისე, როგორც **ზოგან — „გრუზია“, ზოგან — „გურჯისტანი“, ზოგან — „ვრასტანი“, ზოგან — „ჯორჯია“ და ა.შ.**

კარგა ხნის წინათ, ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში აკვიატებული ეს



ანზორ ბაბუხადია

შევიტანე, დავით უსუფაშვილმა და ივანე კიღურაძემ მიიღეს გონივრული გადაწყვეტილება და ჩემი წერილი თავიანთი მოსაზრებების წარმოსადგენად გადაუგზავნეს აკადემიკოსებს — თამაზ გამყრელიძეს, როინ მეტრეველს, ავთანდილ არაბულს და ქალბატონ გუჩა კვარაცხელიას... **უფრო სწორად, ამ ოფიციალურ დავალებაში ისაა დაფიქსირებული, რაც ჩვენ, ამ ეტაპზე, სავსებით გვაკმაყოფილებს, ანუ მათ უნდა წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ „საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ჩვენი ქვეყნის სახელწოდება — „საქართველო“ — ასევე დამკვიდრდეს საერთაშორისო ურთიერთობების (ორგანიზაციების) დონეზე“.** ვიმედოვნებ, რომ მალე მეცნიერთა მიერ ამ დავალების შესრულების შედეგებზე კვლავ იმსჯელებენ საქართველოს პარლამენტის შესაბამისი სამსახურები და მიიღებენ სათანადო გადაწყვეტილებას.

**— მაინც, რას ამბობენ, ზემოთ დასახელებული ჩვენი სახელოვანი მეცნიერები?..**

— საგაზეთო ინტერვიუს ფორმატიდან გამომდინარე, ამას ასე იოლად ვერ და არ ვუპასუხებ, რადგან ყველაფერს აქვს თავისი წესი, რაც რეგულირდება „დაუწერელი“ კანონებით...

— რაღაც ორაზროვნად ლაპარაკობთ...

ლებით მნიშვნელოვანი პრობლემა აქვს გადასაჭრელი და არა მგონია, წამოყენებული წინადადება განხილვად ღირდესო“.

იმის გამო, რომ ჩემმა ნებისმიერმა ოპონენტმა საქვეყნოდ დააფიქსიროს თავისი უარყოფითი პოზიცია ამ პრობლემასთან დაკავშირებით, თანახმა ვარ, მასთან გავმართო დებატები ნებისმიერ სატელევიზიო სპეციალურ გადაცემაში.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ჩვენ არცა გვაქვს და არც შეიძლება გვქონდეს ამბიცია, რომ საერთაშორისო დონეზე „საქართველოს“ სახელწოდების აღიარება თავისთავად ნიშნავს იმას, რომ ამა თუ იმ ქვეყანამ და ხალხმა, ამა და ამ პერიოდიდან, ჩვენი ქვეყანა აუცილებლად ისე უნდა მოიხსენიონ, როგორც ამას ჩვენი ქვეყნის კონსტიტუცია ითვალისწინებს. ეს მომავლის საქმეა, რასაც ვერავინ ვერასდროს ვერავის ვერ უკარნახებს. აქედან გამომდინარე, ჩვენი წინადადების რეალიზაციას სჭირდება ქვეყნის ხელისუფლების პოლიტიკური ნება, რაც, ცხადია, არავითარი რეფერენდუმის საგანი არ შეიძლება გახდეს!

ამ პრობლემის ირგვლივ კვლავ მრავალი კითხვა გაჩნდება. გონივრულს სიამოვნებით ვუპასუხებ, მაგრამ პოლემიკაში მონაწილეობას არ მივიღებ მათთან, ვინც ამტკიცებს, რომ: „ჩვენს ქვეყანას, საერთოდ არ უნდა ერქვას „საქართველო“...

იდეა, ბოლო დროს, შეიძლება იქვას, ანზორ ბაბუხადიას „მთავარ“ საქმედ იქცა, სად არ მივიდა, ვინ არ შეაწუხა... გამოხმაურებაც უდიდესი ჰქონდა, ცნობილი მეცნიერები, მწერლობის, ხელოვნების, სპორტის აღიარებული მოღვაწენი ინტერესს იჩენდნენ ბატონი ანზორის იდეის მიმართ. ბევრი იწონებდა, ზოგი იწუნებდა, ზოგი ორჭოფობდა...

ანზორმა პრესის საშუალებით მიმართა ქვეყნის პრეზიდენტს, პრემიერს. პარლამენტის თავმჯდომარეს კი პირადად ესაუბრა.

— დავით უსუფაშვილის რჩევამ ახალი ძალა და ენერგია შემძინა, განმიმტკიცა რწმენა, რომ საქართველოს საერთაშორისო დონეზე დაერქმევა ჩვენი კონსტიტუციით დადგენილი მისი ღირსეული სახელი — „საქართველო“. **ადრე მქონდა ამბიცია, რომ ჩვენს ქვეყანას მსოფლიოს ხალხების ყველა ენაზე დარქმეოდა ეს სახელი, მაგრამ ამდენმა შეხვედრამ, განსჯამ, რჩევამ, დავა-კამათმა ჩემი იდეა უფრო დააკონკრეტა და ეს რამდენჯერმე დავაფიქსირე კიდეც, რომ ამ ეტაპზე სავსებით მოსალებია, ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო დონეზე ეწოდოს მისი ღირსეული და საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი სახელი „საქართველო“.**

**— ესე იგი, როგორც ჩანს, წინსვლა არის, ხომ?..**

— მაშ... ამ საკითხთან დაკავშირებით, პარლამენტში რომ წერილი

**— ამ საშვილიშვილო საქმეს, ნამეტანი სააზროვნო და სათუო არაფერი აქვს... ყველას მოეკითხება...** ძალზე კმაყოფილი დავრჩები, თუ უახლოეს ხანში, რამდენიმე წუთით მაინც, კვლავ მომეცემა პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრის საშუალება, სადაც ბევრი რამ გაირკვევა და გაიოლდება საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

**— იქნებ უარყოფითად გადაწყდეს? პარლამენტში აუცილებლად იქნება აზრთა სხვადასხვაობა...**

— ვინც მხარს არ დაუჭერს, მათ გასაგონად აქვე ვიტყვი, რომ თითოეული პარლამენტარი ვალდებულია, პატივი სცეს თავისი ქვეყნის კონსტიტუციას, რომელშიც შავით თეთრზე წერია, რომ ამ ქვეყანას ათადან და ბაბადან ეწოდება „საქართველო“!

ამ ხნის განმავლობაში ბევრმა აშკარად გამოამჟღავნა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება აღნიშნული პრობლემისადმი. ერთმა პოპულარულმა ენათმეცნიერმა მეგობართა ვიწრო წრეში განმიცხადა: „ვიდრე ცოცხალი ვარ, ამ საკითხის გადაწყვეტას ვერ ეღირსებიო“, უფრო მეტიც, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ერთმა პროფესორმა ოფიციალურ დოკუმენტში ისიც კი ჩაწერა, რომ „ამ საკითხის დაყენება არასერიოზულია“. ან კიდევ, „საქართველოს ბევრი სხვა, გაცი-

„უცხოელს გაუჭირდება სიტყვა „საქართველოს“ წარმოთქმა“... „ახლა ამის დრო არ არის“... „ფინანსურად ძვირი დაჯდება ამ წინადადების რეალიზაცია“... და სხვ.

**— აბა, თქვენ იცით!..**

საქმე ისაა, რომ ჩვენი შეხვედრა განაპირობა წიგნმა-ალბომმა „დიახ, „საქართველო“ არის ესე!“, რომელიც საჩუქრად გადმომცა ბატონმა ანზორ ბაბუხადიამ. ამ ულამაზეს კრებულში მას შეუტანია ყველაფერი, რაც მრავალი წლის მანძილზე ამ იდეის გარშემო თქმულა პრესით, რადიოთი, ტელევიზიით...

ანზორი ბეჭდავს ყოველგვარ აზრსა და გამოხმაურებას, რომელთა ავტორები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი ცნობილი ადამიანები, ინსტიტუტების, აკადემიების, სამინისტროების ხელმძღვანელები არიან, მასმედიაა...

ანზორ ბაბუხადია თავის შვილიშვილებს, ანუ მომავალ თაობას უძღვნის ამ კრებულს და იმედიანად წერს: „ჩვენ, მეოცესაუკუნელები ამ დიდი ეროვნული იდეის განხორციელებას თუ ვერ მოვესწარით, ჯერი თქვენზეა.

თქვენ და თქვენმა თაობამ არ დაივიწყოთ სამი წმინდა ხატება: „საქართველო“, „ქართველი,, და „ქართული“.

ღმერთმა გისმინოთ, ჩვენო ანზორ!

**ვილენ მარდალეიშვილი**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილა[a]
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სი[ტ]ყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს- 58

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# „ლეიბორისტულ პარტიას“ მისი წევრები აქტიურად ტოვებენ და „მემარცხენე ალიანსში“ გადადიან...



„მემარცხენე ალიანსის“ პოლიტიკური მდივანი, ბატონი **პაატა ჯიბლაძე**:

**— ბატონო პაატა, „ლეიბორისტული პარტიის“ წევრი და აქტიური პოლიტიკური ფიგურა ბრძანდებოდით წლების განმავლობაში, ბოლო ხანებში არ ჩანდით. ამბობდნენ, რომ პოლიტიკას ჩამოშორდით. ახლახან „მემარცხენე ალიანსში“ გამოჩნდით. „ალიანსთან“ ითანამშრომლებთ?**

— დიდი მადლობა, რომ კიდევ ერთხელ მომეცა საშუალება თქვენს მკითხველებს ვუთხრა ჩემი სათქმელი.

თქვენი ნებართვით, ჯერ მივულოცავ ყველას დამდეგ ახალ წელს და შობას, რადგან არ მგონია, ახალ წლამდე კიდევ მომეცეს შესაძლებლობა „საერთო გაზეთიდან“ ახალი წელი მივულოცო ქართველ ხალხს.

ახლა თქვენს კითხვაზე გიპასუხებთ.

2012 წელს, როცა კოალიციამ გაიმარჯვა და პრემიერ-მინისტრი გახდა ბიძინა ივანიშვილი, „ლეიბორისტული პარტიის“ პოლიტსაბჭოს 8 წევრიდან ექვსმა პარტია დავტოვეთ, იმ ექვსში ერთი მეც ვიყავი. მაშინ „ლეიბორისტული პარტიის“ აღმასრულებელი მდივანი გახლდით.

შემდეგ მოხდა ისე, რომ ჯანმრთელობის პრობლემები შემექმნა, ოპერაცია გავიკეთე, რომ გამოვჯანმრთელდი, მუშაობა დავიწყე და დღემდე ვმუშაობ. ერთ-ერთ მშენებლობაზე მენეჯერად. მე ფული სააკაშვილთან ვაჭრობით არ მიშოვნია, ყოველთვის ვმუშაობდი და ახლაც ვმუშაობ.

ყველა ვხედავთ, მემარცხენე იდეების როგორი დისკრედიტაცია მოახდინა ნათელაშვილმა. რის გამოც მემარცხენე იდეოლოგიის პარტიები, ფაქტობრივად, გამარგინალდნენ.

მე, ჩემს მეგობრებთან ერთად, ათეული წლების განმავლობაში ვიბრძოდით მოსახლეობის სოციალური ინტერესების დაკმაყოფილებისთვის, ჯანდაცვა, სოციალური პრივილეგიები, ადამიანის უფლებები და ა.შ. ჩვენი საქმიანობის მთავარი სფერო იყო. მე ყოველთვის ვიდექი მათ გვერდით. თუმცა რაც მოხდა ნათელაშვილთან დაკავშირებით, რაც გაირკვა, რომ მან გაყიდა პარტია, გაგვყიდა ჩვენ და საკუთარი თავიც, გული გამიტყდა. პოლიტიკას ჩამოვშორდები-მეთქი, ვფიქრობდი კიდევაც.

**— მაგრამ 2014 წელს არჩევნებში მონაწილეობა მაინც მიიღეთ.**

— დიახ, 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებში მივიღე მონაწილეობა, როგორც უპარტიო დეპუტატმა გაერთიანებული ოპოზიციის სახელით, ჩემთვის სრულიად უცხო რაიონში — გლდანში. ჩემდა გასაკვირად, მაშინ 1300-მდე ხმა მივიღე, რისთვისაც კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მინდა ვუთხრა გლდანის მოსახლეობას ნდობისთვის. როგორც გითხარით, უპარტიო კანდიდატი ვიყავი მაშინ და არც ვფიქრობდი პოლიტიკურ ცხოვრებაში კვლავ ჩაბმას, მაგრამ ორი კვირის წინანდელი მოვლენები ბოლო წვეთი იყო ჩემთვის. მიხეილ სააკაშვილი,. ეს წმინდა წყლის კრიმინალი გამოვიდა და მთელ საქართველოს მუქარით განუცხადა, რომ დაბრუნდებოდა ხელისუფლებაში და მის მოწინააღმდეგეებს დაანახებდა, რა არის სინამდვილეში დემოკრატია. ამან გადამაწყვეტინა მივსულიყავი კვლავ იმ ადამიანებთან, რომლებთანაც ორ ათეულ წელზე მეტია ვიბრძვი. „მემარცხენე ალიანსს“ შევუერთდი „ნაციონალური მოძრაობის“ საბოლოოდ დასამარხავ ბრძოლაში. იმ ოპოზიციური ძალებისგან განსხვავებით, რომლებიც „ნაცმოძრაობისგან“ იმართებიან, მათგან იკვებებიან, მათი სატელიტები არიან სინამდვილეში.

„ნაცმოძრაობა“ არათუ პოლიტიკურ ველზე უნდა იყოს, არამედ უნდა გასამართლდეს, შემდეგ მისი საქმიანობიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილებით, უნდა აიკრძალოს, ვინაიდან ყველა პოლიტიკურ ძალას, რომლებიც ხელისუფლებაში მოვა, ან პრეტენზია ექნება ხელისუფლებაში მოსვლის, უნდა ჰქონდეს იმის შიში, რომ დანაშაულებების გამო, თუ ჩაიდენს თავისი მმართველობის პერიოდში, გასამართლებული იქნება და პასუხს აგებს.





**— ზემოთ „ნაცმოძრაობის“ სატელიტი, თქვენი სიტყვებით, ვაიოპოზიციური პარტიები ახსენეთ, ვის გულისხმობთ?**

— ყველამ დავინახეთ „რუსთავი-2“-ის და ვითომ სიტყვის თავისუფლების დასაცავად რომ მივიდნენ იმ ტელეკომპანიის ვითომ დასაცავად, რითაც საკუთარი თავი და ორიენტაცია, ფაქტობრივად, გაშიფრეს. ჩამოგითვლით ყველას, ოღონდ არ მინდა, რომელიმე გამომრჩეს და ამიტომ არ დავასახელებ. ნათელაშვილის გარდა იქ იყო დავითაია, ქარდავა და სხვები, არ მინდა ვინმე გამომრჩეს, გაიხსენეთ, ვინ ექომაგებოდა „რუსთავი-2“-ს, „ნაცმოძრაობის“ ტელევიზიას. ისიც არ დაგავიწყდეთ, შალვა ნათელაშვილს გვერდს რომ უმშვენებდა კობა ხაბაზი, კაცი, რომელსაც ადრე ნათელაშვილი ტაკიმასხარას ეძახდა.

მოხარული ვარ, რომ დაინიშნა ახალი გენერალური პროკურორი, რომელიც აცხადებს: აღვადგენ სამართლიანობასო. ძალიან კარგი იქნება, თუ თავისი სახელი დაერქმევა გლდანის ეკლესიის დარბევის საკითხს, რომელშიც **ახალაია, სანოძე, მერაბიშვილი, ადეიშვილი, ბარამიძე** და სხვები მონაწილეობდნენ, კარგი იქნება თუ ქუჩებში უდანაშაულოდ დახვრეტილების საქმეები ხელახლა გადაიხედება, 7 ნოემბრის, 26 მაისის საკითხებს განიხილავენ, უკანონოდ ჩამორთმეულ ქონებებს დაუბრუნებენ მფლობელებს.

ღმერთმა ქნას, ასე იყოს.

დიდი იმედი მაქვს, რომ ქართული მართლმსაჯულება „ნაცმოძრაობის„ მიერ ჩადენილ ყველა კრიმინალურ ქმედებას გამოიძიებს, დაჰკითხავენ სააკაშვილს. ეს უკანასკნელი კი თავისი საქმეების თანამონაწილედ, სავარაუდოდ, შალვა ნათელაშვილსაც დაასახელებს. დასახელდება ყველა დავალება, რის გამოც გადაუხადეს თანხები „ნაცმოძრაობის“ სატელიტი პარტიების ლიდერებს. ლიდერებს ვამბობ იმიტომ, რომ სააკაშვილთან ბინძურ გარიგებაში პარტიის ლიდერები შედიოდნენ, თორემ პარტიებში ბევრი პატიოსანი ადამიანია, რომლებიც არაფრის ფასად არ გაურიგდებოდნენ სააკაშვილს.

„მემარცხენე ალიანსის“ კარი ღიაა ყველა იმ ადამიანისთვის, ლეიბორისტი იქნება თუ სხვა შეხედულების მქონე, ვისაც სურს რეალურად იბრძოლოს ჩვენთან ერთად.

გასულ კვირას ჩვენთან მოვიდნენ „ლეიბორისტული პარტიის“ წევრები რეგიონებიდან და შემოგვიერთდნენ.



**ზესტაფონის რაიონის ლეიბორისტული პარტის ყოფილი თავმჯდომარე, ამჟამად „მემარცხენე ალიანსის“ წევრი, ბატონი დავით გამცემლიძე:**

— რამდენიმე დღის უკან გავაკეთე განცხადება „ლეიბორისტული პარტიის“ დატოვების შესახებ და შევუერთდი „მემარცხენე ალიანსს“. „ალიანსელები“ ჩემი ძველი მეგობრები და თანამებრძოლები არიან. წლების განმავლობაში მათთან ერთად ვიყავი „ლეიბორისტულ პარტიაში“ და ვიცი, ახლაც ვისთან მივედი. იმის შიში მაინც არ მექნება, 10 წელიწადი რომ ვებრძოდი, იმ „ნაცმოძრაობასთან“ რაიმე გარიგებას შეკრავს „მემამრცხენე ალიანსი“, როგორც ეს შალვა ნათელაშვილმა გააკეთა.

**— რა გაძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ შალვა ნათელაშვილი კავშირშია „ლეიბორისტულ პარტიასთან“? რაიმე სახის ახალ ინფორმაციას ხომ არ ფლობთ?**

— მეტი ახალი რაღა გინდათ, შალვა ნათელაშვილი „თავისუფალ ზონასთან“ და კობა ხაბაზთან ერთად ფოტოებს იღებს და მათ მიტინგებს უერთდება?!

ალალად გეუბნებით, პირადად ჩემი გადაწყვეტილება იყო „ლეიბორისტული პარტიიდან“ წამოსვლა, შალვა ნაცებთან მეგობრობს. მანდ გაჩერება უკვე აღარ შეიძლებოდა.

**— მხოლოდ თქვენ თქვით უარი პარტიის წევრობაზე თუ სხვებიც შეუერთდნენ თქვენს ინიციატივას?**

— ზესტაფონის ორგანიზაციის ბევრ წევრს მოეწონა ჩემი ნაბიჯი. ბევრი აპირებს დატოვოს პარტია.

**ირანდა კალანდაძე**
593 561 118



## ლევან ფანჩვიძე:

# ვინც თუნდაც ერთ ნამდვილ მწერალს უღალატებს, ის მთელი ერის მოღალატეა!

## 9 აპრილს ჯარის შემოყვანა, ხალხის უმოწყალოდ ცემა და დახოცვა — აი, ამ უბედურებაში ნუგზარ ფოფხაძის ხელიც ურევია

გვესაუბრება პოეტი
**ლევან ფანჩვიძე**

**— ლევან, რა მდგომარეობაშია ქართული მწერლობა? როგორ, რა მიმართულებით ვითარდება? ლიტერატურის დაცემის ტენდენცია აშკარაა, ხომ მეთანხმებით?**

— ქართული მწერლობის დაკნინება ახლა არ დაწყებულა. ეს არის ტენდენცია, რომელიც დაიწყო გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან და ამ საქმეში ლომის წილი „მოქალაქეთა კავშირის" „რეფორმატორთა" ფრთას უძევს.

„რეფორმატორები" იყვნენ ახალგაზრდა პოლიტიკოსთა ჯგუფი, რომლებმაც დასავლური ძალების დახმარებით განათლება მიიღეს ევროპასა და ამერიკაში იმ მიმართულებით — როგორ ჩაეგდოთ ხელში ხელისუფლება.

**გამსახურდია** რომ გააგდეს საქართველოდან, მაშინ მოხდა ქართველი ერის პირველი გახლეჩა. მწერლებს შორისაც მაშინ მოხდა პირველი განხეთქილებები. რამდენიმე ოჯახიც დაინგრა იმ პერიოდში — ცოლ-ქმარი ერთმანეთს დაუპირისპირდა პოლიტიკურ ნიადაგზე.

**შევარდნაძემ** საქართველოში ჩამოსვლისთანავე მოინდომა გარშემო შემოეკრიბა მწერალთა ჯგუფი. მაგრამ მანამდე, როცა მასთან ინტერვიუზე მოსკოვში **ვალერი კვარაცხელია** ჩავიდა, ჰკითხა შევარდნაძეს: საქართველოში ჩამოსვლისას პირველს ვის შეხვდებითო. **შოთა ნიშნიანიძე**ს, ის არის ჩემი საუკეთესო მეგობარიო, უპასუხია შევარდნაძეს.

ცხონებული შოთა ნიშნიანიძე მერე მიყვებოდა: მანამდე რომ არავის ვახსოვდი, ერთ დღეს ჩემს ოჯახს უამრავი უცნობ-ნაცნობი მოაწყდა, ზოგს საჩუქრები მოჰქონდა, ზოგი — რესტორანში მეპატიჟებოდა, ჩემი მეუღლეც გაკვირვებული იყო — რა ხდება ჩვენს თავს, როგორ ერთბაშად გაახსენდი და შეუყვარდი ყველასო.

იმ ხანებში დენი ხშირად ითიშებოდა, მე არ მინახავს. ტელევიზიით შევარდნაძის ინტერვიუ გასულა, შევარდნაძეს უთქვამს: თბილისში რომ ჩავალ, პირველად ჩემს მეგობარ შოთა ნიშნიანიძეს მოვინახულებო. ეს რომ გავიგე, მაშინ მივხვდი, რატომ მომაწყდა ამდენი ხალხიო, მითხრა ბატონმა შოთამ.

შევარდნაძე ჩამოვიდა საქართველოში, მაგრამ შოთა ნიშნიანიძე არ შეხვდა მას...

შევარდნაძის ჩამოსვლის შემდეგ საინტერესო მოვლენები მოხდა. **მუხრან მაჭავარიანს ზვიად გამსახურდიას** ერთგულების გამო ზურგი შეაქციეს ერთ დროს მისმა ძმაკაცებმა...

ამით იმის თქმა მინდა, რომ ქართული მწერლობის გახლეჩა ჯერ მოხდა ზვიადისტებად და შევარდნაძისტებად და მერე „რეფორმატორთა" ჯგუფის მიერ მწერლობის სრულმა უგულებელყოფამ სერიოზული დარტყმა მიაყენა ქართულ მწერლობას.

ქართული მწერლობის დისკრედიტაცია კარგად იყო ასახული არასამთავრობო ორგანიზაცია „კმარას" გეგმებში. ამ გეგმის ჩამონათვალი ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა გადმომცა 2003 წელს. იქ ნათლად ჩანდა სტრატეგია, როგორ დაეპირისპირებინათ ერთმანეთისთვის მწერლები, როგორ მოეწყოთ შოუები ტელევიზიით, როგორ წაეკიდებინათ ერთმანეთისთვის შოუბიზნესის წარმომადგენლები, რომ დაეკნინებინათ ისინი.



90-იან წლებში „სული ამოხდა" ლიტერატურულ გამოცემებს: „საუნჯეს", „მნათობს", „ცისკარს".

ხალხს, ფაქტობრივად, ისედაც აღარ ეცალა ლიტერატურისთვის, პოლიტიკა იმდენად მნიშვნელოვანი გახდა, რომ საზოგადოებას სხვა რამე უკვე აღარ აინტერესებდა.

კულტურას ფინანსური საფუძვლები გამოაცალეს და დასაღუპად გასწირეს.

**როგორია ესა თუ ის ხელისუფლება, იქიდან ჩანს, როგორ მიუდგება ქართული კულტურისა, მწერლობისა და ლიტერატურის საკითხს.**

მე შარშან წარვადგინე კულტურის სამინისტროში ჩემი წიგნი. 3500 ლარს ვითხოვდი, რომ დაეფინანსებინათ გამოცემა. ჩემი კრებული არ დაფინანსდა და მისი ბედი გადაწყვიტა ერთმა ადამიანმა — **მანანა ბერიკაშვილმა**. არადა, წიგნი კომისიას უნდა ენახა, განეხილათ და დასკვნა ისე გამოეტანათ.

არაპროფესიონალიზმი არის ყველგან და უფრო მეტად არაპროფესიონალიზმი და უცოდინარობა კულტურის სფეროს აზარალებს.

**— თქვენ რას აკეთებთ, როგორ ცხოვრობთ?**

— მე ორი გაზეთი — „ალიონი" და „არგუმენტი" დამიხურა სააკაშვილის ხელისუფლებამ. ორივე საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა იყო და არ აწყობდა ნაციონალურ რეჟიმს.



შოთა ნიშნიანიძე

ვინ უნდა წამოაყენოს ფეხზე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცნობიერება თუ არა ხელისუფლებამ, რომელიც კანონიერად დააფინანსებს და ხელს შეუწყობს საზოგადოებრივ-ლიტერატურული გამოცემების არსებობას ქვეყანაში.

კულტურის სამინისტრო რა თანხებსაც ხარჯავდა და ხარჯავს უცხოელი მომღერლების და შოუ-ბიზნესის სხვა წარმომადგენლების ჩამოყვანისთვის საქართველოში, იმ თანხის ნაწილი მწერლობისთვის რომ დაიხარჯოს, ფეხზე წამოდგება ქართული ლიტერატურა.

მწერალს ლუკმა-პურისთვის უწევს ხელი გაიშვიროს, როცა მას სახელმწიფო უნდა ეხმარებოდეს.

ორი შვილი მყავს. ბავშვი რომ მთხოვს, კანფეტი მიყიდეო და ვერ ვყიდულობ, სულიერად, მორალურად, როგორ ვიქნები, წარმოიდგინეთ...

მაგალითად მოვიყვან ბატონ ვახტანგ ხარჩილავას. მას 1984 წლიდან ვიცნობ. უნიჭიერესი პოეტი და პუბლიცისტია, შესანიშნავი, გამორჩეული კრიტიკოსი გახლდათ, იმის მაგივრად, რომ ის ქართულ ლიტერატურად ემსახურებოდეს, მისი ნიჭი იხარჯება პოლიტიკურ გამოცემებში. ჩემი აზრით, ეს ტრაგედიაა.

ასეთი ადამიანების ლიტერატურისგან ჩამოშორებამ გამოიწვია უნიჭობის აღზევება.

დეფი რომ არის ვიღაც, მარაზმია მთელი მისი ნამოქმედარი, არადა, გამოჰყავთ ტელევიზიით ხალხის წინაშე და ათქმევინებენ იმას, რასაც დაუკვეთავენ.

უნიჭოები უნდა წამოსწიონ, რომ მორალურად გაგვტეხონ და დაგვაკნინონ. აი, ასე ვცხოვრობთ მწერლები.

**— საქმე ის გახლავთ, რომ იმ დროშიც — პოსტკომუნისტურ ეპოქაშიც და ახლაც თავი გადაირჩინეს იმ ადამიანებმა, რომლებიც ძირს უთხრიდნენ და ახლაც უთხრიან ქვეყანას.**

— არ ვიცი, კონკრეტულად ვინმე იგულისხმეთ თუ არა, მაგრამ ახლა ძველი ფუნქციონერი **ნუგზარ ფოფხაძე** გამახსენდა, რომელიც ახლაც თურმე ჟურნალისტური კადრების ე. წ. აღზრდის საკითხში

➤

აქტიურობს. თავის დროზე გასაგებია და ახლაც შეუძლებელია მან წესიერი, მოქალაქებრივი შეგნების კადრები გაზარდოს.

წლების წინ გამოდიოდა გაზეთი „შანსი“. მე მის რედაქტორად ვმუშაობდი გარკვეულ ხანს. ერთხელ ჩემი ჟურნალისტი გავაგზავნე **შოთა გორგოძესთან**, ყოფილ შს მინისტრთან ინტერვიუზე, რომელიც იმ ხანებში პოლიციის აკადემიის რედაქტორად მუშაობდა და კორუფციაში ადანაშაულებდნენ. მისმა მოადგილემ რედაქციაში დოკუმენტების დასტა მომიტანა. მე დავბეჭდე ყველაფერი „შანსში“. რთულ ვითარებაში იყო გორგოძე, ჟურნალისტებს არ ღებულობდა, „შანსის“ ჟურნალისტს ხომ, საერთოდ.

მარტის ბოლო იყო, კარგად მახსოვს, 9 აპრილის წლისთავი მოდიოდა და ჟურნალისტს ვუთხარი: 9 აპრილის თემაზე ესაუბრე გორგოძეს და კორუფცია თანდათან შეაპარე-მეთქი. ზუსტად მაშინ ჩემს ჟურნალისტთან შოთა გორგოძეს დასცდა, გორბაჩოვმა და შევარდნაძემ პირდაპირ დამირეკეს მე, როგორც მინისტრს და დამავალეს — დავალებები მიიღეთ მხოლოდ ნუგზარ ფოფხაძისგან. პატიაშვილს ამ საკითხში ნუ დაემორჩილებითო.

9 აპრილს ჯარის შემოყვანა, ხალხის უმოწყალოდ ცემა და დახოცვა — აი, ამ უბედურებაში ნუგზარ ფოფხაძის ხელიც ურევია.

მისი გამოსვლებიც რომ ნახოთ საქართველოს მაშინდელი მთავრობის სხდომაზე ინტერნეტში, დარწმუნდებით ამაში. ტრიბუნაზე მუშტს ურტყამს და ხალხის დასჯას ითხოვს 9 აპრილს.

**ნუგზარ ფოფხაძე** უშუალოდ შევარდნაძისგან ღებულობდა დავალებებს საიდუმლოდ, რადგან **ჯუმბერ პატიაშვილს** და **ედუარდ შევარდნაძეს** იმ პერიოდში დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ.

ფოფხაძის გაზრდილი ჟურნალისტი როგორი უნდა იყოს. კარგით, რა.

**შოთა გორგოძე** ამბობს ყველაფერს იმ ინტერვიუში. აგერ არის გორგოძეც და ის ჟურნალისტიც.

ის ქალბატონიც გეტყვით, ბატონმა შოთამ მაშინ თქვა: შევარდნაძემ დარეკა, გორბაჩოვიც საქმის კურსშია, თქვენც და გივი გუმბარიძეც (პატიაშვილის მოადგილე — ი.კ.) მხოლოდ ფოფხაძის დავალებებს დაემორჩილეთო.

ეს საკითხი გამოსაძიებელია და ნუგზარ ფოფხაძე ჟურნალისტებს კი არ უნდა ზრდიდეს, პასუხისგებაში უნდა მიეცეს მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევისა და დახოცვის ნებართვის გაცემისთვის. მიკვირს, როგორ არ აწუხებს ის სისხლი, რაც იმ დღეს მისი თანხმობით დაიღვარა.

**— აქამდე რატომ არავის არ უთქვამს და არ დაინტერესებულა ამ თემით, ძალიან მიკვირს.**

— საქმე იმაშია, ჩემო კარგო, რომ ედუარდ შევარდნაძეს თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავდა კრიმინალთა ჯგუფი, რომლებიც, ფაქტობრივად, ყველაფერზე იყვნენ წამსვლელი ფულისა და ძალაუფლების გამო. შევარდნაძე თავისუფლად წირავდა ამ კრიმინალური ბანდის წევრებს, ისე, როგორც გაწირა **ხაბეიშვილი** და სხვებიც. ფოფხაძე სასჯელს გადაურჩა მაშინ და თავგასული ახლაც არ ისვენებს თურმე.

**— ლევან, როგორც სულხან-საბა იტყოდა, მოდი, „პირველ სიტყვასა მოვიდეთ“. წელან არ დაამთავრეთ, რატომ არ შეხვდა შოთა ნიშნიანიძე ედუარდ შევარდნაძეს?**

— ისე გარდაიცვალა **შოთა ნიშნიანიძე, ედუარდ შევარდნაძეს** არ შეხვედრია.

როცა გარდაიცვალა ბატონი შოთა, შევარდნაძემ სპეციალურად დაურეკა



**თამაზ წივწივაძეს**, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო მაშინ ბატონი თამაზი და უთხრა: გადაწყვიტეთ, დავასაფლავოთ თუ არა მთაწმინდაზე შოთა ნიშნიანიძეო. დამკრძალავი კომისიის წევრებმა შემოიხიეს ტანსაცმელი — რას ჰქვია, მთაწმინდაზე ასაფლავებენო. გაიქცნენ შევარდნაძესთან და სასტიკი უარი უთხრეს შოთა ნიშნიანიძის მთაწმინდაზე დასაფლავებაზე. შევარდნაძესაც ეს უნდოდა, ისედაც კარგად იცოდა, კომისიის წევრები წინაალმდეგნი რომ წავიდოდნენ. მერე დიდუბის პანთეონი გადაწყდა, მაგრამ ამაზეც ერთი ამბავი შეიქნა, დიდუბეში, პანთეონში, ადგილი არ არისო, ვაკეში ან საბურთალოს სასაფლაოზე დავასაფლავოთო. დიდი ამბის შემდეგ, როგორც იყო, გამონახეს ადგილი შოთა ნიშნიანიძისთვის დიდუბის პანთეონში.

ასეა საქმე. ჩემო კარგო.

ვინც დამსმენია, ჩამშვებია და მოღალატეა ერთი ნამდვილი ქართველი მწერლის, ის მთელი ერის მოღალატეა.

თქვენ, ჩემო ირანდა, ალბათ, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე გინდოდათ ჩემთან საუბარი და მე ლიტერატურას ვერ მოვწყდი. რა ვქნა, მენატრება ლიტერატურაზე საუბარი. ლექსები მინდა რომ ვწერო, მე კი დავდივარ და ვიღაცებს ვთხოვ, სამსახური მაშოვნინონ. ასეთი ცხოვრება დადგა, რას იზამ?!

**ირანდა კალანდაძე**
593 561 118

# „ქრონიკა+“-ის რედაქტორის ელისო კილაძის გასაგონად

„საერთო გაზეთის“ მთავარ რედაქტორს ვახტანგ ხარჩილავას ჩემი თავგამოდებული ლანძღვა დაუფასეს და მისი შვილები დაასაქმესო, — წუხს ფეისბუკში ქალბატონი ელისო კილაძე და ხან კახა კახიშვილს „მიუვარდება“ საქმის გასარჩევად და ხან — სანდრო ბრეგაძეს (რომელსაც, რატომღაც ბრეგვაძედ მოიხსენიებს): მეგობრები მეგონეთ და ეს რა გიქნიათ, ჩემი გამლანძღველის შვილები მიგიღიათ სამსახურშიო.

დავიწყოთ იმით, რომ მე ელისო კილაძე არასდროს გამილანძღავს და არასროს გადავსულვარ მის მიმართ კორექტულობის ზღვარს, მიუხედავად იმისა, რომ ათასგვარ სისულელეს და სიბინძურეს თხზავს ჩემზე.

დიახ, არასდროს გამილანძღავს ქალბატონი კილაძე თუმცა, რომც გამელანძღა, ვეჭვობ, ამის გამო ვინმეს რაიმე შეღავათი გაეწია ჩემთვის.

ასე რომ იყოს, ნახევარი საქართველო ლანძღავს ქალბატონ კილაძეს (ლანძღვა რბილად ნათქვამია) და ამ „ლოგიკით“, ნახევარი საქართველო დასაქმებული უნდა იყოს.

რაც შეეხება ჩემი შვილების დასაქმებას, ისინი მაღალ თანამდებობებზე კი არა (როგორც კილაძე ამბობს), სრულიად უმნიშვნელო თანამდებობებზე გაცილებით ადრე დაინიშნენ, სანამ „საერთო გაზეთი“ კილაძესთან პოლემიკას განაახლებდა.

ამ ქალბატონს, ეტყობა, დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე და ჰგონია, ყველა სახელმწიფო სტრუქტურამ მას უნდა შეუთანხმოს ვის სად დანიშნავენ, ვის მოხსნიან და ვის დაიჭერენ?!

ქალბატონი ელისო და მისი „მედიაპადელნიკები“ ერთი პერიოდი ძალიან ცდილობდნენ, საქმე ისე წარმოეჩინათ, თითქოს „ქრონიკა+“ ბიბლიასავით მუდმივად წინ ედოთ ხელისუფლების მაღალჩინოსნებს და მასში დაბეჭდილი რეკომენდაციების და წინადადებების მიხედვით იღებდნენ საკადრო გადაწყვეტილებებს.

თუმცა, როგორც ყველა ტყუილს, კილაძის მიერ აბუქებულ ამ ტყუილსაც მალე გამოუჩნდა მოკლე ფეხები და ის ავანტიურისტული სქემა გაიშიფრა, რომლითაც ვიღაც-ვიღაცების დაშინებას და თავისი ყოვლისშემძლეობის რეკლამირებას ცდილობდა „ქრონიკა+“-ის რედაქტორი.

ელისო კილაძე ისე ხშირ-ხშირად მიწოდებს „მოხუც მწერალს“, როგორც ჩანს, ამ ორი სიტყვიდან ერთი-ერთი (თუ ორივე არა) სალანძღავი სიტყვა ჰგონია.

ჰოდა, ახლა კარგად მომისმინეთ, ქალბატონო კილაძევ — მე, „მოხუცი მწერალი“, გპირდებით, თქვენს მიერ ჩემი მისამართით გავრცელებულ ყველა ბინძურ ჭორსა და ცილისწამებაზე პასუხის გაცემა მოგიწევთ, ოღონდ მოგიწევთ პროკურატურაში, რადგან თქვენი უტიფარი მონაჩმახი პატივისა და ღირსების შელახვის ფარგლებს სცილდება და სისხლის სამართლის დანაშაულის ელემენტებს შეიცავს.

თუ რატომ შეიცავს მისი საქციელი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, ამას იურისტი კილაძე პროკურატურაში ძალიან მალე გაიგებს...

**ვახტანგ ხარჩილავა**

## თურქეთის მიერ რუსული სუ-24-ის ჩამოგდებაზე პასუხისმგებლობას რუსეთი ნატო-ს აკისრებს



ნატო-ში რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა ალექსანდრ გრუშკომ ალიანსის გენერალური მდივნის მოადგილესთან ალექსანდრ ვერბშოუსთან შეხვედრაზე მოიყვანა მონაცემები, რომლებიც, მისი თქმით, ადასტურებს რუსულ „სუ 24“-ზე თურქეთის მიზანმიმართულ თავდასხმას.

„მე მქონდა საუბარი ნატო-ს გენერალური მდივნის პირველ მოადგილესთან ვერბშოუსთან სუ-24-ის ინციდენტთან დაკავშირებით. ის არ განისაზღვრა იმ ასპექტებით, რომლებიც გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა ახსენა. მე წარვუდგინე ინციდენტთან დაკავშირებით რუსული შეფასებები, მოვიყვანე იმ სამხედრო და პოლიტიკური ფაქტორების თავისებურებები, რომლებიც ადასტურებს რუსულ თვითმფრინავზე თავდასხმა წინასწარ განზრახულ ხასიათს ატარებდა“, - მოჰყავს რუსულ მედიას გრუშკოს განცხადება.

ამასთან, როგორც ნატო-ში რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა აღნიშნა, ნატო-მ „პოლიტიკურად ხელი დააფარა“ ანკარას რუსული სუ-24-ის განადგურების გამო, ამიტომ, ალიანსი ინციდენტთან დაკავშირებით პასუხისმგებელია.

„ნატომ, როდესაც არ მისცა პრინციპული შეფასება უკანონო ქმედებას, ამით პოლიტიკურად ხელი დააფარა ანკარას - ალიანსის წევრს და ამით პასუხისმგებელია ინციდენტის გამო“, - განაცხადა გრუშკომ.

„საერთო გაზეთის“ სტუმარია პარტია „საქართველოს მშვიდობისათვის“ თავმჯდომარე, გენერალი **დავით თევზაძე:**



# დავით თევზაძე:

# „სამწუხაროდ, ხიდს ქვეყანასა და იმ თაობას შორის, რომელიც ამ ქვეყნის სამართავად მოდის, ჩვენივე ხელით ვსპობთ!“

**— ბატონო დავით, ამ ფონზე, რამდენად მატულობს საფრთხეები როგორც ქვეყნის შიგნიდან ისე გარედან და რამდენად მზადაა საქართველო შესაძლო გამომწვევ რისკებს გაუძლოს? რა გავლენას იქონიებს ჩვენზე მსოფლიოში მიმდინარე პროცესები?**

— იმ გადმოსახედიდან, როცა საქმე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მომხდარ ტერორისტულ აქტებს ეხება, ამ ეტაპზე, გარე და შიდა საფრთხეებად დაყოფა, პირობითია, ვინაიდან, თუ საქართველოში რაიმე ტერორისტული აქტი განხორციელდა, მართალია, ეს შიგნით მოხდება, მაგრამ, რა თქმა უნდა, გარედან იქნება იმპორტირებული. ამიტომ, ასეთი გაყოფა უკვე, კონტექსტიდანაა ამოვარდნილი რაც იმას ნიშნავს, რომ უსაფრთხოების ის ინსტიტუტები რომელიც ქვეყანაშია, რეალურად, ერთიანობაში უნდა მოიაზრებოდეს როგორც უსაფრთხოების ერთი სისტემა. არ ვიცი, ამ სისტემის სხვა კომპონენტებში რა ვითარებაა, მაგრამ თუ სამხედრო კომპონენტს ვიგულისხმებთ, სამწუხაროდ, ვთვლი, რომ არანაირად არ ვართ დაცულნი. ეს კომპონენტი, უსაფრთხოების სისტემიდან, თავადაა ამოვარდნილი და რაც ყველაზე სავალალოა, არ ჩანს მიმართულება თუ საით ვითარდება. აი, რა არის ყველაზე სამწუხარო და პრობლემატური.

**— როგორია ჩვენი ქვეყნის სამხედრო კონცეფცია, რა მთავარ მიზნებს, ამოცანებს უნდა ემსახურებოდეს იგი, თუნდაც, რამდენად ბრძოლისუნარიანია ჯარი?**



— თუ დოკუმენტს გულისხმობთ, სამხედრო კონცეფცია არსებობს, მაგრამ ვეჭვობ, რომ იგი რეალობას უკვე აბსოლუტურად აღარ შეესაბამება. თუნდაც იმიტომ, რომ ის სხვა პირობებში და სხვა მონაცემებზე დაყრდნობით იწერებოდა. ძალიან რთული სათქმელია, ყველა დოკუმენტი რომელიც მეტ-ნაკლებად სტრატეგიული ხასიათისაა, ალბათ, გადასახედია და ამას სერიოზული ინტელექტი სჭირდება, რასაც ზედაპირზე ვერ ვხედავ, არ ჩანს.

**— ბატონო დავით, ჩვენი მეზობელი ქვეყნების სამხედრო კონცეფციებს თუ გადავხედავთ, იქ, საკუთარი ქვეყნის ინტერესები, ნათლად და მკაფიოდაა მითითებული. მაგალითად, სომხეთის სამხედრო კონცეფციაში აღნიშნულია, რომ სასომხეთის სახელმწიფო და მისი შეიარაღებული ძალები ვალდებულია თავისი მოქალაქეების ინტერესები ნებისმიერი ქვეყნის ტერიტორიაზე დაიცვას. აზერბაიჯანის სამხედრო კონცეფციის თანახმად კი, ნებისმიერი ახალგაზრდა რომელიც ეთნიკურად აზერბაიჯანელია, შეიძლება აზერბაიჯანის ჯარის პირად შემადგენლობაში შემავალ ერთეულად ჩაითვალოს. ამ კუთხით, რა წერია საქართველოს სამხედრო კონცეფციაში?**

— ამაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ჩვენ გვყავს სამხედრო ძალები, რომლებიც გარკვეულწილად, საგარეო მისიების მომსახურებაზეა ორიენტირებული, გარდა ამისა, გვაქვს გაუქმების სტადიაში მყოფი სამხედრო სავალდებულო სამსახური, ასევე, გაუქმების სტადიაში მყოფი სავალდებულო გაწვევა, რაც აბსოლუტურად არაადეკვატურია იმ ვითარებისა რომელშიც დღეს ვიმყოფებით. მითუმეტეს, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ რეალურად, საქართველოს მოკავშირე არ ჰყავს, ანუ არ არსებობს ქვეყანა, რომელიც ვალდებულებას აიღებდა იმ ვითარებაში, თუკი ჩვენ სამხედრო დაპირისპირებაში აღმოვჩნდებოდით ჩართული, ჩვენს სასარგებლოდ, სამხედრო მოქმედებებში მიელო მონაწილეობა. აი, ასეთია რეალობა.

**— ანუ, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაც „გაუქმების სტადიაშია“?**

— ჯერჯერობით, ასეა. თუმცა, ფაქტია, ეს საკითხი, სერიოზულ საკანონმდებლო ორგანოში იხილება. მაინც იმედი მაქვს, რომ პარლამენტი, საბოლოო ანგარიშით, ამაზე არ წავა, თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება.

**— ბატონო დავით, თქვენი მინისტრობის პერიოდში თუ ჰქონდა ქვეყანას გამართული სამხედრო კონცეფცია და როდიდან დაკარგა მან პირვანდელი სახე, რამ გამოიწვია ყოველივე?**

— რღვევა თანდათანობით დაიწყო და დაახლოებით, 2006 წლიდან უკვე თვალსაჩინო გახდა, რომ რაღაც არასწორად მიდიოდა, 2008 წელი კი ამ ყველაფრის გვირგვინი იყო. ამის მერე, ფაქტობრივად, სტრუქტურა წელში ვეღარ გაიმართა. ამის გამომწვევი მიზეზები საკმაოდ ბევრია. მაგალითად, ერთ-ერთი მიზეზი წმინდა სუბიექტურია — კადრები, რომელიც თავდაცვის სამინისტროში მოდიოდა, მუდმივად განახლებად რეჟიმში იყო. ანუ, სამხედრო ძალებს, უწყვეტი განვითარება, ბოლო 12 წელიწადია აღარ ჰქონია.

**— ანუ, საკადრო პოლიტიკის პრობლემაც იკვეთება?**

— დიახ, შემიძლია თამამად გითხრათ, რომ ის საკადრო პოლიტიკა, რომელიც მთელი ეს წლებია ხორციელდება, ვგულისხმობ, ძველი ხელისუფლების წინა 9 წელს და ბოლო სამ წელიწადსაც, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

**— 2008 წელი, რღვევის კუთხით, გვირგვინი იყოო, აღნიშნეთ. რა და როგორ მოხდა, ანდა რამდენად შეგვეძლო ამ ყველაფრის თავიდან აცილება, ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს, მაგრამ შედეგები მართლაც სავალალოა. როგორ ფიქრობთ, რა გამოსავალია აღნიშნული სიტუაციიდან?**

— ამ ყველაფერმა ის შედეგი გამოიღო, რაც გვაქვს — სისტემა ვერ აეწყო, ჩიხიდან ვერ გამოვიდა. იმაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, რა, როგორ მოხდა. დღეს ეს არაფერს აღარ იძლევა, არამედ იმაზე, თუ რა რეალური ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდეს და მეორე, — თუ ვთქვათ, სამხედრო დაპირისპირება მოხდება, ჯარი ისევ არ ჩამოიშალოს. სულ ცოტა, ეს უკანასკნელი, შესრულებადი ამოცანაა. თუმცა, პოლიტიკური ნება არ ჩანს, რომ სამხედრო ძალები ამ მიმართულებით განვითარდეს.

**— სამხედრო დაპირისპირების საფრთხეს, ხედავთ?**

— ამ წუთას არ იკვეთება, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, როგორ განვითარდება მოვლენები, ძნელი სათქმელია. ამ წუთში, ამ ასპექტში, აბსოლუტურად, განიარაღებულები ვართ.

**— რა პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ რუსეთის მიმართულებით, როგორი უნდა იყოს მასთან ურთიერთობის ფორმები? ალბათ, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ რუსეთი მცოცავ ანექციას ახორციელებს და მავთულხლართებს აქეთ წევს და წევს. არხეინობა, რაც ქართველებს გვჩვევია, რამდენად სწორია?**

— ეს ისეთი თემებია, არამგონია საგაზეთო ინტერვიუში გაიშალოს, თუმცა, იმ ადამიანებს ვინც ნებისმიერი მოლაპარაკების წინააღმდეგნი არიან, მინდა შევახსენო, რომ მოლაპარაკების მაგიდასთან ყოფნა, განსაკუთრებით, ომის ვითარებაში მყოფი სახელმწიფოსთვის, სამხედრო სტრატეგიის ერთ-ერთი ელემენტია. მოლაპარაკების ინიციატივა, როდესაც საქმე ცუდადაა, პირობითად რომ ვთქვათ საბრძოლო სივრცეში ყოფნისას, სუსტს ეკუთვნის, ეს მას, გარკვეულწილად, ძალების გადაჯგუფების, სხვა ბერკეტების ამოქმედების საშუალებას აძლევს, რაც მას, ამ მოლაპარაკების პროცესში, აძლიერებს. ანუ, ეს აუცილებლად, რაღაცის დათმობა კი არაა, არამედ, ეს მიღებული ხერხია. სამხედრო ისტორიას რომ გადავხედოთ, არაერთი ომისას, რთულ ვითარებებში იმართებოდა მოლაპარაკებები, რომელიც მერე, საბრძოლო სივრცის კონფიგურაციასაც და ომის შედეგებსაც მთლიანად ცვლიდა. ამ ყველაფერს ცოდნა სჭირდება. სამწუხაროდ, ეს ცოდნა, საქართველოში, ან არ არის, ან უბრალოდ არ ჩანს, ანდა არავინ ამჩნევს, რადგან ეს არავის სჭირდება. ასე, რომ მოლაპარაკება არაა სისუსტე, მოლაპარაკება დაპირისპირებისას უპირატესობის მიღწევის ერთ-ერთი ხერხია.

**— ბატონო დავით, გარდა იმისა, რომ ქვეყნის 20% რუსეთის მიერაა ოკუპირებული, პრეტენზია, ჩვენს ტერიტორიებზე, სხვებსაც უჩნდებათ. მაგალითად, ოსებს თრიალეთზე აქვთ პრეტენზია. საზღვრების 42% დემარკირებული არაა, ამ ფონზე რა საფრთხეები ემუქრება საქართველოს სამხედრო კუთხით?**

— ამის შესახებ კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით, ამ წუთისთვის რა ვითარებაა, მონაცემები არ მაქვს, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად ვიცი — სასაზღვრო უწყება სამხედრო უწყებიდან პოლიციურ უწყებად გარდაიქმნა. შესაბამისად, შეიცვალა მისი ამოცანები. ამიტომ, რასაც ეს უწყება ადრე აკეთებდა, დღეს აღარ აკეთებს, ფუნქციურად ვერ აკეთებს, თუმცა, მისი ჩანაცვლება არაფრით მომხდარა. თუ როგორ უნდა მომხდარიყო ეს, ვის უნდა აელო საკუთარ თავზე ის ფუნქციები რომელსაც სასაზღვრო ჯარი როგორც სამხედრო სტრუქტურა ახორციელებდა, ძნელი სათქმელია, არ ვიცი.

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

**— აშკარად იკვეთება, რომ მტრულ გარემოში ყოფნის პირობებში, მაშინ როცა დაპყრობილი ქვეყნის სტატუსი გვაქვს, ნამდვილად არ ვცხოვრობთ ისე როგორც საომარ პირობებში მყოფი ქვეყანა. ეს რას დავაბრალოთ?**

— საერთოდ ვცხოვრობთ?! — ამ თემაზე საუბარი შორს წაგვიყვანს.

**— კარგით, ჯარის თემას დავუბრუნდეთ. მაგალითად, ისრაელში მოქალაქე სამხედრო მოსამსახურეზეა გათანაბრებული, მთელი ქვეყანა ჯარია, არადა ჩვენზე მცირერიცხოვანი ერია, ჩვენ კი, მივჩერებივართ როგორ გვიბამენ ახალ-ახალ მავთულხლართებს და რეაქციაც არ გვაქვს.**

— ისრაელმა თავის ჩამოყალიბების 67 წლის მანძილზე, საკმაოდ რთული გზა განვლო, მას ჩვენზე მეტი სირთულეები ჰქონდა. ებრაელი ხალხის ბუნება ისეთია, რომ მათ შეძლეს და მივიდნენ იმ სისტემამდე რაც შეესაბამება, ანდა, ყოველ შემთხვევაში, ადეკვატურია იმ სივრცისა, რომელშიც იმყოფებიან. ჩვენ რაც შეგვეხება, საყმაწვილო სენი გვჭირს და ამას ვერა და ვერ დავაღწიეთ თავი.

**— ისევ ისრაელის მაგალითი რომ ავიღოთ, იქ, ორ თვეში ერთხელ, ყველა სამხედრო მომზადებას გადის, ალბათ, ამიტომაც ვერაფერი დააკლო არაბულმა სამყარომ.**

— სხვადასხვა მოდელები არსებობს, მათ შორის, ერთ-ერთი წარმატებული, რა თქმა უნდა, ისრაელია. თუმცა, მათაც აქვთ სირთულეები — შეუძლებელია, ქვეყანამ, 67 წელი ერთიდაიმავე საომარ რეჟიმში გაატაროს, ამის რესურსი არც ისრაელს ეყოფა. არის სხვა წარმატებული მოდელებიც, მაგალითად, შვეიცარიის. სხათაშორის, შვეიცარია ევროპაში ერთადერთი ტერიტორიაა, რომელიც დაპყრობილი არასდროს ყოფილა. ეს იმ ადამიანების ბუნების დამსახურებაა რომლებიც იქ პირველად დასახლდნენ თუ კიდევ სხვა რამ, ისტორიული ინტერესის საკითხია, საიდანაც გარკვეული დასკვნების გაკეთება შეიძლება.

**— თუმცა ისრაელის მაგალითსაც რომ თავი დავანებოთ, წარსულ ისტორიას თუ გადავხედავთ, ძველად, საქართველოში, ყველა მეომარი იყო, მტერთან ბრძოლის დროს მეფე ლაშქარს იხმობდა და საომრად ქუდზე კაცი გადიოდა. დღეს, სად გაქრა ეს სულისკვეთება?**

— არ ვიცი.

**— ბატონო დავით, რამდენი ჯარისკაცი გვყავს ამ ეტაპზე?**

— ამის თქმა გამიჭირდება, ზუსტი რიცხოვნობა არ ვიცი, არ დავკვირვებივარ ბოლოს რამდენი დაამტკიცეს.

**— თუ არ მეშლება 40 ათასამდე უნდა იყოს.**

— არა მგონია ამდენი იყოს, მათი რიცხვი ბევრად უფრო ნაკლებია.

**— თუ უფრო ნაკლებია, გამოდის, რომ ქართული ჯარი საერთო მოსახლეობის 1%-იც არაა. ასე მცირე ოდენობით მტერს როგორ უნდა გავუმკლავდეთ? აფხაზეთის ომშიც ხომ 0,5% იბრძოდა, დანარჩენი მოვლენებს აკვირდებოდა.**

— დიახ, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, ამის თავი და ბოლოც სისტემის გაუმართავობაა.

**— ავღანეთის თემასაც მინდა შევეხოთ. ხშირად ისმის კითხვა, რად გვინდა ჯარი თუ მას ქვეყნის დაცვა არ შეუძლია, თუ მთავარ მოწინააღმდეგეს რუსეთს ვერ მოვერევით, მაშინ გამოდის მისი ფუნქცია მხოლოდ ავღანეთის მისიაში მონაწილეობაა?**

— ავღანეთის მისიაში ჭარბად ვართ წარმოდგენილი. მისიაში შეიძლება მონაწილეობდე და არ იყო შეერთებული შტატების მერე მეორე კონტრიბუტორი ქვეყანა. მით უმეტეს, ამის არანაირი ვალდებულება არ გვაქვს — არც სამოკავშირეო და არც სხვა რამ. ეს, უბრალოდ, ახირებაა.

**— ბატონო დავით, 2012 წლის დასაწყისში თავდაცვის სამინისტროს კანონში ცვლილებები შევიდა და შედეგად, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლა 12 თვის ნაცვლად 15 თვემდე გაიზარდა. მოწინააღმდეგენი საუბრობდნენ, რომ ასე ჯარის მეტი წილი წვევამდელებით ივსება, რაც თავდაცვისუნარიანობის შესუსტებას იწვევს. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ვადა ისევ 12 თვემდე შემცირდა. რასთან გვაქვს საქმე? რიგი ექსპერტებისგან მოვისმინე მოსაზრებები, რომ ამერიკელი ინსტრუქტორები ჩვენს ქვედანაყოფებს ავღანეთის მისიისთვის 2-3 თვეში ამზადებენ და ჩვენც ვადა კი არ უნდა გავზარდოთ 6 თვემდე უნდა შევამციროთო.**

— სამწუხაროდ, საზოგადოებას, ზოგადად, რბილად რომ ვთქვა, სამხედრო მომზადების თავისებურებაზე, სუსტი წარმოდგენა აქვს. როდესაც, ამერიკელი მისიისთვის ადამიანს ამზადებს, მას მოუმზადებელი ჯარისკაცი კი არ უდგას წინ, არამედ გარკვეულწილად, უკვე ამხედრო უნარ-ჩვევების მქონე ახალგაზრდა, რომელიც კონკრეტულად, მისიისთვის მზადდება და ამისთვის 3-დან 6 თვემდე პერიოდი აბსოლუტურად, საკმარისია. ამ დროს, იგი, იმ მისიისთვის სპეციფიკური უნარების გაუმჯობესებაზეა კონცენტრირებული. ახალგაზრდა, რომელიც სამხედრო სტრუქტურაში ქუჩიდან მოდის, ანუ წვევამდელი, საბრძოლო მოქმედებებში გამოსაყენებლად მზად რომ იყოს, მას ერთი წელიწადი სჭირდება. ერთი წლის მერე, იგი მზადაა იმისათვის, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი გახდეს. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ სამხედრო სამსახური ერთ წლიანია, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ტყუილად ვკარგავთ ფულს, ჩვენ მას არ ვამსახურებთ, არამედ ეს ერთი წელი ვასწავლით. ისმის კითხვა — ვინ მსახურობს? 15 თვე ნიშნავს, რომ ერთი წელი ამზადებ და სამი თვე მსახურობს. ეს, რა თქმა უნდა, მანკიერია. ესაა რესურსის ხარჯვა. ერთი წელი ადამიანს რომ ამზადებ, მერე, ის სულ ცოტა ორი წელი უნდა მსახურობდეს სახელმწიფოსთვის იმიტომ, რომ მის მომზადებაზე რესურსი დაიხარჯა. მომზადებული პირი სახლში თუ წავა და სამსახურს არ გააგრძელებს, ის არის რეზერვი. მასთან შეიძლება მუშაობა როგორც რეზერვთან. ჩვენთან, ეს ყველაფერი, აღრეულია. წვევამდელი პირდაპირ პოლიციაში მიდის და იქ, დაცვის პოლიციაში მსახურობს, ეს არასწორია. ასევე, წვევამდელი მიდის სასჯელაღსრულებაში და იქ, მსახურობს, ესეც არასწორია. წვევამდელი მიდის და გარკვეულ კონტრაქტზე აწერს ხელს, ესეც, რა თქმა უნდა, არასწორია. აი, ესაა დასალაგებელი, რასაც ცოდნა სჭირდება. მცოდნე არც პოლიტიკოსებს შორის არის ვინმე და არც საზოგადოებას აქვს ენთუზიაზმი, რომ ეს ცოდნა გარკვეულწილად, რეალიზებული იყოს. ბუნებრივია, ამ ფონზე, თავსატეხი საზოგადოებასვე უჩნდება. ჯარი რომ რეალურად თავისი საქმით იყოს დაკავებული და იმათ ხელში იყოს ვინც იცის სახელმწიფოში რა, როგორ უნდა აკეთოს, მაშინ ვერცერთ ჯარისკაცს ვერ მონახავთ იმისათვის, რომ სადმე წაიყვანოთ მოაცდინოთ და არჩევნებში მიაღებინოთ მონაწილეობა. სიტუაციის აბურდვა სწორედ აქედან მოდის — პოლიტიკური ნება და შესაბამისი ცოდნა არ არსებობს, საზოგადოებას კი ენთუზიაზმი არ გააჩნია.

**— ვის ეხება საზოგადოების ამ კუთხით განათლება?**

— თუ სკოლიდან ჩაერთვები სამხედრო მომზადების ციკლში, მერე, შესაბამის მომზადებას უნივერსიტეტში გაივლი, წახვალ და იმსახურებ, მიუხედავად სქესისა, ამ პროცედურების დაცვის მერე, მოგივა ცოდნაც, სამშობლოს სიყვარულიც, უნარ-ჩვევებიც და გაგიქრება რუსის, ჩინელის, იაპონელის და ა.შ. შიში. ანუ, სად მივდივართ? — ისევ აღზრდამდე. ჩვენ საკუთარი ხელით ვსპობთ ხიდს ქვეყანასა და თაობას შორის, რომელიც ამ ქვეყნის სამართავად მოდის.



**— ახლახან, ახსენეთ წვევამდელებს პირდაპირ თანამდებობებზე უშვებენო. აქ, ფინანსური ინტერესიც ხომ არ დევს. როგორც ვიცი, წვევამდელებს თვეში 20 ლარს უხდიან, პროფესიონალს კი 800. ანუ თანხა იზოგება და ხარისხი იკლებს, ეს ხომ თავდაცვისუნარიანობასაც ამცირებს?**

— ბუნებრივია ასეა. ამიტომაც მოხდა წვევამდელების ძირითადი ნაკადის სამხედრო ძალებიდან საპოლიციო უწყებაში გადადინება. აი, ზუსტად ეს იყო მიზეზი. ესაა სიმახინჯე და არა თვითონ სისტემა.

**— ბოლო დროს აქტუალურია შეკითხვა, ვის უნდა დაუჭიროს საქართველომ მხარი თურქეთ-რუსეთის ომის შემთხვევაში?**

— საქართველომ მხარი უნდა დაუჭიროს საკუთარი ინტერესების რეალიზაციას, სხვას არაფერს.

**— ბოლოს გვითხარით, რა გეგმები აქვს თქვენს პარტიას?**

— ვემზადებით არჩევნებისთვის, რაც გარკვეულ რუტინულ სამუშაოს შესრულებასაც გულისხმობს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# „ისლამურ სახელმწიფოსთან" კავშირის ბრალდებით საქართველოში ოთხი პირი დააკავეს

**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ერთობლივი საგამოძიებო ღონისძიების შედეგად ტერორისტულ ორგანიზაცია „ისლამურ სახელმწიფოსთან" შესაძლო კავშირში ეჭვმიტანილი ოთხი პირი დააკავეს.**



აღნიშნული პირების ბინების ჩხრეკისას, საგამოძიებო უწყებების თანამშრომლებმა ხელყუმბარები, ცეცხლსასროლი პისტოლეტები, საბრძოლო ვაზნები, ტექნიკა, „ისლამური სახელმწიფოს" მიკუთვნებული დროშები და სხვა ნივთები ამოიღეს. განცხადება ამის შესახებ სუს-ის ხელმძღვანელის მოადგილემ, ლევან იზორიამ გააკეთა.

„მოპოვებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, გამოიკვეთა რამდენიმე პირი, რომელებიც ემხრობიან ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს" იდეოლოგიას. გამოძიების ფარგლებში, 2015 წლის 29 ნოემბერს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის მიერ წარმოებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ყველა მითითებულ მისამართზე ჩხრეკა ჩატარდა. ჩხრეკის შედეგად, ოთხი პირის საცხოვრებელი სახლებიდან ხელყუმბარები, ცეცხლსასროლი პისტოლეტები, საბრძოლო ვაზნები და მეხსიერების ბარათები, კომპიუტერული მოწყობილობები, ინტერნეტ მოდემები, ნოუთბუქები, სხვადასხვა ლიტერატურა, ინფორმაციის მატარებელი ელექტრონული მოწყობილობები, სიდი და დივიდი დისკები და ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს" მიკუთვნებული დროშები ამოიღეს. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრისა და შსს-ს თანამშრომლებმა ოთხი პირი დააკავეს. აღნიშნულ პირებს ბრალი წარედგინათ სისხლის სამართლის კოდექსის 236 მუხლის მეორე ნაწილით. დაკავებული პირების ტერორისტულ ორგანიზაცია „ისლამურ სახელმწიფოსთან" კავშირებისა და ტერორისტულ საქმიანობაში დახმარების ფაქტის დასადგენად მიმდინარეობს საგამოძებო ღონისძიებები, დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები. საქმეზე გრძელდება შემდგომი გამოძ?ება ტერორისტულ ორგანიზაციებთან კავშირზე მყოფი სხვა პირებისა და მა? მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით", - განაცხადა დღეს გამართულ ბრიფინგზე ლევან იზორიამ.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტულ ცენტრში დაქირავებულის შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილ?ობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 410-ე მუხლის მესამე ნაწილით მიმდინარეობს.

# საქართველოში ატმოსფერული ტემპერატურა მკვეთრად დაეცემა



გარემოს ეროვნული სააგენტო მოსალოდნელი ამინდის პროგნოზს ავრცელებს.

სააგენტოს ცნობით, 1-4 დეკემბერს საქართველოში მოსალოდნელია წვიმა, მთაში თოვლი, ზოგან ძლიერი. მაღალმთიან რაიონებში ზოგან ქარბუქი, იქროლებს დასავლეთის ძლიერი ქარი.

3-4 დეკემბერს მკვეთრად დაეცემა ჰაერის ტემპერატურა. 4 დეკემბერს დაბლობსა და ბარშიც ნალექი შესაძლოა თოვლის სახით აღინიშნოს.



# ანი დარსალია:
# ნაციონალური მოძრაობა ახალგაზრდებს ხელისუფლებისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ რაზმავს

**„საერთო გაზეთს“ ესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „გაერთიანებული საზოგადოების“ ხელმძღვანელი ანი დარსალია:**

— საქართველოში ბოლო დროს განვითარებული პროცესებიდან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ვერ მოახერხა ამომრჩევლისთვის მიცემული პირობის შესრულება და სახელმწიფო სტრუქტურების ნაციონალებისგან გაწმენდა. ძალიან მეეჭვება, რომ ამ პოლიტიკური კურსით, რომელსაც დღეს ხელისუფლება ატარებს, ახალგაზრდებისგან მხარდაჭერა მიიღოს. „ქართული ოცნების“ კრახით კი ისევ ნაციონალური მოძრაობა იხეირებს და ხელისუფლებაში ახალი სახეებით მოგვევლინება. ამის ყველა ნიშანი სახეზეა. თუნდაც ნაციონალების ახალი, ეშმაკური სტრატეგია და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენილი ახალი სახეები.

**— დაგვიკონკრეტეთ, რომელ ეშმაკურ სტრატეგიას და ახალ სახეებს გულისხმობთ?**

— დღეს ნაციონალური მოძრაობა საზოგადოებაში ფინანსურად დასუსტებული და დაქსასქული ორგანიზაციის იმიჯს იქმნის. ისე გვიჭირს, რომ პარტიის ოფისი გავყიდეთო, აქეთ ხაჩიძე გამოგვეყო და „გირჩი“ შექმნა და იქით ბარნოვი წავიდა არასამთავრობო სექტორშიო, მაგრამ ეს ყველაფერი კარგად ორგანიზებული თამაშის ნაწილია. ვითომ დაქსასქულობით ნაციონალებმა ფლანგები გაშალეს და ცდილობენ ყველა მხრიდან ერთიანი შეტევა განახორციელონ „ქართულ ოცნებაზე“. მერწმუნეთ, როცა გადამწყვეტი დარტყმის დრო მოვა, მარტივ მამრავლებად დაშლილი ნაციონალები ისევ ერთ გუნდად გაერთიანდებიან.

**— გადამწყვეტი დარტყმაში არჩევნებს გულისხმობ?**

— არა მარტო. არ დაგავიწყდეთ, რომ „რუსთავი 2“- ის საქმე არ დამთავრებულა და მხოლოდ შეჩერებულია. მე მაქვს სრულიად დადასტურებული ინფორმაცია, რომ ტელეკომპანიასთან კარვების გაშლამდე „თავისუფალი ზონის“ წამყვან სახეებს უკრაინიდან 5000 ლარიანი პრემიები გამოუგზავნეს.

**— „არაწამყვანი სახეები“ ენთუზიაზმზე მუშაობდნენ?**

— ასე გამოდის. „თავისუფალი ზონის“ წევრები, ვინც ფულის გამოგზავნის შესახებ შეიტყო, დაძაბულობის თავიდან ასაცილებლად, ორგანიზაციიდან მოიცილეს. ახლა დროებითი პაუზაა, მაგრამ როგორც კი სასამართლო პროცესები განახლდება, ეს საფრთხე ისევ რეალური გახდება. კიდევ 5000-5000 ლარს დაუმატებენ და ამ ხალხს იმას გააკეთებინებენ, რასაც სააკაშვილი უბრძანებთ. ნაციონალური მოძრაობა ახალგაზრდებს ხელისუფლებისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ რაზმავს და ამას მე თუ ვიგებ, სხვებმაც უნდა გაიგონ. რაც შეეხება თქვენს კითხვას ახალი სახეების შესახებ, ჩემი აზრით, მომავალ არჩევნებში ნაციონალები აშკარა და „გაშიფრულ“ სახეების ნაცვლად, გაუსვრელ და ავტორიტეტულ ადამიანებზე გააკეთებენ აქცენტს. რა თქმა უნდა, პაატა ბურჭულაძეს ბევრი კარგი საქმე აქვს გაკეთებული ქართველი ხალხისთვის: „იავნანა“, საქველმოქმედო პროექტები და მრავალი სხვა, ამიტომ გარკვეული ავტორიტეტი აქვს მოსახლეობაში. რაც მთავარია, ის ნაციონალებთან არ ასოცირდებოდა, მაგრამ ოდესაში, სააკაშვილთან მისი ვიზიტი იმას ნიშნავს, რომ არჩევნებში მონაწილეობის შემთხვევაში, მსოფლიო ბანი სავარაუდოდ, ნაციონალების ინტერესებს გაატარებს, რაც ძალიან საწყენია. არაფერია უჩვეულო იმაში, რომ დისკრედიტირებული პოლიტიკური ძალა ცდილობს ორგანიზაცია ახალი სახეებით გააკეთილშობილოს. თუნდაც, გოგა ხაჩიძის „გირჩი“, სადაც უამრავი ახალგაზრდა გაწევრიანდა და ისეთ პირობებს სთავაზობენ, რომ კიდევ ბევრი გაწევრიანდება.




**— ასეთი რა განსაკუთრებული პირობები აქვთ?**

— სოლოლაკში მდებარე სამსართულიანი ოფისიდან დაწყებული, ყველა პირობა აქვთ, ახალგაზრდების მოსაზიდად და მათი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. „გირჩი“ თავის წევრებს მატერიალურად ეხმარება, გასართობ ღონისძიებებს აწყობს, კვების პროდუქტებით ამარაგებს და ა.შ. სხვა საქმეს, ამის ფასად რის გაკეთებას მოთხოვენ, მაგრამ ამ ეტაპზე ახალგაზრდების მიზიდვა რომ არ უჭირთ, ცხადია. „ქართული ოცნება“ უნდა გამოფხიზლდეს და დაინახოს ის ნაღმები, რომლებიც ნაციონალებს ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში აქვთ ჩადებული და აუცილებლად აამოქმედებენ. რაც უფრო მოახლოვდება 2016 წლის არჩევნები, მით უფრო მოიმატებს „ჩანერგილებისგან“ პროვოკაციებისა და საბოტაჟის ფაქტები. თუნდაც, 13 ოქტომბერს დაკავებული ირაკლი რამიშვილის საქმე ავიღოთ. ეს უნიჭიერესი მსახიობი, რომელმაც „ქუჩის დღეებში“ საქართველო ასახელა, ჩემი ბავშვობის მეგობარი გახლავთ. ამ ადამიანს ნაციონალური მოძრაობის დროიდან დასდევდნენ კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები და ახლა, 2015 წელს ნარკოტიკული საშუალების ჩადებით მოახერხეს მისი დაჭერა. პირველი ინსტანციის მოსამართლემ ირაკლის უდანაშაულობის ფაქტები არ გაითვალისწინა. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე კი საერთოდ, ადეიშვილის „ხელის ბიჭი“ აღმოჩნდა და ირაკლი გისოსებს მიღმა დატოვეს. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ნაციონალური მოძრაობის ზონდერ-პოლიციელები კიდევ მუშაობენ ახალგაზრდების „გაფუჭებაზე“, კიდევ უდებენ წამალს და ამით, ხელისუფლებას სახელს უტეხავენ. სწორედ ეს იყო ნაციონალების გათვლა. იცოდნენ, რომ ირაკლიზე ერთ ამბავი ატყდებოდა და სწორედ ეს უნდოდათ. გაიხსენე 2014 წლის 17 სექტემბერს დაკავებული თენგო ერისთავის საქმე. შსს ინფორმაციით, დაკავებულს 7 აბი ნარკოტიკული საშუალება „სუბოტექსი“ აღმოაჩნდა, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ ერისთავს ნარკოტიკები ჩაუდეს.

**„ნაციონალური მოძრაობა უსამართლოდ დასჯილი და დახვრეტილი ახალგაზრდების თემას გადაყვა. ახლა, „ახალგაზრდების საქმეების შეკერვით“ ნაციონალები იგივეს უკეთებენ „ქართულ ოცნებას“.**



**— ეს საკმაოდ გახმაურებული საქმე იყო. როგორც მახსოვს, ერისთავების ოჯახს დახმარება ნაციონალურმა მოძრაობამ შესთავაზა, თუმცა კატეგორიული უარი მიიღო.**

— დიახ, თუმცა, სხვა ოჯახს შეიძლება ეს დახმარება მიეღო. სწორედ ამას ვგულისხმობ, როცა სიტუაციის შიგნიდან არევაზე ვსაუბრობ. ეს იმიტომ მოხდა, რომ ხელისუფლებამ ძალოვანი სტრუქტურების ძველი კადრებისგან გათავისუფლება ვერ მოახერხა. სწორედ, ის კადრები მუშაობენ ახლა ახალგაზრდების „გაფუჭებაზე“, რადგან მშვენივრად ახსოვთ, რომ ნაციონალური მოძრაობა უსამართლოდ დასჯილი და დახვრეტილი ახალგაზრდების თემას გადაყვა. ახლა, „ახალგაზრდების საქმეების შეკერვით“ იგივეს უკეთებენ ნაციონალები „ქართულ ოცნებას“.

საუბრის ბოლოს ხელისუფლებას მივმართავ: სტრუქტურების გაწმენდა და დაირებების შესრულება დროზე თუ არ დაიწყეთ, მარტო ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტი ველარ გიშველით ბატონებო.

**ნელი თორდია**
571 35 36 88

# ანძა, რომელიც სიკვდილს ასხივებს

## რატომ გახშირდა სოფელ ოქროყანაში ადამიანთა სიკვდილიანობა და მიუძღვის თუ არა ბრალი ამ ტრაგედიაში კომპანია „ჯეოსელს“?

***მართალია, თბილისი თავისი შემოგარენით პირტიტველა მთებით არის წარმოდგენილი, მაგრამ წყნეთი, ოქროყანა, შინდისი, ტაბახმელა, კოჯორი და ა.შ. კვლავაც რჩებიან მწვანე დასახლებებად და რაც ცუდ, ხარბ და ვერაგ ადამიანებს გადაურჩა, ახლა შესაძლოა კერძო კომპანიების მსხვერპლი გახდეს და სწორედ ამაზე მინდა გესაუბროთ...***

თბილისიდან ხუთიოდე კილომეტრში, მთაწმინდის პარკისკენ მიმავალ გზაზე, 1937 წლიდან კომუნისტების მიერ დარგულმა ნაძვნარმა ნელ-ნელა დაიწყო ხმობა... თუმცა, ამჯერად, მკითხველის ყურადღება მინდა მივაპყრო იმაზე, თუ როგორი ვერაგული ზრახვებით შემოიჭრა მთაწმინდის პარკის ტერიტორიის მიმდებარედ, ოქროყანის აგარაკებზე კომპანია „ჯეოსელი“ და თუ რა სავალალო შედეგები მოჰყვა მათ ნამოქმედარს. კერძოდ, „ჯეოსელის“ მესვეურებმა შუაგულ დასახლებაში ვერაგულად და უჩუმრად საცხოვრებელ კორპუსში მალულად განათავსეს ანძა და იმ დღიდან მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ნელ-ნელა ტოვებდა წუთისოფელს...

საქმე ის არის, რომ 2011 წელს ოქროყანის აგარაკების „გ“ ზონის 113-ე კორპუსში კომპანია „ჯეოსელმა“ საბაზო რადიოსადგურის დამონტაჟება გადაწყვიტა. გადაწყვიტა, მაგრამ საქმე ბოლომდე ისე მიიყვანა, რომ ადგილობრივი მოსახლეობისთვის არაფერი უკითხავს და შესაბამისად, მაცხოვრებლების გვერდის ავლით ვინმე ვასილ ჯმუხაძის საცხოვრებელ სახლში საბაზო რადიოსადგური და ანძა უჩუმრად დაამონტაჟა... სწორედ „ჯეოსელის“ ამ ქმედების შემდეგ დაიწყო ის, რაც დაიწყო... ვასილ ჯმუხაძე იმიტომ, რომ გარკვეული თანხა ესაჭიროებოდა კონტრაქტი გააფორმა „ჯეოსელთან“. ის მოსალოდნელი რისკები, რაც შესაძლოა მისი ოჯახის წევრებს დამართნოდათ კარგად გააცნობიერა, ამიტომ ერთ მშვენიერ დღეს ოჯახის წევრებთან ერთად აღნიშნული 113-ე კორპუსიდან თბილისში გადაინაცვლა, ანუ ანძის დამონტაჟების შემდეგ სახლში არცერთი ღამე არ გაუთენებია. ბატონი ვასილი არც იმაზე დაფიქრებულა, თუ რა საფრთხე შეიძლება მოჰყოლოდა მისი მეზობლებისთვის მაღალი გამოსხივების მქონე ანძის დამონტაჟებას და მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო, ოქროყანის აგარაკების „გ“ ზონის 113-ე კორპუსში, სადაც ანძა იყო დამაგრებული, იქ მაცხოვრებლების ჯანმრთელობა დღითიდღე გაუარესდა, ნელ-ნელა მძიმე სენით ავადდებოდნენ და მიცვალებულთა რაოდენობამაც იმატა:

1. 113-ე კორპუსის მცხოვრები გობეჯიშვილი მარიამი, 2014 წლის გაზაფხულზე სიმსივნით გარდაიცვალა;

2. 113-ე კორპუსის მცხოვრები გაგნიძე შაქრო 2013 წელს გულსისხლძარღვთა დაავადებით დასნეულდა;

3. ამავე კორპუსის მცხოვრები გაგნიძე მიხეილი კი 2012 წელს გულსისხლძარღვთა პათოლოგიით დაავადდა და დღემდე მძიმე ავადმყოფია;

4. 113-ე კორპუსში დატრიალებულმა ტრაგედიამ ამავე კორპუსის მკვიდრ გვანცა ჯავახიშვილს უბიძგა იმისკენ, რომ გაეყიდა საკუთარი ბინა და თავისთვის ეშველა, რადგან მასაც თავისა და გულმკერდის პათოლოგიები დაუდგინეს ექიმებმა;

5. 113-ე კორპუსის გვერდით, 112-ე კორპუსის მცხოვრები ალექსანდრე ხოტენაშვილი იმავე 2012 წელს გულსისხლძარღვთა მწვავე დაავადებით დასნეულდა;

6. 113-ე კორპუსის გვერდით, 114-ე კორპუსის მკვიდრი 22 წლის ზურაბ გორძამაშვილი საზარდულის სიმსივნით დაავადდა, ჩაუტარდა ოპერაცია და ამჟამად მისი მდგომარეობა კვლავაც მძიმეა.



7. 113-ე კორპუსიდან ოციოდე მეტრში, 115-ე კორპუსის მცხოვრები დავით აბესაძე თვალის სიმსივნით დაავადდა.

8. 113-ე კორპუსიდან 30-იოდე მეტრის მოშორებით, 116-ე კორპუსის მკვიდრი ჟუჟუნა ჩალაძე 2014 წელს სიმსივნით დაავადდა და გარდაიცვალა;

9. 116-ე კორპუსის მკვიდრი ნოდარ ნონეშვილი გულის დაავადებით დასნეულდა და 2014 წელს სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა.

10. 113-ე კორპუსიდან სულ რაღაც 50-იოდე მეტრში, 120-ე კორპუსში მცხოვრები ლეილა ფაღავა სიმსივნის დიაგნოზით გარდაიცვალა;

11. 126-ე კორპუსში ხორხის სიმსივნით ზურაბ ტურაშვილი დაავადდა;

12. 124-ე კორპუსში გულის დაავადებით გარდაიცვალა წარსულში სრულიად ჯანმრთელი ახალგაზრდა გივი მათურელი.

13. 127-ე კორპუსში თვალის სიმსივნით რამაზ ჯმუხაძე დაავადდა;

14. იქვე, 113-ე კორპუსთან მდებარე სახლში გულსისხლძარღვთა დაავადებით 2014 წელს მიშა ბაინდურაშვილი გარდაიცვალა;

15. 90-ე კორპუსში ასევე გულის დაავადებით 2014 წელს ალექსანდრე ღვინძილია გარდაიცვალა.

16. იმავე 90-ე კორპუსში ინსულტით გარდაიცვალა ზურაბ ბურჯალიანი;

17. 86-ე კორპუსის მცხოვრებ დათო შარუბანაშვილს სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა გულის უკმარისობის გამო.

ძვირფასო მკითხველო, ეს გახლავთ არასრული სია იმ დაავადებული, თუ გარდაცვლილი მოქალაქეებისა, რომლებიც ოქროყანაში „გ“ ზონაში, იმ 113-ე კორპუსის მიმდებარედ ცხოვრობდნენ, სადაც კომპანია „ჯეოსელმა“ უჩუმრად და მალულად საბაზო რადიოსადგური და ანძა დაამონტაჟა, რის გამოც ოქროყანის აგარაკებზე ცხოვრება ჯანმრთელობისთვის ძალიან საშიში გახდა.

მე, თქვენი მონა-მორჩილი, სწორედ აღნიშნულ ტერიტორიაზე ვცხოვრობ, ოღონდაც იმ ავბედითი 113-ე კორპუსიდან მოშორებით... დღე არ გავა სასწრაფო დახმარების მანქანამ სამი-ოთხჯერ არ ამოიკივლოს დასახლებულ ტერიტორიაზე, სადაც რამდენიმე წელია ნათესავები ასე რიგ-რიგობით ემშვიდობებიან ოჯახის წევრებს. მოსახლეობა შეშინებული და შეშფოთებულია, „ჯეოსელის“ მესვეურები აცხადებენ, რომ რადიაციული ფონი არ არსებობსო, მაგრამ ჩვენს მიერ ამოყვანილი სამხედრო უწყებების შესაბამისი სპეციალისტები გვეუბნებიან, რადიაციული ფონი გაზრდილია და თანაც, ძალიან საგანგაშოდო!!!

ძალიან დამაფიქრებელია ის გარემოებაც, რომ „ჯეოსელის“ საბაზო რადიოსადგურის ანძა



113-ე კორპუსის საბუხრეში იყო ჩამალული და ისმის კითხვა, თუკი უვნებელია, მაშ, რისთვის დასჭირდათ „ჯეოსელის“ წარმომადგენლებს მისი დამალვა?!.. რადგან მოსახლოების მხრიდან მხოლოდ „ჯეოსელისადმი“ პროტესტმა არ გაჭრა, ოქროყანის „გ“ ზონის მაცხოვრებლები იძულებულნი გახდნენ სასწრაფოდ გამოეძახათ თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურები, მოეწყოთ აქცია და იძულებული გაეხადათ „ჯეოსელის“ წარმომადგენლები, რომ 113-ე კორპუსიდან სასწრაფო და დაუყოვნებლივ აღნიშნული ანძის დემონტაჟი მომხდარიყო და დასახლებიდან გაეტანათ. პროტესტმა მწვავე ხასიათიც მიიღო, რის შემდეგაც თბილისის მერიის წარმომადგენლებმა კომპანია „ჯეოსელს“ მოსთხოვეს ანძის დემონტაჟი მაქსიმალურად მცირე დროში განეხორციელებინათ, ვიდრე მოსახლეობა საკუთარი ძალებით გაანადგურებდა. დიახ, მოცვივდნენ „ჯეოსელიდან“ სპეციალისტები, დაშალეს ანძა და წაიღეს, მაგრამ აი, აქ იწყება ისტორია, რომელსაც ვერანაირი კრიტიკა ვერ უძლებს...

მართალია, ოქროყანის აგარაკების „გ“ ზონიდან „ჯეოსელმა“ ანძა წაიღო, მაგრამ, თურმე ნუ იტყვით და იქვე, გზის გადასწვრივ, სოფელ ოქროყანაში მიუტანიათ, ერთი მიტოვებული სამართულიანი მშენებარე სახლის სახურავზე დაუმაგრებიათ და თან ისე, როგორც ჩვენს დასახლებაში, ისე ჩაუმალავთ საბუხრეში... ეს ამბავი შემთხვევით მაშინ გავიგე, როდესაც საღამოს სახლში ვბრუნდებოდი, სოფელ ოქროყანის საბავშვო ბაღთან მთელი სოფელს მოეყარა თავი და აპროტესტებდნენ თურმე რას?!.. — საბაზო რადიოსადგურის ანძის ზედ საბავშვო ბაღთან დამონტაჟებას, რადგან მათ კარგად უწყოდნენ სერიული გარდაცვალების ფაქტები ოქროყანის აგარაკებზე! მოსახლეობის გულისწყრომა განსაკუთრებით შეეხებოდა იმას, რომ კომპანია „ჯეოსელმა“ ოღონდაც საქმე თავისივე ჯიბის სასარგებლოდ გადაწყვიტოს და ბავშვების სიკვდილსაც კი აღარ ერიდებაო!.. მოსახლეობა აპროტესტებდა „ჯეოსელის“ ამ ქმედებას და აღნიშნული რადიოსადგურის საკუთარი ძალებით დემონტაჟით იმუქრებოდა, თუკი კომპანია „ჯეოსელი“ დაუყოვნებლივ და სწრაფად არ იმოქმედებდა სიკვდილის დანადგარის ამ ტერიტორიიდან გატანას...

და მართლაც, რა გაუხდა კომპანია „ჯეოსელი“ ოქროყანას?!.. რატომ ვერ ელევიან აქაურობას, განა, ჩვენი დასახლების იქით, მოშორებით, რამდენიმე კილომეტრში ტიტველი მთები არ დგას იქ რომ დაამონტაჟონ თავიანთი ანძა და მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხე აღარ შეუქმნან?!.. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მთაწმინდის პარკის გასწვრივ, ზემოთ მთაზე, კომპანია „ჯეოსელს“ უშველებელი ანძა დგას.

ამის თაობაზე საპროტესტო აქციაზე გავესაუბრე კომპანიის ერთ-ერთ წარმომადგენელს:

— კი მაგრამ, ეს რადიოსადგური და ანძა რისთვისაა საჭირო?

— მარტო იმ დიდი ანძით ხარისხიანი კავშირი არ ხორციელდება და დამატებით ამიტომაც დავამონტაჟეთ. თქვენ ხომ წუხდებით, როდესაც ხარისხიანი მიღება არ არის?

— კი მაგრამ, თქვენ გვეუბნებით, რომ ეს რადიოსადგური მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს, არადა, ჩვენს დასახლებაში უამრავი ადამიანი გარდაიცვალა სიმსივნური დაავადებებით... ეს თქვენ შემთხვევითი გგონიათ?!..

— მასე, ადამიანები ყველგან იხოცებიან... ქვეყანაში გავრცელებული დაავადებების უმრავლესობა სიმსივნეა და ყველაფერი „ჯეოსელს“ ხომ არ უნდა დააბრალოთ?!..

შემაშფოთებელია ის გარემოებაც, რომ სოფელ ოქროყანის საბავშვო ბაღში, იქ, სადაც კომპანია „ჯეოსელის“ ანძა მშენებარე სახლის საბუხრეშია შემალული და რომელიც სოფლის საბავშვო ბაღიდან სულ რაღაც 20-ოდე მეტრშია, პატარებს პირღებინება და თავისტკივილები მოუხშირდათ, ამიტომ, „საერთო გაზეთის“ მეშვეობით ნება მიბოძეთ კომპანია „ჯეოსელს“ სოფელი ოქროყანის მოსახლეობის სახელით მივმართო და განვუცხადო:

ბატონებო! თუ არ მიიღებთ ზომებს და აღნიშნული ანძა ორი კვირის განმავლობაში არ დაექვემდებარება დემონტაჟს, მაშინ თქვენ მიიღებთ მის ნამსხვრევებს, რადგან ასე უჩუმრად, ასე ქურდულად და ასე მოურიდებლად შედიხართ ზოგიერთ გაუმაძღარ ადამიანთან გარიგებაში, რის შემდეგაც სახლის მეპატრონე საკმაოდ მსუყე გასამრჯელოს ფასად (6000 აშშ დოლარი) გთანხმდებათ და თქვენთან ერთად ჩირადაც არ უღირს ხანში შესული, ახალგაზრდა თუ პატარა ბავშვის სიცოცხლე!!! მოგიწოდებთ, სასწრაფოდ მოაშორეთ ეგ თქვენი სიკვდილის მანქანა აქაურობას!

**ირინა გოგოსაშვილი**
555 25 43 35



# დავით გაგნიძე:

# დარწმუნებული ვარ, ამ ინტერვიუს შემდეგ ვიღაც-ვიღაცეები პრორუსად და „სამშობლოს მოღალატედ“ გამომაცხადებენ...

**„თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი რომ თამაშობს და თურქეთი მჭიდროდ არის დაკავშირებული ისლამურ სახელმწიფოსთან, ვფიქრობ, ორი აზრი არსებობს. რა გარანტია გვაქვს, რომ თურქეთის ხელმძღვანელობა ტერორისტებს საქართველოსკენ არ გამოატარებს, პატარ-პატარა ჯგუფების გამოშვება არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს, საბოლოო ჯამში 200-300-კაციანი (შეიძლება გაცილებით მეტიც) დაჯგუფებაც რომ აღმოჩნდეს ჩვენს ტერიტორიაზე, საქართველოსთვის დამღუპველ შედეგს მოიტანს“, აცხადებს პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი დავით გაგნიძე.**

- საქართველოს მოქალაქე მუსულმანები, ის ქართველები, რომლებიც ხალიფატის მხარეს იბრძვიან და სხვადასხვა მუქარებით „გვანებივრებენ“, ჩემი აზრით, რეალურად თურქეთის ინტერესებს იცავენ, ეტყობა ამ მეთოდით ებრძვის ეს ქვეყანა მთელ მსოფლიოს. 21-ე საუკუნეში ტერორიზმმა სახე იცვალა, ადრე თუ ვიღაცას მოკლავდნენ, ან რაიმე ობიექტს ააფეთქებდნენ თავისი სახელმწიფოს ან პირადი იდეური ინტერესების გამო, ის დრო წარსულს ჩაბარდა. სახეშეცვლილი ტერორიზმი უფრო ფართო მასშტაბისაა, უფრო „მრავალფეროვანი“, მეთოდებიც დაიხვეწა და პროფესიონალების მხარდაჭერაც გახდა საჭირო. თუ ტერორისტული დაჯგუფება კონკრეტულ სახელმწიფოს ებრძვის, ან მისი მოსახლეობა უნდა გაანადგუროს, ან გარკვეული დივერსია უნდა მოაწყოს, ააფეთქოს სხვადასხვა მნიშვნელოვანი ობიექტები, იქნება ეს ნავთობის და გაზის ჭაბურღილები, ელექტროსადგურები, ენერგომატარებლების სატრანსპორტო მაგისტრალები და ა.შ. ამიტომაა საჭირო ხსენებული სფეროების პროფესიონალების გადაბირება და მათი მხრიდან დახმარება. სახელმწიფოს როგორც არ უნდა ძლიერი სპეცსამსახურები ჰყავდეს, მაინც ძნელია ტერორიზმთან ბრძოლა და მისი აღკვეთა, რაც დაამტკიცა საფრანგეთის მაგალითმა, რომელსაც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სპეცსამასახურები ჰყავს. საერთოდ, ნებისმიერი ტერაქტის მომზადებასა და შესრულებაზე სამი ჯგუფი მუშაობს, პირველს დავარქვათ დაზვერვის ჯგუფი, რომელიც სწავლობს სამიზნეს, იქნება ეს სამრეწველო ობიექტი თუ ხალხის თავშეყრის ადგილი, რომ რაც შეიძლება მეტი ხალხი დაიხოცოს, მაგალითად, პარიზში კაფე და კულტურული დაწესებულება ააფეთქეს. ეს ჯგუფი ამოწმებს რამდენ ხანში ერთხელ პატრულირებს იქ პოლიცია, სწავლობენ მიმდებარე ქუჩებს, საიდან აქვს კაფეს, რესტორანს თუ საკონცერტო დარბაზს მეორე გასასვლელი, ამ ყველაფრის ფოტოებს იღებენ და აწვდიან ტერორისტული აქტის ე.წ. დამკვეთებს. მეორე ჯგუფია ე.წ. მომმარაგებელი, მან უნდა უზრუნველყოს ცეცხლსასროლი იარაღით, ტყვია წამლით, ასაფეთქებელი ნივთიერებებით და თუ საჭირო იქნება, ჯავშანჟილეტებით შემსრულებლებლები. გამორიცხულია, საფრანგეთის ტერაქტების დროს გამოყენებული საბრძოლო მასალა ყატარიდან ან ხალიფატის ტერიტორიიდან ჩამოეტანათ, ყველაფერი ადგილზე იქნებოდა შეძენილი. მესამე ჯგუფია შემსრულებელი. საქმე იმაშია, რომ ამ უკანასკნელის წევრები „მზვერავებს“ და „მომმარაგებლებს“, საერთოდ არ იცნობენ, სულ სხვაა საჭირო ინფორმაციისა და საბრძოლო მასალის უშუალო მიმწოდებელი. „ხელმძღვანელობა“ ამით თავს იზღვევს, “რომ შემსრულებლების „ჩავარდნის“ შემთხვევაში, სხვები არ გაიშიფრონ. ტერაქტის მოწყობის შემდეგ, შემსრულებლები სათითაოდ ტოვებენ იმ ტერიტორიას და სხვადასხვა მიმართულებით უჩინარდებიან. ხომ წარმოგიდგინიათ როგორი რთულია მათი აყვანა. ჩემი აზრით, ტერორიზმთან ეფექტურად ბრძოლის ერთადერთ გამოსავალი არსებობს, ამერიკასავით კი არ უნდა აურიო ტერორისტების „ექსპორტიორი“ ქვეყნები, პირიქით, იქ ისეთი ეკონომიკური და სოციალური პირობები უნდა შეუქმნა მოსახლეობას, რომ გარკვეული გასამრჯელოს გამო ამ საზარელი დანაშაულის ჩადენის სურვილი არ გაუჩნდეს, რაც შეიძლება საკუთარი სიცოცხლის ფასადაც დაუჯდეს. საქართველო უკვე რეალურად დგას ტერორიზმის საფრთხის წინაშე, ვინმემ რომ მოინდომოს აქ ტერორისტული აქტის ჩატარება, მისი გამოვლენა და აღკვეთა ძალიან რთული იქნება, ამიტომ მარტო სამართალდამცავებს ნუ დავაკისრებთ ამ მოვალეობას, მოსახლეობამაც დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს და თუ რაიმე საეჭვო შენიშნა, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს შესაბამის სამსახურებს.



**- ბატონო დავით, საფრანგეთში ტერორისტული აქტების მომწყობები უაქცენტო ფრანგულით საუბრობდნენ, როგორც შემდეგ გაირკვა ისინი ადგილობრივი მცხოვრებლები იყვნენ, აქედან გამომდინარე, არ მგონია, მათთვის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს ებიძგებინა უმძიმესი დანაშაულისკენ.**

- გეთანხმებით, მაგრამ ეს ხალხი არაბული წარმოშობის იყო და თავის დროზე მათი წინაპრები სწორედ ამ პრობლემების გამო გაიქცნენ საფრანგეთში. გაუმართლებლად მიმაჩნია მაღალი დონის ვიზალიბერალიზაცია, ეს ყბადაღებული გლობალიზაცია ყოველთვის ასეთ უბედურებას მოიტანს. მე არავის ვაყენებ შეურაცხყოფას, მაგრამ ტერორიზმი მუსულმანური სამყაროსთვის უფროა დამახასიათებელი, თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამას რადიკალურად მოაზროვნე მუსულმანები აკეთებენ. სხვათა შორის, ქრისტიანი როგორც არ უნდა „ფუნდამენტალისტი“ იყოს, როგორც ნაციონალები უწოდებენ მორწმუნე ქრისტიანებს, ფაქტობრივად, გამორიცხულია რწმენის გამო ასეთ დანაშაულზე წავიდეს. ერთი პერიოდი საქართველოში ძალიან აქტიური იყო ვაჰაბიზმის თემა, რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომის დროს ჩრდილოკავკასიელი ვაჰაბიტების 60-70% შემოყვა იქაურ ლტოლვილებს, სულ 500 ვაჰაბიტი იყო, ვაჰაბიზმი თავიდან არც იქ იყო ფართოდ გავრცელებული. ეს არის სექტა, რომელიც პატივს არ სცემს ისლამისტურ და კავკასიურ ტრადიციებს, უხუცესების აზრი მათთვის არაფერს ნიშნავს. იმ პერიოდში შსს-დან პანკისში გახლდით მივლინებული და ეს თავად ქისტებისგან მომისმენია. რადიკალური ისლამის მიმდევრები ისე ყავთ „დამუშავებული“, რომ მათ ალაჰის გამო თავი უნდა გაწირონ, ისინი წინასწარმეტყველ მუჰამედს არ აღიარებენ და ფაქტობრივად, არც ყურანს, რადგან მუსულმანთა წმინდა წიგნი, ნამდვილად არ მოუწოდებს სისხლის ღვრისკენ. ეს რადიკალური ფრთა ძირითადად ახალგაზრდა თაობაა, რომელიც საუდის არაბეთმა დააფინანსა და პირსისხლიან ავაზაკებად გამოზარდა. გვინდა თუ არ გვინდა, საბოლოო ჯამში მაინც ამერიკასთან მივდივართ, რადგან საუდის არაბეთის უკან ეს ქვეყანა დგას. ამერიკელებმა თავის დროზე თითქოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შექმნეს რადიკალი ისლამისტები იგივე ავღანეთში, რომლებსაც მოჯაჰედებს უწოდებდნენ, №1 ტერორისტად შერაცხული ბინ ლადენიც ხომ ამერიკული „პროექტი“ იყო. ახლა ირკვევა, რომ ეს ვითომდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შექმნილ-დაფინანსებული რადიკალები, სინამდვილეში მთელი მსოფლიოს და უშუალოდ ევროპის წინააღმდეგ ყოფილან მიმართული. ადრეც მითქვამს, რომ რუსეთი და აშშ-ი შეთანხმებულად მოქმედებდნენ, რაშიც არც ახლა მეპარება ეჭვი, მაგრამ, როგორც ჩანს, ამერიკის ბოლომდე ნდობა არ შეიძლება, პარალელურად მას თურქეთთანაც ჰქონია გარკვეული გარიგება, რისი შედეგიც ბოლო ხანებში აშკარად გამოჩნდა. ამერიკა თითქოსდა თვითონ აპირებს ევრაზიის კონტინენტიდან წასვლას, სამაგიეროდ თურქეთის დატოვება უნდა აქ იმ ჟანდარმად, რომლის უკანაც ისევ თვითონ იდგება. იმიტომაც აცხადებენ ღიად თურქეთის პირველი პირები, რომ თურმე ოსმალური იმპერიის აღდგენას აპირებენ მაკედონიიდან ჩინეთამდე, რომლის შემადგენლობაშიც ცხადია, მთელი კავკასია მოიაზრება. თავად განსაჯეთ, ამერიკიდან რომ არ იყვნენ მხარდაჭერილები, თურქები ამის თქმას გაბედავდნენ? სხვათა შორის, ეს პროცესი უკვე კაი ხნის დაწყებულია, პრეზიდენტყოფილმა სააკაშვილმა, რომელსაც მიხეილ-ყრუს სახელი უფრო უხდება, თურქეთის 30.000 მოქალაქეს მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა, ნახეთ რა ხდება აჭარაში და არა მარტო იქ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბათუმის აეროპორტს თავიანთ შიდა სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტად განიხილავენ თურქები. სააკაშვილმა თავისი საქციელი იმით გაამართლა, აქაოდა ქართული წარმომავლობისაა ეს ხალხიო. ასე თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანიც ქართული წარმომავლობისაა, მაგრამ ხომ გახსოვთ, როგორ იუკადრისა ეს რომ შეახსენეს. საქართველოს ტერიტორიის 1/3 აქვს თავის დროზე მიტაცებული თურქეთს და მადლობა უნდა უნდა თქვა, იქ ქართულ სიტყვას თუ გაიგონებ, ბოლომდე გაათურქეს ეს ხალხი და თუ ჭკუას დროზე არ მოვუხმობთ, ჩვენც იგივე მოგველის.

**- რუსული ბომდამშენის ჩამოგდებასთან და კატაპულტირებული მფრინავის ჰაერში დახვრეტასთაან დაკავშირებით რას ფიქრობთ, რამაც უკიდურესად დაძაბა ისედაც რთული ვითარება?**

- ელემენტარულ კითხვას ვსვამ, ვინ და როგორ შეძლო თვითმფრინავის ჩამოგდებისა და მფრინავის დახვრეტის ასე ვთქვათ, ოპერატიულად გადაღება, ხომ ნახეთ რა ხარისხის კადრები გავრცელდა, ეს არ იყო ვუნმე მოყვარულის ან მობილური ტელეფონით გადაღებული კადრები. რა გამოდის, წინასწარ იყო იქ მობილიზებული გადამღები ჯგუფები, რომლებიც სხვადასხვა მხრიდან იღებდნენ ამ ტრაგედიას, ე.ი. წინასწარ იცოდნენ, რაც მოხდებოდა? რუსულმა სამხედრო თვითმფრინავმა ადრეც დაარღვია თურქეთის საჰაერო სივრცე და მაშინ რატომ არ ჩამოაგდეს, ხომ ამბობდნენ, რომ ის გამოაცილეს? ფაქტია, ბოლო ხანს თურქეთი ძალიან ბევრის უფლებას აძლევს თავს, რასაც თავისი ახსნა აქვს, ვფიქრობ, მას ამიერკავკასიაში (სამხრეთ კავკასია) უნდა გავლენების მოპოვება და გაფართოება, მაგრამ მერწმუნეთ, ჩემი მოსაზრება მავანთ შეიძლება ძალიან არ ესიამოვნოთ, რუსეთი ამას არ დაუშვებს. კრემლი შეიძლება თავიდან იმიტომ იქცეოდა შედარებით რბილად, რომ ფიქრობდა საქართველოსა და სომხეთისთვის მიუღებელი იქნებოდა თურქეთის ამბიციები, მაგრამ თურქეთს უკვე ძალიან ზედმეტი მოუვიდა, რასაც თვითონვე მიხვდა, ხომ ხედავთ ერდოღანი როგორ არის გადასული თავის მართლების რეჟიმში და რუსეთს წყენის დავიწყებას სთავაზობს. საბერძნეთის ხელისუფლების განცხადებით, თურქეთმა გასულ წელს 1500-ჯერ დაარღვია საბერძნეთის საჰაერო სივრცე (გავრცელებული ინფორმაციით, ეს დარღვევები მიმდინარე წელსაც გრძელდებოდა და მათი რიცხვი გაცილებით მეტია – მ.ს.), რატომ არ ჩამოაგდეს ბერძნებმა თურქული თვითმფრინავები, მით უმეტეს, რომ თურქეთსა და საბერძნეთს მაინც და მაინც თბილი ურთიერთობა არ აქვთ ერთმანეთთან. ისრაელის ხელისუფლება აცხადებს, რომ რუსულმა თვითმფრინავმა მათი საჰაერო სივრცეც დაარღვია სპეცოპერაციის დროს, მაგრამ ისრაელს ეს ტრაგედიად არ შეუფასებია. გასულ წელს თურქებმა საერთოდაც საზღვარი გადმოსწიეს სარფთან, ვინ მისცა მათ ამის უფლება? პატრიოტთა ალიანსს რომ არ აეტეხა ერთი ამბავი, ყველაფერი „ხახვივით შერჩებოდათ“. თურქეთი რომ ამ ე.წ. ისლამურ სახელმწიფოს ეხმარება, ეს უკვე აღარავისთვისაა საიდუმლო, პრეზიდენტმა ერდოღანმა 25 ნოემბერს ბრძანა, რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებით, ჩვენი და ჩვენი ძმების ინტერესები დავიცავითო, ე.ი. რა გამოდის, ხალიფატის მებრძოლების ინტერესებს იცავენ? სირიის ტერიტორიაზე უკანონოდ მოპოვებულ ნავთობს რომ თურქეთი ყიდულობს და ამ „ბიზნესში“ ერდოღანის ოჯახია ჩართული, ამას უკვე მთელი მსოფლიო ლაპარაკობს და დავიჯერო ეს არ იცოდა ამერიკამ, ცხადია, თავიდანვე მშვენივრად იცოდნენ. რუსული ბომბდამშენი რომ არავი-



თარ საფრთხეს არ წარმოადგენდა თურქეთისთვის, მართლაც რომ შესულიყო მათ ტერიტორიაზე, ეს მათ კარგად იცოდნენ. ჯერ ერთი, მაქსიმუმ 5-6 წამი ყოფილიყო ეს თვითმფრინავი თურქეთის ცაში, თანაც მან უკვე შეასრულა დაბომბვის ოპერაცია და ცარიელი ბრუნდებოდა ბაზაზე. თუკი რუსეთის პრეზიდენტი ტყუის, რომ ანტიისლამურ კოალიციას, კერძოდ ამერიკას ინფორმაციას აწვდიდნენ ბომბდამშენებისა და მოიერიშე თვითმფრინავების მარშრუტების შესახებ, რატომ არ უარყო ამერიკამ პუტინის ნათქვამი? ე.ი. კარგად იყვნენ ინფორმირებული მარშრუტის და სპეცოპერაციის დროის შესახებ, ეს სისხლიანი სპექტაკლი დადგეს და გადაიღეს კიდეც. მე თანავუგრძნობ რუს ხალხს ბარბაროსულად დახვრეტილი მფრინავის გამო, არანაირ კანონმდებლობაში არ ჯდება ვითომდა ბაშარ ასადის ოპოზიციის ქმედება, თუმცა ხომ გაირკვა, რომ ამ ბარბაროსობის „შემოქმედნი“ დაქირავებული თურქი მებრძოლები იყვნენ, მათ შორის ყველაზე აქტიურად რომელიც პოზირებდა ტელეკამერებთან, თურქეთის რომელიღაცა ქალაქის ყოფილი მერის შვილი ყოფილა. ეს ყველაფერი იმიტომ იყო წინასწარ გათვლილი, რომ ამერიკამ როცა სირიაში დაბომბვები, ის სირიის სამთავრობო ჯარს და ქურთებს ურტყამდა, ქურთებს უტევდა თურქეთიც, რუსეთმა თავიდან 1-2-ჯერ შეიძლება მართლაც დაარტყა ე.წ. ოპოზიციას, მაგრამ მერე იგილის პოზიციებს ბომბავდა და ეს ვერ აიტანეს, რადგან თურქები და არა მხოლოდ ისინი უზარმაზარ შემოსავალს კარგავენ.

„საერთო გაზეთს“ რამდენიმე წლის წინ სანდო წყარომ (იგი თავად მსახურობდა ერაყში სამშვიდობო მისიით) ძალიან საინტერესო ინფორმაცია მიაწოდა, რომ მისი ჯგუფის მორიგეობის დროს 1500 ე.წ. შალანდა გადიოდა, სადღაც ბაქუბის მიდამოებში, თითოეული ეს სატვირთო ავტომანქანას 60 ტონაზე მეტი ტვირთი გადააქვს, ყველა იმ ავტომანქანაზე ცისტერნები იყო დამონტაჟებული, რომლებსაც კაპიკების ფასად შეძენილი ნედლი ნავთობი გაჰქონდათ ერაყიდან. ჩვენ თვითონ ვაძლევდით მიმართულებას ამ ავტომანქანებს, რომლებიც საპორტო ქალაქისკენ მიემართებოდნენ, სადაც ტანკერები ელოდებოდნენ და მერე გაურკვეველი მიმართულებით მიჰქონდათ ეს ძვირფასი ტვირთიო. მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის მკვეთრ დაცემას, წყარო ამ ყველაფერს უკავშირებს, კიდევ რამდენი ავტოკოლონა გადიოდა სხვა ჯგუფების მორიგეობისას, საკითხავია და სად ხდებოდა „შავი ოქროს“ დასაწყობება, რომ საჭიროების დროს ბაზარზე გამოეშვათ.

**დავით გაგნიძე**: „დარწმუნებული ვარ, პრორუსად და „სამშობლოს მოღალატედ“ გამომაცხადებენ, არადა მე, მილიციის ოფიცერმა 1989 წლის 10 აპრილს პარტბილეთი რომ დავდე, ზოგიერთი დღევანდელი მედასავლეთე მაშინ შევიდა კომუნისტურ პარტიაში, მაგრამ სრულად ვეთანხმები რუსეთის პრეზიდენტის პოზიციას, რომ ბომბდამშენის ჩამოგდებით, თურქეთმა რუსეთს ზურგში ლახვარი ჩასცა და რაც გარკვეულწილად სამხრეთ კავკასიის იგილთან დასაპირისპირებლად გაკეთდა. ერდოღანიც, ისევე, როგორც სააკაშვილი ამერიკის გარეშე ამას ვერ გაბედავდა. ვერ აიტანეს ვლადიმერ პუტინის ერევანში ჩასვლა, ისიც, რომ რუსეთს საქართველოსთანაც აღარ აქვს ადრინდელივით გამწვავებული ურთიერთობა, აქეთ ყირიმის წაღება რუსეთის მიერ. სხვათა შორის, თუ ვინმეს აქვს პრეტენზია ყირიმთან დაკავშირებით, პირველი საქართველოს უნდა ჰქონდეს, რადგან მითრიდატე ევპატორის საპატივცემულოდ დაერქვა ყირიმის საკურორტო ქალაქს ევპატორია, მაშინ საქართველოსი იყო ეს ტერიტორია. თურქეთა ყირიმზე პრეტენზია რომ აქვს, მაშინ დაგვიბრუნოს ტაო-კლარჯეთი, „თეთრმა მელამ“ რომ მოუწერა ხელი ხელშეკრულებაზე და დაუკანონა, მეორედ დაუდასტურა სააკაშვილის „ღირსეულმა მასწავლებელმა“ თურქეთს, რომ ამ მიწებზე აღარასდროს გვექნება პრეტენზია. ხომ ხედავთ როგორ ცდილობს ამერიკა, რომ მუსულმანური სამყარო ქრისტიანებთან, კერძოდ, მართლმადიდებლებთან დააპირისპიროს, დააკვირდით ვინ არის ყველაზე რთულ მდგომარეობაში, ვის ებრძვიან უმოწყალოდ, კოპტები (ეგვიპტელი ქრისტიანები), სირიელი ქრისტიანები, ხალიფატის მებრძოლებიმათ ბავშვებს ყელს ჭრიდნენ. რა დღეშია ბულგარეთი, სერბეთი, რუმინეთი, საბერძნეთი, საქართველო, უკრაინა, რუსეთიღა დარჩა, ეს ბრძოლა ძირითადად რუსეთის, უძლიერესი მართლმადიდებლური ქვეყნის წინააღმდეგ მიდის, რომ მართლმადიდებლობა მიწის პირიდან აღგავონ. ზოგიერთ გულუბრყვილო ქართველს უხარია რუსული ბომბდამშენის ჩამოგდება, ამ ხალხს ისტორიული გულმავიწყობა დაემართა, ან დაავიწყდა სტამბოლის მონათა ბაზარი ანდა მოსკოვის აგრარულ ბაზარში ეშლება. ის რუსი მფრინავი ჩვენს დასაცავადაც იბრძოდა სირიაში, რადგან თუ იგილი დროზე არ ალაგმეს და უფრო გაძლერდა, უბედურება არც საქართველოს დაადგება კარგი დღე. აქაც რომ შემოვიდნენ ეს აღვირახსნილი მკვლელები ვინ შეებრძოლება „კაბიანი გებელსი“ თინა ხიდაშელი ევროტური რომ მოიწყო? როგორც გითხარით, ამერიკა თურქეთის დატოვებას აპირებს ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში საკუთარ ჟანდარმად, მისი ხელით უნდა მართოს სიტუაცია, მაგრამ რუსეთი ამას არ დაუშვებს და არც მისი ჯარისკაცების ბარბაროსული მეთოდით დახოცვას აპატიებს, არც უნდა აპატიოს, რადგან არცერთი თავმოყვარე ქვეყანა, მით უმეტეს თუ ამისი ძალაც შესწევს, ასეთ შეურაცხყოფას არ პატიობს. რაც შეგვეხება ჩვენ, ჭკუას უნდა მოვუხმოთ, უნდა გავაანალიზოთ რა რეალობაში ვცხოვრობთ, მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების პროცესში, ნუ ვიმეორებთ თუთიყუშებივით გაზეპირებულ ფრაზებს და მივყვებით გატკეპნილ გზას, რომელიც დიდ უბედურებამდე მიგვიყვანს, თუმცა ხალხს რას ვერჩი, ეს ერთი მუჭა გრანტებითა და სხვა სიკეთეებით ნაკვები ხალხის პოზიციაა. ჩაატარონ ობიექტური რეფერენდუმი და დარწმუნდებიან რამდენი საქართველოს მოქალაქეა ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების მსურველი. ხალხმა ხმა უნდა ამოიღოს და ამერიკის ახალ „მეფინაცვალსაც“ დაანახოს, რომ მათთვის ძალით თავსმოხვეული ე.წ. დემოკრატია და ქვეყნის დამღუპველი საგარეო პოლიტიკა მისთვის მიუღებელია.

**მანანა სუხიშვილი**
**599 51 28 24**




# რა კავშირი არსებობს თურქეთსა და „ისლამურ სახელმწიფოს“ შორის?

სირია-თურქეთის საზღვარზე რუსული ბომბდამშენის ჩამოგდებას, რომელიც თურქულმა გამანადგურებლებმა განახორციელეს, რუსეთის მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა. რუსული თვითმფრინავის ჩამოგდების მიზეზი, როგორც თურქული მხარე აცხადებს, მათი საზღვრის დარღვევა გახდა. თუმცა, როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, რუსულ თვითმფრინავს საზღვარი არ დაურღვევია. საჰაერო სივრცის დარღვევისასაც კი, საერთაშორისო შეთანხმებით, ცეცხლი უკიდურეს შემთხვევაში უნდა გაეხსნათ. თურქული მხარის განცხადებით კი რუსული თვითმფრინავი 15-17 წამის განმავლობაში იმყოფებოდა მათ ტერიტორიაზე.



თურქეთის საჰაერო საზღვრის დარღვევის ფაქტი სამიოდე კვირის წინ ნამდვილად მოხდა რუსული თვითმფრინავის მიერ, მაგრამ მაშინ დიპლომატიური არხებით გაირკვა ვითარება და რუსეთმა აღიარა კიდეც მომხდარი. მას შემდეგ გადაწყდა, რომ ტერორიზმთან მებრძოლი კოალიციის წევრებს გაეცვალათ ინფორმაცია, თუ სად და როდის განახორციელებდნენ სამხედრო მანევრებს, რათა ერთმანეთისთვის ხელი არ შეეშალათ. გასულ კვირას მომხდარი ინციდენტი ბევრ კითხვას ბადებს.

დავიწყოთ იმით, რომ რუსულ თვითმფრინავზე შეტევას რამდენიმე პროფესიული ვიდეოკამერა იღებდა სხვადასხვა რაკურსით. იმავე კადრებში ისმის ფოტოაპარატების ხმაურიც. გამოდის, რომ ჟურნალისტებმა წინასწარ იცოდნენ განსახორციელებელი აქტის შესახებ. რუსეთის მხარის გაღიზიანება განსაკუთრებით იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ მათი თვითმფრინავი იმ ტერიტორიის თავზე ჩამოაგდეს, რომელსაც ტერორისტები აკონტროლებდნენ. კატაპულტირებულ მფრინავებს ქვემოდან ცეცხლი გაუხსნეს, ერთი ჰაერშივე დაიღუპა, მეორე სასწაულით გადარჩა, რომელიც დამხმარე ძალებმა გაიყვანეს სამშვიდობოს.

იმავე დღეს, როდესაც ინციდენტი მოხდა, თურქეთმა, როგორც ნატო-ს წევრმა ქვეყანამ, საკითხის განსახილველად პარტნიორებს მიმართა. სხდომა, მართალია, დახურული იყო, მაგრამ უცხოელი ჟურნალისტები თავიანთ ანონიმურ წყაროებზე დაყრდნობით იუწყებიან, რომ ბანაკი ორად გაიყო და თურქეთმა ერთპიროვნული მხარდაჭერა ვერ მიიღო პარტნიორებისგან. პარალელურად, თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი ცდილობდა დაკავშირებოდა თავის რუს კოლეგას, მაგრამ პუტინმა მასთან საუბარი არ ისურვა.

უცხოელი ექსპერტების განცხადებით, რუსული თვითმფრინავის ჩამოგდება საზღვრის დარღვევას ნაკლებად უკავშირდება, ეს ფაქტი მხოლოდ მიზეზი იყო. თურქეთი გააღიზიანა რუსული ავიაციის შეტევების გააქტიურებამ სირიის ტერიტორიაზე. როგორც უკვე დიდი ხანია საუბრობენ, ე. წ. ისლამური სახელმწიფოს მებრძოლები არალეგალური ნავთობით ვაჭრობენ და ამაში ხელს თურქეთის მხარე უწყობსო. თუმცა, აქვე უნდა იქვას, რომ ამ არალეგალურ ბიზნესში სხვა ქვეყნებიც ყოფილან ჩართულნი. როდესაც რუსულმა ავიაციამ დაბომბა ე. წ. ისლამური სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ჭაბურღილები, კუსტარული ნავთობსადენები და ნედლეულით დატვირთული მანქანების ქარავნები, შემოსავალმაც იკლო. როგორც ამბობენ, თურქეთის ენერგეტიკის მინისტრი მათი პრეზიდენტის სიძე ყოფილა.

ჩვენი უცხოელი კოლეგები უკვე ხმამაღლა ალაპარაკდნენ იმ გარემოებაზეც, რომ ე. წ. ისლამური სახელმწიფოს მებრძოლები შეიარაღებას თურქეთიდან იღებენო. ამ თემაზე რამდენიმე თვის წინ ერთ-ერთი თურქული გამოცემაც იუწყებოდა. სტატიას დართული ჰქონდა ფოტო-ვიდეო მასალები, ამიტომაც დააპატიმრეს რამდენიმე დღის წინ გამოცემის რედაქტორი და სტატიის ავტორი ჟურნალისტი. ბრალდებად უცხო ქვეყნის სასარგებლოდ ჯაშუშობა წაუყენეს.

როგორც ცნობილი გახდა, „ისლამური სახელმწიფოს“ დაჭრილი მებრძოლები მკურნალობა-რეაბილიტაციას თურქეთში გადიოდნენ. მათ უპრობლემოდ შეუძლიათ გადალახონ თურქეთ-სირიის საზღვარი. ტერორისტი მებრძოლები მომზადებასაც იგივე თურქეთის ტერიტორიაზე გადიოდნენ. ამიტომაც კატეგორიულად მოსთხოვა აშშ-ის ადმინისტრაციამ თურქეთის მხარეს, მკაცრად გააკონტროლოს თურქეთ-სირიის საზღვარი და აღკვეთოს ყოველგვარი კავშირი ტერორისტებთან.

და კიდევ ერთი საგულისხმო გარემოება — გავრცელდა რამდენიმე ფოტო, სადაც თურქეთის პრეზიდენტის ვაჟი მეგობრების გარემოცვაშია, ერთ-ერთ ფოტოზე კი პიროვნება, რომელთანაც ასახულია უმცროსი ერდოღანი ადამიანების მოჭრილ თავებთან პოზირებს. შორიდან ძნელი სათქმელია, მართალია, თუ შავი პიარი, მაგრამ...

ფართომასშტაბიანი საბრძოლო ვითარების შემთხვევაში თურქეთი აშკარად წაგებული აღმოჩნდებოდა, რადგან გარშემო სამეზობლოში, რბილად რომ ვთქავათ, არასახარბიელო სიტუაციაშია. რუსული თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ ანტითურქული აქციები საბერძნეთში და ბულგარეთში გაიმართა. არადა, ორივე ეს ქვეყანა ნატო-ს წევრია. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს ირანის ფაქტორი, რომელიც რუსეთის მოკავშირეა. გასათვალისწინებელია აგრეთვე ქურთების აქტიურობა მათ ტერიტორიაზე.

თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა, რომ ინციდენტი რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაზე სერიოზულ გავლენას მოახდენსო. დანაქადნებიც მალე შეასრულა. მისი ბრძანებით, თურქეთთან უვიზო მიმოსვლა გაუქმდა, მთელი რიგი პროდუქტების ექსპორტ-იმპორტზე მკაცრი შეზღუდვები დაწესდა. შემცირდა ტურისტული ტურები. არაფერს ვამბობთ ენერგომატარებლებზე, რომელსაც თურქეთი ძირითადად რუსეთისგან იღებდა. შეჩერდა რამდენიმე ათეული მილიარდიანი პროექტები და, მათ შორის, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ატომური ელექტროსადგურის აშენება, რომელიც რუსულ მხარეს უნდა განეხორციელებინა თურქეთში. მოკლედ, ჩვენი სამხრეთელი მეზობელი შეიძლება დიდი ეკონომიკური პრობლემების წინაშე აღმოჩნდეს.

**გია ბურდული**
**551 71 27 07**

# დატოვებს თუ არა ნუგზარ ფოფხაძე ელისო კილაძეს, იგივე „ქინძისოს“, იმ ერთ კაბაში, რომლითაც ქუთაისიდან ჩამოვიდა?



ბევრს დაავიწყდა ფარული ჩანაწერი, რომელიც დაახლოებით ორი წლის წინ გავრცელდა და რომელიც, როგორც მაშინ ამბობდნენ, ნუგზარ ფოფხაძის სახლში იქნა ჩაწერილი. გთავაზობთ ლაშა ამირეჯიბის, გელა ხვედელიძის და ნუგზარ ფოფხაძის ვრცელი საუბრის ჩანაწერიდან ერთ პატარა ნაწყვეტს:

„**ლ.ა** - ერთ რამეს გეტყვით. ტარანტინოს ფილმში როა. ჩემოდნით ორი კაცი მოკლა,კედლები გაასუფთავა ხალიჩა... ორი გვამი წაიღო, წავიდა.ეს კაცი იყო დავით ჩხატარაშვილი.

**გ.ხ** - მერე რა?

**ლ.ა** - რა მერე რა? ჩემი საქმე ის არის,რომ ხალხს გავაგებინო.ამით იჭყლიტება სხვა.

**ნ.ფ** - ჩვენი მიზანი ერთია.

**ლ.ა** - სამართლიანობის აღდგენაა საჭირონ.

**ნ.ფ** - ეგ რომ გაკეთდეს,ხანდახან ასეთი ადამიანებიც საჭიროა.

**გ.ხ** - რატომ უნდა შევანგრიოთ კედელი,როცა შეიძლება სხვანაირად გაკეთდეს.

**ნ.ფ** - ამ წუთში გელა ხვედელიძე არის აქ, არა როგორც გელა ხვედელიძე, არამედ მთავრობის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფიგურა.ჩხატარაშვილი ქვეყნის სამსახურში უნდა ჩადგეს. თუკი თქვენ აბსოლუტურად სწორად იქცევით და ჩხატარაშვილის გამოყენებაზე ფიქრობთ, არის სწორი გზა.

**გ.ხ** - რატომ უნდა დავკარგო მე დრო,როცა ჩხატარაშვილს აქვს ამდენი ინფორმაცია.4-5 თვეა გასული... 5 თვიდან 2 თვე ისე გავიდა... ამ 3 თვეში...“

იცოდა თუ არა ნუგზარ ფოფხაძემ, გელა ხვედელიძესთან ერთად ვის უჭერდა მხარს? რათქმა უნდა იცოდა!! ადამიანი-იმბეცილი უნდა იყო, დავით ჩხატარაშვილის საგმირო საქმეების შესახებ არაფერი იცოდე, მითმეტეს, როცა პრეტენზია გაქვს ყველაფრის ცოდნასა და ყველაფრის მოკვარახჭინებაზე.

**კომენტარები არქივიდან, 2013 წელი, 20 ივნისი, მიხეილ სააკაშვილი აცხადებს:**

„შსს-ს მიერ ბოლო დღეებში გავრცელებულ ფირებში ასახულია ძალიან მძიმე დანაშაული და, რა თქმა უნდა, ამ დანაშაულის ჩამდენები უმკაცრესად უნდა დაისაჯონ, ეს ყველაფერი ამაზრზენია და ბოლომდე დასაგმობი, ამ ხალხს ხელი არ უნდა დააფარონ. მოძალადე ბედუკაძე გაშვებულ იქნა, მან ჩამოწერა ის, რაც მან ვიღაცის დაკვეთით გააკეთა. ამ დარღვევების ჩამდენებს აქვთ სახელები და გვარები და ორი მთავარი ფიგურა, ვინმე ჩხარატაშვილი, რომელიც ჩვენს მთავრობას შევარდნაძისგან გადმოყვა და სამწუხაროდ, დავტოვეთ, ასევე ქარდავა. ორივე აქტიურად თანამშრომლობს ახალ მთავრობასთან, მე ამ ორ ადამიანს არ ვიცნობდი და არ ვიცოდი ვინ იყვნენ, მაგრამ ეს არ გამორიცხავს ჩემს პასუხისმგებლობას. კონკრეტული დამნაშავეები უმკაცრესად უნდა დაისაჯონ”.

**გია ხუხაშვილი, 2013**



ნუგზარ ფოფხაძე

**წლის 9 დეკემბერი:** „ჩხარატაშვილი არავისთან გადასულა და არც არავის უთანამშრომლია მასთან. ეს სწორი არ არის. უბრალოდ “ნაციონალურმა მოძრაობამ“, გაიგო რა, რომ მე მასთან გარკვეული კომუნიკაცია მქონდა, „ქურდს ქუდი ეწვისო“ პრინციპით ააგო თეორია, რომ რაღაც საშინელება ხდებოდა. რაც შეეხება თავად სისხლის სამართლის საქმეს, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, გამოძიება ერთი წელია, მიდის. კონკრეტულ პირებზე მე მასთან საუბარი არ მქონია. მასთან ვსაუბრობდი იმ ეჭვებზე, რაც მქონდა, რომ სააკაშვილის რეჟიმი მუშაობდა მაფიოზური პრინციპით, კრიმინალური მენტალიტეტით იყო გაჟღენთილი და მისგან მაინტერესებდა, ამომეხსნა ანატომია, თუ როგორ მოქმედებდა პოლიტიკური დევნის თვალსაზრისით ხელისუფლება. ჩვენი შეხვედრების დროს იყო შეთანხმება, რომ არც კონკრეტულ საქმეებზე ვისაუბრებდით და არც პიროვნებებზე. ეს გამომძიებლის კომპეტენციაა და ამაზე მე ვერ ვისაუბრებდი. დადასტურდა ის, რაზეც ადრე ვფიქრობდი. ეს ჩემს კვლევაში გამოვიყენე. თავად საინტერესო პიროვნებაა. მას ჰქონდა თავისი როლი ამ ყველაფერში. მისი როლი ე.წ. „მწმენდავის“ როლი იყო — როდესაც ეს პატარა ბიჭები დააშავებდნენ, მას, მისი ინტელექტუალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ევალებოდა შეფუთვა ამათი დანაშაულის. არანაირ გარანტიებზე საუბარი არ ყოფილა, ეს ყველაფერი მოგონილია. ეს ადამიანი აღარც მახსოვდა, 7 –8 თვეა, არ შევხვედრილვარ, მეგონა, უკვე დაჭერილიც იყო“.

**2013 წელი, 7 დეკემბერი, ოფიციალური ინფორმაცია:** „გამოძიებამ დაადგინა, რომ 2012 წლის სექტემბრის თვეში საქართველოს იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა და მთავარი პროკურორის ყოფილმა პირველმა მოადგილემ დავით ჩხატარაშვილმა შეიტყვეს, რომ სასჯელაღსრულების 68 დაწესებულებაში გადაღებული იყო პატიმრების ცემისა და წამების ამსახველი ვიდეომასალა. იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა და მთავარი პროკურორის ყოფილმა პირველმა მოადგილემ დავით ჩხატარაშვილმა სასჯელაღსრულების დაწესებულების სხვადასხვა მაღალჩინოსნებთან ერთად დაგეგმეს და განახორციელეს ამავე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში წინასწარ შერჩეული რამოდენიმე პატიმრის დამცირება, წამება, ცემა და სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაც მიზნად ისახავდა საზოგადოებისათვის ცრუ ინფორმაციის მიწოდებას, თითქოსდა სახელმწიფოს შესაბამისმა საგამოძიებო სტრუქტურებმა დროულად გამოავლინეს პატიმართა ცემისა და შეურაცხყოფის ფაქტები. სწორედ დავით ჩხატარაშვილის ორგანიზებითა და დახმარებით განხორციელდა ზემოაღწერილი სცენარი“.



გია ხუხაშვილი



გელა ხვედელიძე

ანუ:

**„ივლისი, 2013 წელი:**

პრეზიდენტმა სააკაშვილმა სამეგრელოში აღმოჩენილი ვიდეომასალის შექმნა ორ კონკრეტულ გვარს- ლევან ქარდავას და დავით ჩხატარაშვილს დაუკავშირა.

**მიხეილ სააკაშვილი, იანვარი, 2013:** „მე არ მომწონდა რაღაცები, რასაც პროკურატურა აკეთებდა, მათ შორის მისი ზოგიერთი მოადგილე, რომელიც, სხვათა შორის, ახლა აქტიურად თანამშრომლობს უკანონო რეკეტის სტრუქტურებთან, რომელიც მთავრობასთან მიახლოებულ წრეებში ჩამოყალიბდა”—

**ნოემბერი, 2012 წელი:** „ერთი საინტერესო ამბავი მინდა მოგიყვეთ. — წერს ფეისბუქში გოგა ხაჩიძე - არის ასეთი პიროვნება, დავით ჩხატარაშვილი. მას ალბათ სკოლაში, როგორც ხდება ხოლმე, „ჩხატარას“ ეძახდნენ, ჰოდა, ბევრი, დღესაც ასე მოიხსენიებს.

აი, ბ-ნი გია ხუხაშვილი ხომ არის რაღაცის უფროსი, თუმცა რაღა რაღაცის, რააააალაცის!

ჰოდა, მაგ რააააღაცაში “ჩხატარა” არის ხუხაშვილის მოადგილე.

ეს ყველაფერი ისე, უბრალოდ ინფორმაციისთვის, ახლა საინტერესო ამბავი.

მაშინ როდესაც, ყოფილ მინისტრებს, ყოფილ პრემიერ/მინისტრებს, ყოფილ და არსებულ მაღალჩინოსნებს, თითქმის ყოველდღე დაარბენინებენ პროკურატურაში, ფინანსურ პოლიციაში და სხვადასხვა საგამოძიებო უწყებაში, აბა გამოიცანით სად ჩამოართვეს ზურა ადეიშვილის წინააღმდეგ, ის ერთადერთი ჩვენება ბ-ნ „ჩხატარას“?

-სად და ვაკეში... ჭავჭავაძის გამზირზე... ე.წ. „პიქსელის“ შენობაში.

აი ეგრე, მიბრძანდნენ ბ-ნი ხუხაშვილის ოფისში და იქ დაკითხეს“.

**ჩხატარაშვილის ბიოგრაფია:** დავით ჩხატარაშვილი საქართველოს მთავარ პროკურატურაში მთავარი პროკურორის მოადგილედ 2008 წლიდან მუშაობდა, მანამდე (2005-08წწ) კუდ-ის დირექტორის მოადგილე იყო. შევარდნაძის მთავრობის დროს მუშაობდა უშიშროების სამინისტროში, თავდაცვის სამინისტროში, ფინანსთა სამინისტროში, საგადასახადო ინსპექციაში.

გამგები ჩაზუსტების გარეშეც გაიგებს ყველაფერს და

ამიტომ დეტალებზე არ გავამახვილებ ყურადღებას, ამ საქმეში ყველაზე საინტერესო „ცნობადი სახეების“ გელა ხვედელიძის, ნუგზარ ფოფხაძის, გია ხუხაშვილის სვლებია. ესე იგი: გელა ხვედელიძეს დავით ჩხატარაშვილის იმედი ჰქონდა „სამართლიანობის აღდგენის“ საქმეში და ერთ-ერთ რგოლად, შეიძლება საყრდენ ძალადაც, ნუგზარ ფოფხაძეს მოიაზრებდა. ჩხატარაშვილზე ვთქვით ვინც იყო, რაც შეეხება გელა ხვედელიძეს. შს მინისტრის მოადგილემ გელა ხვედელიძემ, როგორც იმჟამინდელი შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებდა „შურისძიების მიზნით, დამოუკიდებლად განათავსა პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერი ინტერნეტსივრცეში“, რასაც მოჰყვა ხვედელიძის გათავისუფლება. ამ ყველაფერს კი წინ უსწრებდა „გელა ხვედელიძის მიმართ ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელება“. ეს ცილისმწამებლური ინფორმაციები, არც მეტი, არც ნაკლები კვერცხებს (კვერცხების ბიზნესს) ეხებოდა და ეს ინფორმაციები ელისო კილაძის გაზეთით ვრცელდებოდა. და როდესაც გელა ხვედელიძე სამსახურიდან გაათავისუფლეს ელისოქინძისოს დიდი ზეიმი ჰქონდა.




მეტიც, ელისო კილაძე ითხოვდა გელა ხვედელიძის დაკავებას და მე ვიტყოდი სწორადაც იქცეოდა როცა ამბობდა რომ პირადი ცხოვრება ხელშეუხებელი იყო. მართალია, მოგვიანებით როცა მას დასჭირდა „პლასტინკა“ ამოაყირავა და სხვათა პირადი ცხოვრების ამსახველ ვიდეოების ნახვით თავს იწონებდა, მაგრამ „საჭირო დროს“, „საჭირო მომენტში“ კილაძე ასე ამბობდა! მეტიც, დეპუტატის ქმარი მეტადონის პროგრამაში რომ ზის, ესეც კილაძემ გააჟღერა! ელისო კილაძე თავს იწონებდა იმით, რომ ხელისუფლებამ მას დაუჯერა და გელა ხვედელიძე მოხსნა. როცა ხვედელიძეს ბრალი წაუყენეს და დააკავეს, ელისო კილაძე ისევ აღფრთოვანებული იყო - ხედავთ ხელისუფლებამ ჩემი რჩევა ყურად იღო და ხვედელიძე დააკავესო. ცოტა ხნის შემდეგ კი კილაძე ხვედელიძის დამცველად მოგვევლინა და გაზეთის რამდენიმე ნომერი ყოფილი ჩინოსნის გათეთრებას მოანდომა, რაც იმით ახსნა რომ ადრე არ ვიცოდი მართალი კაცი რომ


ელისო კილაძე

იყო, ახლა გავიგე და ხელისფლებას შეცდომის გამოსწორების შანსს ვაძლევო. ამჯერად არ გაუმართლა კილაძეს, ხვედელიძე არ აღადგინეს სამსახურში! ამის შემდეგ გახდა ღარიბაშვილის მტერი კილაძე. წესით ამ „დურდომში“ ხვედელიძეს კილაძისთვის სამართლებრივი გზით პასუხი უნდა მოეთხოვა, ბოლოსდაბოლოს კილაძემ მას კარიერა დაუნგრია, მაგრამ მოხდა პირიქით. კილაძე და ხვედელიძე დამეგობრდნენ და გაუდგნენ გზას!

2014 წელს, 18 მარტს, კილაძემ ივანიშვილს ღია წერილით მიმართა და გელა ხვედელიძის უდანაშაულობის დასამტკიცებლად მოკავშირეობა სთხოვა. ღია წერილში კილაძე წერს რომ ხვედელიძემ სასამართლოზე განაცხადა მე დამნაშავე არა ვარ და ეს ერთი წინადადება ჩემთვის საკმარისი იყო ჟურნალისტური გამოძიება დამეწყოო. ანუ, კაცი მოხსნეს, ეს კილაძემ მე „გავაიმასქენიო“ მჯილი ირტყა გულზე და უცებ ირკვევა, რომ რასაც მისი გაზეთი აქვეყნებდა კვალიფიციური წერილი კი არა, ჰაერიდან მოტანილი ზღაპარი იყო. რაც მთავარია ამ ზღაპრის არსებობას კილაძე თავად ადასტურებდა ღია წერილში! ამ წერილში კილაძე ასევე წერს: „მე ვენდე სამართალდამცავ ორგანოებს და მაშინდელ შს მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი რომ ხვედელიძის საქმეში ბრალდება ასეთი თეთრი ძაფით იქნებოდა ნაკერი. ფაქტია, ჩვენი ჟურნალისტური გამოძიების პირველი ნაწილის გამოქვეყნების შემდეგ პროკურატრა სასამართლო პროცესს ველარ ატარებს“. გაიგეთ? გამოსავალი ნაპოვნია - თურმე კილაძე ზედმეტად ენდო ღარიბაშვილს! არადა, დრო იყო კილაძე „სტატიას“ „სტატიაზე“ აცხობდა ხვედელიძის წინააღმდეგ და მაშინაც ამბობდა რომ ჟურნალისტური გამოძიება ქონდა ჩატარებული. ქინძისო როგორი „გამომძიებელია“ ეს ნუგზარ ფოფხაძემ თქვას, სწორედ მის სახლში იყო „სხადნიაკები“ და იმიტომ! სხვა საკითხია, რატომ მიადგა ხვედელიძე მისი კარიერის დამანგრეველს და რატომ სთხოვა შველა, მთავარი ისაა, რომ კილაძეს ერთხელ წამოსცდა თურმე - აბა, რა მექნა ხვედელიძე შვილის და ქმრის დაჭერით მემუქრებოდაო!!

ხვედელიძე არ აღადგინეს სამსახურში, არც ბიძინა ივანიშვილი გამოვიდა კილაძესთან კონტაქტზე (სასაცილოდ კი ჟღერს ეს ფრაზა, მაგრამ ხომ ელოდებოდა ქინძისო ამ ნაბიჯს) და კილაძე ახლა იმ ადამიანებს მიუტრიალდა, რომლებზედაც დიდი აღფრთოვანებით აცხადებდა, რომ მისი მეგობრები იყვნენ და ეს ყველაფერი „ლამაზად“ შეფუთა ჟურნალისტის „მანტიაში“.

საინტერესო ისტორია აქვს თავად კილაძის ჟურნალისტიკაში შემოსვლას. კილაძე ამბობს რომ ძალიან ცნობილი ჟურნალისტი იყო და მგონი, თავადაც სჯერა თავისი ნათქვამის: ბადრი პატარკაცისვილის პრეს-სამსახურის უფროსი ვიყავიო ამბობს და ამ დროს ყველას ძალიან კარგად ახსოვს კილაძემ თავისი თავი თავადვე პირდაპირ პრესკონფერენციაზე როგორ დაინიშნა და როგორ დატოვა გაოცებული პატარკაციშვილის წრე. ამას თავი დავანებოთ და იმასაც რამდენიმე წელი რომ იძახდა კილაძე, ბადრის გამო მდევნიანო და ყველა ბრუნვაში ატრიალებდა კოდუას სახელს. 2012 წლის შემდეგ უცებ აღმოჩნდა რომ თურმე კოდუას ცოლი, ნანუკა ჟორჟოლიანი, კილაძის დაქალი ყოფილა. ახლა სხვა საქმე არაფერი აქვს კილაძეს გარდა იმისა ნანუკა ჟორჟოლიანის მაგინებელთა უდიდეს არმიას დაუპირისპირდეს. როგორ მოახერხა პატარკაციშვილის პიარშიკმა პატარკაციშვილის დამაქცევარის კოდუას ოჯახთან მეგობრობა ამაზე კილაძე არაფერს ამბობს, ისევე როგორც არაფერს ამბობს ბადრი პატარკაციშვილის


დავით ჩხატარაშვილი

შტაბიდან პიარისათვის გამოყოფილი ფულის (და ნივთების) დაკარგვაზე.

ერთი „უმნიშვნელო“ დეტალი, რომელიც კილაძემ არ იცის და მინდა იცოდეს: 1980 წლიდან ჯერ საკავშირო იურიდიულ ინსტიტუტში ვსწავლობდი მოსკოვში. ჩემი იქაური კურსელები დღეს შსს-ს და უშიშროების გენერლები არიან. სწორედ ერთ-ერთი კურსელის, უშიშროების გენერლის მხრიდან გავიცანი ბადრი პატარკაციშვილი და



არა ერთხელ ვიყავი მასთან მიწვეული სადილზე, სადაც, როგორც აქაური ისე „იქაური“ (რუსეთის) უშიშროების გენერლები იყვნენ სტუმრად. სხვათაშორის, ნაციონალების ხელისუფლებაში მოყვანის საქმეში იმ გენერლებს დიდი წვლილი მიუძღვით. ზუსტად ვიცი, რომ პატარკაციშვილი კილაძის მსგავს არარაობებთან საქმეს არ დაიკავებდა და ახლა რომ აცხადებს პატარკაციშვილთან რეკომანდაცია გამიწია გელბახიანმაო, მე კარგად მახსოვს პრესაში რა იწერებოდა როცა ე.წ. დევნილობიდან გელბახიანი საქართველოში ჩამოვიდა.

რატომ შეაჩერა ნუგზარ ფოფხაძემ ყურადღება ელისო კილაძეზე? უბრალოდ გულმა გული იცნო თუ 9 აპრილის ქართველ როდიონოვს „წინ დასაჯდომად“ სწორედ ნაციონალების აგენტი სჭირდებოდა (მითუმეტეს, რომ ნუგზარ ფოფხაძემ გააცნო კილაძეს ლაურა ღაჭავა, ირაკლი კოდუას დედა და ნანუკა ჟორჟოლიანის დედამთილი), თორემ გაზეთს ისედაც აკეთებდა ფოფხაძე და მის რედაქტორად კილაძეს კი არა გიორგი მამაცაშვილს მოიაზრებდა. კილაძეს გაუკეთეს საინფორმაციო ინტერნეტგამოცემა, მამაცაშვილი კი გაზეთის რედაქტორი უნდა ყოფილიყო. სწორედ ამ დროს „მამის“ „საყვარელმა“ ასულმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ გაზეთი „დაეთრია“ და „დაითრია“ კიდეც! ფოფხაძეს მამაცაშვილის გაბრაზება არ უნდოდა და ასე გამოჩეკა „რეპორტიორი“. ფოფხაძე იქცა მედია-მაგნატად, თუმცა ოფიციალურად მხოლოდ „რეპორტიორში“ ფიქსირდება.

კილაძე წერს რომ თურმე მასზე კომპრომატები არ მოიპოვება, ის, რაც ზემოთ წაიკითხეთ კაი გოგოობის დამადასტურებელია? აბა ვის რაში აინტერესებს კილაძის წონა ან თვალების ფერი? რაც მისია ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს, ახლა თუ გასკდება და ქვეყანას „მაოხრებელ მკვდრად“ მოევლინება, სხვა საკითხია. „ძაღლი ვინც მოკლა, იმან გადაათრიოსო“, - ეს ანდაზა უთუოდ ეცოდინება „მოხუც-მამას“ და თუ გაითვალისწინებს, კარგი იქნება და უკეთესი იქნება, ფოფხაძე თუ შეუსრულებს თავის გაზრდილს „ქრონიკა+“-ის დაბადებიდან რამდენიმე თვეში („მამის“ ნათლული რომ გააგდო რედაქციიდან უმადურმა ელისომ) მას შემდეგ ნათქვამ ფრაზას - დავტოვებ კილაძეს იმ ერთ ჭუჭყისაგან აქოთებულ, კაბაში, რომლითაც ქუთაისიდან ჩამოვიდაო!

**(გაგრძელება იქნება)**

**ქეთი ზარნაძე**
**599 52 60 30**

# ეპიდემია თუ საბოტაჟის მცდელობა?— რა მოხდა მთისძირის საჯარო სკოლაში?

**„საერთო გაზეთს" აცნობეს, რომ ბოლომდე დაუდგენელი მიზეზების გამო, ყვარლის რაიონის სოფელი მთისძირის მცირეკონტინგენტიან საჯარო სკოლაში სწავლა ორი დღით შეწყდა. ერთ-ერთი ვერსიით, სწავლის შეწყვეტის მიზეზი მოსწავლეებში დეზინტერიის გავრცელება გახდა და სკოლის დირექტორმა გადაწყვეტილება განათლების სამინისტროსთან შეუთანხმებლად, დანარჩენი მოსწავლეების დაცვის მიზნით მიიღო. ცნობისთვის, მთისძირი იუსტიციის ყოფილი მინისტრის მშობლიური სოფელია და სწორედ ეს მცირეკონტინგენტიანი სკოლა დაამთავრა 1988 წელს ზურაბ ადეიშვილმა. 2014 წელს კი ყვარლის რაიონის სოფელ მთისძირში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარობის კანდიდატმა შალვა ადეიშვილმა მოიგო, რომელიც ძებნაში მყოფი ზურაბ ადეიშვილის მამა გახლავთ. გაზეთს სოფელი მთისძირის საჯარო სკოლის ერთ-ერთი პედაგოგი დაუკავშირდა, რომელმაც გარკვეული მიზეზების გამო, გაზეთში ვინაობის დასახელებისგან თავი შეიკავა, თუმცა აღნიშნა, რომ თუ სამინისტრო მომხდარი ფაქტით დაინტერესდება, ის მზადაა, საკუთარი ვინაობა გაამჟღავნოს და სამინისტროს დეტალური ინფორმაცია მიაწოდოს.**



— გარკვეული მოსაზრებების გამო, საგაზეთო წერილში საკუთარ ვინაობას არ გავამხელ, თუმცა თუ განათლების სამინისტრო ამ ფაქტით დაინტერესდება, მზად ვარ მომხდართან დაკავშირებით, ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდო. დავიწყებ იმით, რომ თითქმის ხუთი წელია სკოლას დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნანა მამუკაშვილი მართავს. სამწუხაროდ, ჩვენი სკოლა, რაიონის სხვა სკოლებისგან განსხვავებით, ზამთრის სეზონს მოუმზადებელი შეხვდა. ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ სკოლაში გათბობის სისტემა ყველაზე გვიან-15 ნოემბერს ჩაირთო. შესაბამისად, როგორც კი აცივდა, ბავშვების სკოლაში გამოცხადებამ იკლო, მაგრამ მასწავლებლები ჩვეულებრივად ვატარებდით გაკვეთილებს. 12 ნოემბერს სკოლაში რომ მივედით, აღმოჩნდა, რომ 77 თუ 78 ბავშვიდან, გაკვეთილებზე მხოლოდ ცხრა მოსწავლე გამოცხადდა. ეს რომ გაიგო, დირექტორმა ერთპიროვნული გადაწყვეტილება მიიღო და გამოაცხადა, სამინისტროსთან შევათანხმე- ეს ბავშვები სახლში უნდა გავუშვათ და 12 და 13 ნოემბერს სწავლა შევაჩეროთო. სწავლის შეწყვეტის მიზეზად, დირექტორმა ინფექცია დაასახელა, მაგრამ სინამდვილეში, ბავშვები სკოლაში გათბობის არარსებობის გამო არ დადიოდნენ. თითქმის ხუთი წელია მამუკაშვილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად მუშაობს და გაზიფიცირების პრობლემა დღემდე ვერ მოაგვარა. სკოლაში რადიატორები მხოლოდ საკუთარ თავს ითბობენ. დირექტორს და ბუღალტერს ელექტროგამათბობელები უდგათ კაბინეტებში და მშვენივრად გრძნობენ თავს და ბავშვები საკლასო ოთახებში იყინებიან. ასე იყო თუ ისე, როგორც ნანა მამუკაშვილმა გვითხრა, ბავშვები დავითხოვეთ და მასწავლებლები სახლებში წავედით. სახლში მისვლა ვერ მოვასწარით, რომ დირექტორმა ყველას დაგვირეკა, ახლავე მობრუნდითო და ერთ საათში ყველა მასწავლებელი სკოლაში ვიყავით.

**— ასეთი რა მოხდა, რომ დირექტორმა უკან დაბრუნება გთხოვათ?**

— როგორც ჩანს, სწავლის შეწყვეტა სამინისტროსთან შეთანხმებული არ იყო. იმ დღეს რაიონში თათბირზე წავიდა, ჩვენ სკოლაში სამ საათამდე გაგვაჩერა და როცა მოვიდა, გვითხრა, არავინ უნდა გაიგოს, რომ ბავშვები დავითხოვეთ, ამის უფლება არც სამინისტრომ მოგვცა და გამგებელიც წინააღმდეგიაო. გვიანი ღამე იყო, როცა დირექტორმა ყველა კლასის დამრიგებელს დაურეკა და გააფრთხილა, სამინისტრო მშობლებთან რეკავს და ყველას ამოწმებს, ამიტომ მშობლები გააფრთხილეთ, თუ ვინმე დაუკავშირდათ, უთხრან, რომ ყველა ბავშვი ავად არისო. მე მაშინვე ვუთხარი, რომ ჩემს კლასში ავად არავინ არ იყო და მშობელს ტყუილის თქმას ვერ დავავალებდი. მეორე დღეს, სკოლაში რომ მივედი, დირექტორი ეზოში იდგა და ითვლიდა, რამდენი მოსწავლე გამოცხადდა გაკვეთილებზე, მაგრამ ყველაფერი ასე მარტივად არ დამთავრებულა.

**— კიდევ რა მოხდა?**

— როცა განათლების სამინისტრომ გაიგო, რომ ბავშვები დეზინტერიის გამო მასიურად აცდენდნენ გაკვეთილებს, ჯანდაცვის სამინისტროს შეატყობინა, ჯანდაცვის სამინისტრომ კი ყვარლის მთავარ ექიმს დაავალა, რომ ადგილზე გაერკვია ეს საქმე. ყვარლის მთავარი ექიმი მობრძანდა სკოლაში და მასწავლებლებს გაგვესაუბრა. თან საყვედური გამოთქვა, რომ თუ ასეთი მდგომარეობაა, ყვარლის საავადმყოფოში ავადმყოფის რეგისტრაცია რატომ არ არსებობსო. ზოგმა უთხრა, რომ მოსწავლეები ლაგოდეხის საავადმყოფოს მომსახურეობით სარგებლობდნენ. ლაგოდეხშიც გადაამოწმეს, ოჯახებშიც, კარ და კარაც ჩამოიარეს, პირადადაც ესაუბრენ მშობლებს, მაგრამ ავადმყოფების რაოდენობა მაინც არ დაემთხვა დირექტორის დასახელებულ რაოდენობას.

**— თქვენი აზრით, რატომ მიიღო დირექტორმა სწავლის ორი დღით შეწყვეტის გადაწყვეტილება, თუ რეალურად, ამის საფუძველი არ არსებობდა?**

— იქიდან გამომდინარე, რომ ნანა მამუკაშვილი ადეიშვილების უახლოესი ნათესავი და იდეური ნაციონალია, არ გამოვრიცხავ, რომ საბოტაჟის მოწყობის მიზნით, დირექტორი სოფელში არეულობის მოწყობას ცდილობდა. ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ სოფლის გამგებელი ერთ-ერთი, ნაციონალებთან შეკრული ტელევიზიის მოსალოდნელი შემოსვლის შესახებ გააფრთხილეს. მაშინ, როცა შეამოწმეს სოფლის წყალი და მოვიდა პასუხი, რომ საუკეთესო წყალი გვაქვს და ჯანმრთელობისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს, ჩვენც გვაინტერესებს, რა გახდა დირექტორის ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიზეზი. აქვე გეტყვით, რომ დირექტორს ყველანაირად ეხმარება რესურს-ცენტრის ხელმძღვანელი და ცდილობენ, რომ სამინისტროს ყურამდე არ მივიდეს, სინამდვილეში რა მოხდა. როგორც ვიცი, სკოლის დირექტორს სწავლის შეწყვეტის უფლება მხოლოდ მაშინ ჰქონდა, თუ ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროები დაადასტურებდნენ, რომ სკოლაში ეპიდემია იყო, რაც არ მომხდარა. შესაბამისად, დირექტორს ბავშვების დათხოვნის უფლება არ ჰქონდა და რატომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ.

**ნანა მამუკაშვილთან დაკავშირების არა ერთი მცდელობის მიუხედავად, სკოლის დირექტორს ხმა ვერ მივაწვდინეთ, ამიტომ ყვარლის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსს ქეთევან ჭიპაშვილს დავუკავშირდით.**

— პირველ რიგში, გეტყვით, რომ სკოლაში სწავლა არ შეჩერებულა. იმ წუთიდან, როგორც კი სკოლის დირექტორმა ნახა, რომ გაკვეთილებზე ცოტა ბავშვი გამოცხადდა, ეს ინფორმაცია შემატყობინა და მე იმავე წუთში ვაცნობე განათლების სამინისტროს და ჯანდაცვის განყოფილებას, მაგრამ სწავლა არ შეგვიჩერებია. ვერც იმაში დაგეთანხმებით, რომ სკოლაში გათბობის პრობლემებია. გათბობაც გადასარევად მუშაობს და დამატებით ელექტროგამათბობლებიც აქვთ, თუ ვინმეს შესცივდა.

**— სკოლაში ვირუსის გავრცელებას რას უკავშირებთ?**

— სამწუხაროდ, ანალიზების ჩატარების შემდეგ, რამდენიმე ბავშვზე დეზინტერიის პასუხი მოვიდა და დეზინტერია რისგან ჩნდება, გეცოდინებათ. ყვარელში ჯანდაცვის უფროსი, ბატონი მერაბ სეფაშვილი ინფორმირებული იყო და შემოიარეს ყველა ოჯახი, სადაც იმ მომენტისათვის დაავადებული ბავშვი ჰყავდათ. 78 მოსწავლიდან 21 მწვავე ღებინება ჰქონდა და ლაგოდეხში გადასხმებს უკეთებდნენ. რაც შეეხება დანარჩენ ბავშვებს, მშობლებმა სიფრთხილე გამოიჩინეს და მათი სკოლაში გაშვებისგან თავი შეიკავეს. ჯანდაცვამ აიღო წყლის და საკვების სინჯები და როგორც ვიცი, არც წყლის და არც საკვების პრობლება არ დადასტურდა, მაგრამ რამდენიმე ბავშვზე მოვიდა პასუხი, რომ ეს იყო დეზინტერია. ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ბავშვების ჯანმრთელობაა და ამის შემდეგ, რა თქმა უნდა სწავლა. ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია მობრძანდეს სკოლაში და ნახოს ან რა სისუფთავე და სითბოა და დასკვნას თავად გამოიტანოს.



**„საერთო გაზეთს" სოფელ მთისძირის ექიმი მაია მუღალაშვილი ესაუბრა:**

— დიახ, წყლის ანალიზმა დაადასტურა, რომ წყალი სუფთაა, ამიტომ ვერ გეტყვით, რა მიზეზი უნდა ჰქონოდა ინფექციის გავრცელებას. ეს არის ინფექციური დაავადება, რომელიც ფეკალურ-ორალური მექანიზმით გადადის, ანუ როდესაც ხდება ფეკალური მასებით წყლის ან საკვები პროდუქტების დაბინძურება. ამ დაავადებას „ჭუჭყიანი ხელების" დაავადებასაც ეძახიან.

**— იმის გათვალისწინებით, რომ დაავადება ბავშვებიდან გავრცელდა, შეიძლება თუ არა, ინფექციის წყაროდ სკოლა მივიჩნიოთ?**

— არა, მოზრდილებშიც იყო ერთეული შემთხვევები, მაგრამ მასიურად უფრო სკოლის ასაკის ბავშვებში დაფიქსირდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ინფექციის წყარო სკოლა იყო, იმიტომ, რომ სკოლაში ისეთო დირექტორი ჰყავთ, რომელიც ჰიგიენურ ნორმებს დიდ ყურადღებას აქცევს.

**— საბოლოოდ, რამდენ ადამიანს დაუდგინდა დაავადება?**

— მთლიანობაში, დაავადება საშუალოდ, 40-დან 50-მდე ბავშვსა და ზრდასრულს გამოუვლინდა, მაგრამ ფაქტობრივად, თითქმის ყველა გამოჯანმრთელდა. უმრავლესობას ექიმისთვის არ მიუმართავს, რადგან დაავადება მსუბუქ ფორმებში მიმდინარეობდა. დეზინტერიაში არსებობს მწვავე, წაშლილი და უსიმპტომო ფორმები. არსებობს ასევე ბაქტერიამტარებლობა, ანუ შეიძლება ადამიანი ბაქტერიის მატარებელი იყოს და არანაირი კლინიკური ნიშანი არ ჰქონდეს. ვისაც მწვავე ფორმები ჰქონდა, ისინი ძირითადად, სტაციონარს აკითხავდნენ. ჯანდაცვის განყოფილებას ჩვენ მოვაწოდეთ 38 ბავშვის სია. აქედან 11 შემთხვევა მწვავე იყო. უმრავლესობას უკვე გადატანილი ჰქონდა, მაგრამ ჩვენ მაინც ყველა შემთხვევა აღვწერეთ.

**განათლების სამინისტროში დაგვიდასტურეს, რომ მთისძირის საჯარო სკოლის მოსწავლეებში ინფექციის გავრცელების შესახებ ინფორმაცია მიიღეს, თუმცა სამინისტროს სწავლის შეწყვეტის გადაწყვეტილება არ მიუღია. როგორც გავარკვიეთ, სამინისტროს მთისძირის საჯარო სკოლაში სწავლის შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნია.**

**ნელი თორდია**
571 35 36 88



გია დანელია

# საქართველოს დიასპორის სამინისტროს და „საერთო გაზეთის“ ერთობლივი პროექტი

# უზილეთო მგზავრი

## მოკლემეტრაჟიანი ისტორიები კინორეჟისორის ცხოვრებიდან

**საბჭოთა კინემატოგრაფიის ერთ-ერთი საუკეთესო რეჟისორი, ჩვენი თანამემამულე გიორგი დანელია აგვისტოში 85 წლის გახდა. მთელი ცხოვრება კინოხელოვნებას მიუძღვნა და არაერთი საკულტო ფილმი შექმნა. მის შემოქმედებით ბიოგრაფიაში ბევრი ჯილდოა — როგორც კინემატოგრაფისტთა საერთაშორისო ორგანიზაციებისა, ისე სხვადასხვა კინოფესტივალისა. ხანდაზმულ ასაკში პირველად დაწერა წიგნი, რომელშიც პატარ-პატარა ამბებს გვიყვება, ხან სასაცილოს, ხან — მეტისმეტად სევდიანს . ეს წიგნი ძალიან ჰგავს მისსავე ფილმებს, რომლებიც ასეთსავე განსხვავებულ ემოციებს აღძრავს მაყურებელში და ადასტურებს ჭეშმარიტებას — ცხოვრება შესანიშნავი ჯადოქარია და გენიოსის ყველა ნამუშევარი გენიალურია. ავტორი თითქოს პირისპირ გიზის და უბრალოდ საუბრობს შენთან, იხსენებს მისი ცხოვრების საუკეთესო ეპიზოდებს და იმ ადამიანებს, ვისი გახსენებაც ღირს.**

### ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ

„როცა „არ იდარდოს!“ „მოსფილმის“ სამხატვრო საბჭოს ვაბარებდი, მომთხოვეს ფილმის ტიტრებში მიმეთითებინა, რომ მოქმედება მიმდინარეობს წინა საუკუნეში. გავიკვირვე, ეს ხომ ისედაც ჩანსმეთქი. უცხოეთში ვერ გაიგებენო. ასეთი ტიტრის დაწერა არ მინდოდა და დავიყოლიე მიხეილ რომი, რომლის ხმა ძალიან მიყვარდა, კადრს მიღმა ეთქვა: „ეს ამბავი გასული საუკუნის ბოლოს მზიურ, კრამიტიანი სახლების ქალაქში მოხდა. მაგრამ იქნებ არც მომხდარა... არა, მაინც იყო...“

ამავე ფრაზას ვიყენებ ამ წიგნშიც: რაც მასში წერია, გასულ საუკუნეში გადამხდა. მაგრამ იქნებ არც მომხდარა...

### ᲝᲛᲘ

მე და დედაჩემს ომმა თბილისში მოგვისწრო, ქალაქში, სადაც დავიბადე და ყოველ ზაფხულს ვატარებდი. მამაჩემმა მოსკოვში დაბრუნება აგვიკრძალა. თვითონ 41 წელში ფრონტზე იყო, წინა ხაზზე, სანგრებს აშენებდა უმაღლესი სამხედრო მეთაურებისთვის. გერმანელები ისე სწრაფად მოიწევდნენ, რომ ვერც ერთი ასეთი პუნქტის მშენებლობა ვერ დაამთავრეს და მამაჩემი თავის კოლეგებთან ერთად ორჯერ ფრონტის ხაზის მიღმა, გერმანელთა ზურგში აღმოჩნდა. სასწაულით დააღწიეს თავი.

ყველა პატარა ბიჭივით მეც მინდოდა ფრონტზე გაპარვა და ჩემს თანაკლასელ შურიკ მურატოვთან — შურმურთან — ერთად გასაქცევად ვემზადებოდი. პურს ორცხობილებად ვაშრობდით, ჰოსპიტალში მყოფ დაჭრილს ჭაჭის სანაცვლოდ ნაგანი გამოვძალეთ და სამი ტყვიაც. რაც მთავარია, მოძრავი შემადგენლობიდან გადმოხტომას ვსწავლობდით, ძირითადად — სატვირთო მატარებლებზე ვვარჯიშობდით. სასწაულია, როგორ გადავრჩით...

გაქცევამდე ორი დღით ადრე დედაჩემმა თავი ვერ გაართვა რაღაც საქმეს და მე დავეხმარე. გულში ჩამიკრა და ატირდა. ამის შემდეგ შურმურთან წავედი და ვუთხარი, რომ ფრონტზე ვერ გავიქცეოდი, რომ დედაჩემი ცხოვრებას ვერ გაუმკლავდებოდა, უჩემოდ დაიღუპებოდა... შურმურმა გაქცევა მოახერხა, მაგრამ ფრონტის ნაცვლად რატომღაც ირანში აღმოჩნდა. ერთ თვეში უკან დაბრუნდა და ნადავლი — ნაგანში გადაცვლილი ფინიკი ჩამოგვიტანა.

43-ის ზაფხულში მოსკოვში მამასთან დავბრუნდით.

### ᲒᲖᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲕᲘᲠᲩᲔᲕᲗ

სკოლას რომ ვამთავრებდი, მამაჩემმა თქვა, ÂÃÈÊ-ს მივაბაროთო. დედაჩემმა გაიკვირვა, რატომ მაინცდამაინც ÂÃÈÊ-სო. აბა ამ სულელს რა ვუყოთო.

მამაჩემი მეტრომშენებელში მუშაობდა, კინო არასერიოზულ საქმედ მიაჩნდა და მისთვის ÂÃÈÊ-ი ბოლო ვარიანტი იყო, თანაც, მისი აზრით, იქ „ბლატი“ ჰქონდათ — დედაჩემი „მოსფილმში“ მეორე რეჟისორად მუშაობდა და კინემატოგრაფიის ინსტიტუტში ბევრ ხელოვანს იცნობდა. გარდა ამისა, დეიდაჩემის, სახელგანთქმული ვერიკო ანჯაფარიძის ქმარი, კინორეჟისორი მიხეილ ჭიაურელი ფილმს იღებდა სტალინზე და იმ დროს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი კინომოღვაწე იყო. ÂÃÈÊ-ში ჩაბარებაზე უარი განვაცხადე, რადგან „ბლატი“ მეტისმეტად თვალშისაცემად მომეჩვენა. თანაც რეჟისურისკენ გული არ მიმიწევდა, ისევე როგორც სხვა რამისკენ, გარდა ჯაზისა. დედამ გამაფრთხილა, რომელიმე ინსტიტუტში თუ არ მოხვდები, ჯარში წაგიყვანენო... ჩემი მეგობარი არქიტექტურულზე აბარებდა და მეც გადავწყვიტე, ბედი მასთან ერთად მეცადა.

### ᲑᲔᲓᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲘ

მოსკოვის არქიტექტურის ინსტიტუტში არც ჩავარდნები მქონია და არც დიდი მიღწევები, მაინც მიხაროდა, რომ დავეუფლე პროფესიას, რომელიც მაინტერესებდა. ქალაქების პროექტირების ინსტიტუტში გამანაწილეს, ენთუზიაზმით ვმუშაობდი, მაგრამ ამ მოწადინებას უფროსი ასაკის კოლეგები მინელებდნენ...

ერთხელაც, შესვენებაზე, თანამშრომელთან ერთად სასეირნოდ ქუჩაში გავედი და იმ საბედისწერო დღეს რას ვხედავ: ღობის ძირში წევს არასტანდარტულად ჩაცმული ნასვამი მამაკაცი — მაკინტოშით, ბერეტით, სათვალითა და ჰალსტუხით. საათიც უკეთია. ჩემმა მეგობარმა ოლეგმა თქვა, გავაღვიძოთ, თორემ ამ ინტელიგენტს გაძარცვავენო. ინტელიგენტმა იუარა, ნასვამი არ ვარ, ვისვენებო, წამოჯდა, ჯიბიდან ამოიღო დაჭმუჭნილი გაზეთი, გაასწორა, ისევ დაწვა და ვითომ კითხვა დაიწყო...

ეს ტიპი მაშინ თვალში რომ არ მომხვედროდა, ჩემი ცხოვრება შემდგომი 50 წლის განმავლობაში შეიძლება სულ სხვაგვარად წარმართულიყო. არ იქნებოდა თეთრად გათენებული ღამეები და გულის შეტევები, არ მოვწევდი დღეში სამ კოლოფ სიგარეტს, ვერ ვნახავდი არქტიკის პოლარულ ციალს და ყარაყუმის მირაჟს, შვილიშვილები ვერ იტრაბახებდნენ, რომ ისინი ჩემი შვილიშვილები არიან, გია ყანჩელი არ მაჩუქებდა უცხოურ ქურთუკს, ბევრ კარგ მელოდიას და ამ სულელურ წიგნსაც არ დავწერდი.

...ნასვამი ინტელიგენტი Ñî âåòñêàÿ êóëüòóðà-ს „კითხულობდა“. თვალი მოვკარი სათაურს: „მოსფილმი“ აცხადებს მიღებას სარეჟისორო კურსებზე“...

ამ დროისთვის ჭიაურელი პიროვნების კულტის პროპაგანდისთვის სვერდლოვსკში გაასახლეს და მის შემცვლელ პირევს რომ გაეგო, მისი მოწინააღმდეგის ოჯახის ძმისშვილი ვიყავი, კურსებს არ გამაკარებდა. ამიტომაც რაც შეიძლება ნაკლებ ხალხს უნდა სცოდნოდა, რომ „მოსფილმის“ მეორე რეჟისორის მერი ანჯაფარიძის შვილი ვიყავი.

მიმღებმა კომისიამ, რომელშიც იმ დროის გამოჩენილი კინომოღვაწეები შედიოდნენ, მათ შორის მიხეილ კალატოზოვი, ჩემი კანდიდატურა მოიწონა... და შევუდექი კინორეჟისორის საინტერესო და რთული პროფესიის ათვისებას.



### ᲔᲚᲓᲐᲠ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲐᲘᲐ ᲒᲘᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐᲖᲔ

„გიასთან დიდი ხანია ვმეგობრობ, ერთმანეთს ახალგაზრდობიდანვე ვიცნობთ და როცა მოსკოვში ჩავდივარ, მაშინვე მასთან მივდივარ ხოლმე. მის სახლში საოცარი ატმოსფეროა. გია, გარდა იმისა, რომ შესანიშნავი რეჟისორია, ძალიან კარგი მხატვარიცაა, არაჩვეულებრივად ხატავს მეგობრების შარჟებს. რაც შეეხება ცნობილ შემოქმედებით ტანდემს, მახსოვს, როცა გიამ „არ იდარდოს!“ გადაღება ჩაიფიქრა და თბილისში ჩამოვიდა, ძველ კინოსტუდიაში შეხვედრისას მითხრა: ახალ სურათს ვიწყებ და მინდა, სცენარი ამა და ამ ავტორმა დამიწეროსო. მაშინ მე მას რეზო გაბრიაძე შევთავაზე, რომელიც იმ დროს სცენარს წერდა ჩემი ფილმისთვის. ისინი ერთმანეთს შევახვედრე. სხვათა შორის, მათ მაშინვე მოეწონათ ერთმანეთი. ასე დაიწერა არაჩვეულებრივი სცენარი ფილმისთვის „არ იდარდო!“ შემდეგ მას გია ყანჩელიც გავაცანი და დაიწერა ბრწყინვალე მუსიკა იმავე ფილმისთვის, რომელიც კომპოზიტორის შემოქმედების შედევრად იქცა...





გია დანელიას პირველი სურათი „სერიოჟა“ იყო. მან და მისმა მეგობარმა ტალანტინმა ერთად გადაიღეს ფილმი, რომელშიც მთავარ როლს ბონდარჩუკი თამაშობდა. ეს იყო მოვლენა. ყველა მიხვდა, რომ სტუდიაში მოვიდა ახალი, ძალიან ძლიერი, ნიჭიერი რეჟისორი... ერთხელ ბონდარჩუკმა თქვა: ყველა მისი სურათი ქართულია, იმიტომ რომ მას ისეთი იუმორი და ადამიანების მიმართ ისეთი სიყვარული აქვს, რაც მხოლოდ ქართველებს ახასიათებთო. გია განსაკუთრებულ ოჯახში აღიზარდა. მამა ინჟინერი ჰყავდა. რკინიგზა, რომელიც მიდის ვლადივასტოკში, მამამისის აგებულია. დედა არაჩვეულებრივი ადამიანი, ვერიკო ანჯაფარიძის და გახლდათ. როცა დედა გარდამეცვალა, ის სულ მირეკავდა და მეუბნებოდა: ჩემთან მოდი, უჭმელი არ დარჩეო. მეც სულ დავდიოდი ამ თბილ ოჯახში“.

* * *

ტრაგიკომედია „არ იდარდო!“ 1968 წელს გამოვიდა და ერთ-ერთი ყველაზე საყვარელია თვითონ რეჟისორისთვის, რადგან ყველაზე მეტად ამ ფილმში მოახდინა თავისი ჩანაფიქრების რეალიზაცია. „ჩემი ბიძა ბენჟამენის“ მიხედვით გადაღებულ სურათში შესანიშნავი მსახიობები მონაწილეობენ — სოფიკო ჭიაურელი, სერგო ზაქარიაძე, ვახტანგ კიკაბიძე, ანასტასია ვერტინსკაია, ევგენი ლეონოვი...

* * *

გიორგი დანელიამ გარშემო შემოიკრიბა მსახიობთა განსაკუთრებული ჯგუფი, რომელთანაც მუშაობას უპირატესობას ანიჭებდა ყოველი ახალი ფილმის გადაღებისას. მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა მათთან და სწორედ ამიტომაც შეძლო თითოეულში ჩაბუდებული ტალანტი სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა რაკურსით წარმოეჩინა.

იგივე შეიძლება ითქვას რეჟისორის არჩეულ ჟანრზე — ეს ან ტრაგიკომედიაა, ან, როგორც თვითონ უწოდებს, ლირიკული კომედია. გავიხსენოთ მისი ფილმები, მაგალითად, „მიმინო“. „აფონია“, „შემოდგომის მარათონი“... მაყურებელში გამოწვეულ სიცილს თან სდევს მძიმე ადამიანური ბედ-იღბლის ფაქიზი ჩრდილი.

„შემოდგომის მარათონში“ არაერთი კომედიური ეპიზოდია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კრიტიკოსებმა მას „სევდიან კომედიებს შორის ყველაზე სასაცილო კომედია“ უწოდეს. ფანტასტიკური კომედია „ქინ-ძა-ძა“ კი რეჟისორის სატირული ტალანტის მწვერვალია. ფილმმა უამრავი ჯილდო მიიღო და დღემდე რეჟისორის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ფილმად აფასებენ.

### ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

გიორგი დანელიამ სამჯერ იქორწინა და თითოეულმა მისმა რჩეულმა რეჟისორს შვილი აჩუქა. პირველი მეუღლე იყო ირინა გინზბურგი — ჰყავთ ქალიშვილი სვეტლანა; მეორე მეუღლესთან მსახიობ ლუბოვ სოკოლოვასთან შეეძინა ვაჟი ნიკოლოზი, რომელსაც მშობლების შემოქმედებითი თვისებები გამოჰყვა და შესანიშნავ რეჟისორად, პოეტად და მხატვრად ჩამოყალიბდა. ახალგაზრდა ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა და გიორგი დანელიას გულს ღრმა ჭრილობა დააჩნია. მისი უკანასკნელი ოფიციალური მეუღლე გახდა დამდგმელი რეჟისორი გალინა იურკოვა. მათ ერთად იმუშავეს ფილმ „ფრანგზე“...

გიორგი დანელიას თამამად შეიძლება ვუწოდოთ საბჭოთა კინემატოგრაფის ლორდი. თავის თითოეულ ნამუშევარს უდგებოდა დიდი თავგანწირვით, რამაც შეაძლებინა შეექმნა ფილმები, მაყურებელს ემოციათა განსხვავებულ ჯაჭვს რომ უჩენს. „უნდა იმუშაო, მაშინაც კი, თუ არ გამოგდის, უნდა დაუბრუნდე, გადააკეთო, გაარკვიო, რა ვერ გამოდიოდა და რატომ. ჩემთვის მეტისმეტად ძვირფასია დარბაზის ამაღელვებელი სიჩუმე იქ, რომელსაც ველოდი და სიცილის გუგუნი, ყველას ერთბაშად გამხიარულება. ეს მაყურებელთან საუკეთესო შეხვედრაა“.

**ᲔᲚᲖᲐ ᲜᲐᲑᲐᲮᲢᲔᲕᲔᲚᲘ**



11 ოქტომბერია. ტერენტობაზე მივიჩქარით სამნი, ჩემი უმცროსი მეგობრები: დავით შამუგია, ლაშა გვასალია და მონამორჩილი თქვენი. გრანელობა ახალფეხადგმული ზეიმობაა საბჭოური ინერციით, როცა წელიწადში ერთხელ ზიარებასავით გაგახსენდება ერისთვის ზეზეურად წამებული თვისტომი შენი.

მსოფლიო პოეზიაში ვერ იპოვით ტერენტი გრანელის ანალოგს, რომელსაც სულთან კომპრომისი არ დასჭირვებოდეს ესოდენ შეჭირვებული საწუთროს მიუხედავად.

ლექსის იშვიათი მცოდნე და თავადაც ჩინებული პოეტი მურმან ჯგუბურია პოეზიის მთავარი ძარღვის გამოვლენისას, დიადი უბრალოებისკენ გადაიხრება, რაც ესოდენად დამახასიათებელია აღმოსავლური პოეზიისათვის, გაჯერებულისათვის ჭრიჭინობელების კრუალით, იდილიური ბინდისპირულებით, შინმიბრუნებულს როცა ორღობეში მოლაზღანდარე გოგო-ბიჭები ვერ გიცნობენ და თანაც გაქირდვით სადაურობასაც გკითხავენ, საით არის სამშობლო შენიო. შენ კი ამ კრუალების გაბმულ ორკესტრში სამართებელივით შემოგეჭრება სულში: „ო, **ჭრიჭინების მდევნელო შვილიო, აწ რა უცნაურ ქვეყანაში შეგირბენია“**, და მიდის საუბარი იქითკენ, რომ იმ ველობის ბოლოს ბროლის ლარნაკივით ჩამოინაკვთოს სულიდან ხორცად ამონატანი სტრიქონები:

**„გაზაფხულის საღამოა მშვიდი,**
**ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი,**
**სული ნაპირს გადაცილდა ფრენით,**
**ახლაც მახსოვს მისამართი შენი.**
**ცამდე წვდება ღამეების სიგრძე,**
**დღეს სხვაგვარი სიხარული ვიგრძენ,**
**უცხო შუქით იმოსება არე,**
**მიწია ცქერით დაიღალა მთვარე.**
**გაზაფხულის საღამოა მშვიდი,**
**ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.**

ამ ლექსის წამკითხავს, ალბათ, ყოველთვის გაგვახსენდება კონგენიალური „მონანიება“ და მისი კამერტონი პერსონაჟი, რომელიც ფრთებდამსხვრეულია ბოროტებასთან ჭიდილში, და კვლავ კიზის პერსონაჟივით ყვითელი სახლის კედლებში უნდა აღესრულოს დასახელებული ლექსის ფრაგმენტის სასინანულო დუდუნით: **„გაზაფხულია საღამოა მშვიდი, ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი...“** მეტის გაგრძელება ნამდვილად არ ღირს, ამ ბეწო ესკიზში, სამყაროა ჩატეული. აქაც თვალნათლივ ილანდება ტერენტის სიჯიუტე და შეუპოვრობა საწუთროს ალტერნატიულ გაგებასთან: სიცოცხლე და სიკვდილი, ბოროტება და სიკეთე, ცაბაოთი და ბელზებელი. მას ხელს არ აძლევს საადამიანოს ამნაირი დარაიონება. მისთვის გამაღიზიანებელია ჯოხის ორბოლოიანობა. ამიტომაც ამოხეთქავს ვულკანივით: „არა **სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ — რაღაც სხვა“**. ეს ფრაზა რამდენადმე გახსნილია გრანელის ერთ ლექსში, სადაც საუბარია სამშობლოს ყრუ ადგილებზე და უცებ: „ახლა **რაღაც სხვა მინდა, რაღაც სხვა, უსახელო. რომ სიკვდილი მომელის ვიცი დანამდვილებით“**.



# „რაღაც სხვა უსახელო“

## ანუ ტერენტობა წალენჯიხის მუნიციპალიტეტში

2.



წალენჯიხის მუნიციპალიტეტი ახალგაზრდული შემადგენლობისაა. მისი გამგებელი გოგა გულორდავა იმ ასაკშია, როცა პიროვნებას მშობლიური მზრუნველობის კალთები მხრებიდან ჩამოუბერტყავს და დამოუკიდებლად შეჭიდებია უღრანში გზის გაკვლევას. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია გვარიანი ხანია გამოსულია მაჭრისდარი მოდუღილე მდგომარეობიდან და მიდის ახლა დაღვინების მარათონული პროცესი. მათ გავერანებულ-გაჩანაგებული სახალხო მეურნეობა ერგოთ სამეურვეოდ. მიუხედავად თავზესაყრელი პრობლემებისა, იმედისმომცემ საქმეებს აღძრავენ მთელს ლაკადაში. განადგურებული მეჩაიეობა ფეხს იდგამს. ენდემური ჯიშების განსაახლებლად გადადგმულია პირველი ნაბიჯები. მატულობს ზრუნვა ქართული ფუტკარის მოსაბევრებლად. ახლებური მიდგომებია, რომელიც ითვალისწინებს ტრადიციის გამოცდილების მეცნიერებასთან შეხამებას. წალენჯიხის მუნიციპალიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ფოლკლორული ხელოვნების გასაძლიერებლად. შემოქმედებითი სულით ყოველთვის გამოირჩეოდა ლაკადელი კაცი — უკვდავი „ბორჯის“ ავტორი დანიელ ფიფია, ძუძუმტისათვის თავდადებული ჰაკი აძბას მომღერალი ლეო ქიაჩელი, კინემატოგრაფი ძმები შენგელაიები, ტერენტი გრანელი ხომ არის და იქნება ქართველის კაცის გაუწყვეტელი შუბლის ძარღვივით ამაღლებული და მარადმშვენიერი.

მიუხედავად მწირი შესაძლებლობისა, მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა დანიელ ფიფიას პირველი სრულფასოვანი კრებული „ბორჯი“ (რედაქტორი **თამაზ ფიფია**). ამ წიგნით თვალნათლად დაიხატა გასული საუკუნის დამდეგის აუტანელი პოლიტიკური წნეხები, რომელიც შემდგომ დაუნდობელ ანგარიშსწორებაზე გადაიზრდება მთლად და კოლხ ბაირონად მონათლულ მის ავტორსაც ბომონივით შეიწირავს განუკითხავი რეპრესია. დანიელ ფიფია პირველია, ვინც მეგრულ ენაზე ლექსების შეთხზვას გაბედავს. მისი ესეისტური წერილები და პუბლიკაციები ნათელს ფენენ იმ პერიოდში სამეგრელოში კომუნისტების მიერ საგანგებოდ შემოგდებულ „მაფალუიზმის“ ბაცილას, „ჩხოუშიელების“ „ავტონომისტობას“, რომლის ვიბრაცია მთიან სამეგრელოსაც გადასდებია. და ამ დროს, ამ ძალად აგორებულ „მეგრელიზმების“, „ავტონომისტების“, „მაფალუიზმების“ დომხალში სანთელივით ანკარა ქართულით დაიარება საფლავ და საფლავ ტერენტი გრანელის გახუნებულპლაშიანი მოლანდება. მისი თვითნაბადი მოძახილი თავისუფალია პარტიკულარული აზროვნებით შებოჭილობისაგან, რომელი კუთხურობის გამო თარგმანის შთაბეჭდილებას ტოვებს განურჩევლად ყველას ლექსი — კონსტანტინე გამსახურდიასი, ალექსანდრე აბაშელის, სიმონ ჩიქოვანის; ალექსანდრე საჯაია გაექცევა ვითომ პროვინციალიზმის ამ არტახებს, მის სახიფათო მაგნიტიზმს: „საღამოთი **შველი გადამელობა, შვიდ წელიწადს მაძებნინა კვალი, სალოცავად ქართველობა მეყოფა, საფიცავად შენი თაფლის თვალიო“**, დაიფანდურებს და კიდევ ვახანგ ხარჩილავს გასაოცარი პოეტური ენერგია, რომლისთვის სიტყვა ქცეულა როგორც ბედისწერა (ს. სიგუა): **„უკანასკნელად ჩაქრა ვარსკვლავიც, უკანასკნელად ჩაქრა კაშკაშით, შუბზე ამაგეს და დროშასავით, ამაფრიალეს უცხო ლაშქარში. ვის წაჰყვა ჩემი ცოლი და ძაღლი, ნეტავ ვინ აღებს ბჭისკარს ჭრიალით, ჩემს ძვლებს გაჟვერილ თივაზე დაყრილს, ვისი ურემი მიაჩხრიალებს?! ქვეშ ვის უგია ჩემი ნაბადი, დევის ტყავივით ტანს რომ მეხვია, მტრის გუთნისდედა, ალბათ, მარაბდას — ხნავს და ჩემი ძე მისი მეხრეა. სამარადისო სხვამ დაიტოვა, მე მტვრიან ბინდში უნდა ვიარო, ცა — ნათხოვარი ლურჯი მინდორი — უფლიაგან ღამე სახეტიალოდ. ჩემი ფიალა აწ ვინ დასცალოს, ნორჩი ვენახი ვინ გამიხაროს, ანდა უმზეომ და უვარსკვლავომ, რით გავითენო, რით დავიღამო?! ვის ერდოზე ჰყეფს ერთგული ძაღლი, ან ვინ უნათებს ცოლი მზიანეთს?! ჩემს ძვლებს გაჟვერილ თივაზე დაყრილს, ვისი ურემი მიაჭრიალებს?!“** ეს განცდა ხალხური „მუხრანულის“ და გოგლას „ყივჩაღის პაემანის“ სარკისებური წაკითხვაა აკუტაგავას ნოველას მხარდამხარ „უსიერ ტყეში“, მათი შორეული ალუზიებით ნაკვები და ატყორცნილი, მაგრამ თავად ტერენტი ამ ყველაფერზე სინათლის სხივით დაშორებული მსოფლშეგრძნებაა.

შეუდარებელია ობუჯი, რომელმაც რამდენიმე გენიოსი აჩუქა დედასამშობლოს, უწინარესად ტყირპლიანი გვადის გამრანდავი ლეო ქიაჩელი, თავადის ქალი მაიას ბეჭდების ზღვათა ფენილებში მიმომფანტველი. მე ამ სოფლიდან იმერეთში განთესილ მეჯოგეს შემახვედრებს განგება — ვალიკო მესხიას თანამეცხედრე ნერგაძესთან ერთად. იმ რესპოდენტის გამხელილიდან ამოიზრდება ჩემს „მარტოსული ხეობის მახვშში“ ლაკადელი კომერსანტის ლევან მესხიას სახე, რომელიც ტარიელ გოლუას პროტაგონისტად გამოდგომია ლეო ქიაჩელს. ეს პიროვნება მარსელის კრამიტების გამოწრთობის დიდოსტატი ყოფილა თურმე და უეცრად ამისთანა კურიოზული სიტუაციაც შეკოწიწდება: ერთ მშვენიერ დღეს ბოლშევიკებისგან დევნილი მენშევიკი შემოეხიზნება ლევან მესხიას ქურახანას. სტუმარი ღვთისაა და მასპინძელიც ძველმანებში გამოაწყობს სირბილისაგან არაქათგამოცლილ დევნილს. მის ტანსაცმელს გადაინახავს, იარაღს გასჩაღებლად გამზადებულ ქურახანაში შეაწყობს. თავად ოტებულს საკრამიტე აყალო მიწის მოსაზელად ფეხებაკაეწახებულ ბიჭებში ჩააყენებს. ამასობაში ამოივაკებენ ბოლშევიკე-



ბი. საგულდაგულოდ გადაჩხრეკენ იქაურობას, მაგრამ მენშევიკის გზაკვალს ვერსად ჰკიდებენ თვალს. ეს წუთია და ლევან მესხიას ქურახანას კაცის თავის გადამბალთველი აბრაგები შემოეწყობიან. ახლა ბოლშევიკების განიარაღება გახდება საჭირო, მათი გარდერობის შეცვლა, მათი იარაღის ქურახანაში ჩატვირთვა. უკვე ბოლშევიკებიც ლევან მესხიას მოსამსახურე ბიჭებთან, მენშევიკთან ერთად ზილავენ ალიზს შიშველი ფეხებით. მოვლენ თავზე ხელაღებული აბრაგები, ჩაიჩხრიალებენ მასპინძლის უშურველად მირთმეულ ნიკოიას ოქროს მონეტებს, მენშევიკის ძაძამიძის ნაოსტატარ ქამარხანჯალს, ბოლშევიკების მოჭრაჭუნე აზიურებს. იპურმარილებენ მათ თვალწინ გასკდომამდე და უტევენ სამეგრელოს ულრანებისკენ.

არ აინტერესებს ტერენტი გრანელის კალამს შიშველი ზურგებით ერთმანეთს მიგლესილი მენშევიკ-ბოლშევიკების ნადური. და მაინც, მისაგანვე საჯილდაო ქვად გადმოგდებული „რაღაც სხვა", ჯერაც პასუხგაუცემელია.

3.

გრანელის სახლ-მუზეუმი 1987 წელს გაიხსნა მშობლიურ წალენჯიხაში. მისი ხელმძღვანელია ტერენტის დედის მოგვარე — ქალბატონი **ბროლისა ლუკავა**, რომელსაც მეუღლე და თანამშრომელი ასული კვირკველია ჰყავს. ტერენტის ნამოსახლარზე იმ წლებში მოკოხტავდა მემორიალური ობელისკი (ავტორები: **აბესალომ კვარაცხელია, ფრიდონ ფიფია**, რომელზეც ლადო ასათიანის სიტყვებია ამოტვიფრული: „ვიცი **დრო მოვა ჩემი გაგების, აქ უცხოვრის ტერენტი გრანელს, იტყვის და მშვიდად ჩაივლის მგზავრი"**. ცოტა მოგვიანებით კი მთელს ლაკადას ზეიმის წუთი დაუდგება: 2009 წელს ქალაქის ცენტრში აღიმართება შორეული ზეფირებისკენ მსწრაფველი გრანელის მონუმენტი, მიწიერი ცხოვრებით ნაწამები კაცის ანგელოზური ხატი მხრებზე მიწურული ფრთებით. ძეგლი ტორსის სტილშია გადაწყვეტილი, რადგანაც ულმობელმა საწუთრომ წააწყვიტა კიდურები მის ფაეტონ შვილს, როგორც სრულიად უსარგებლო რეკვიზიტები შორეულ სივრცეში მსწრაფველობისას (ავტორი, მოქანდაკე **უშანგი ქადაგიშვილი**).

კოპწია მუზეუმს ტერენტის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული მრავალი საინტერესო ექსპონატი შემოუკრიბავს. საკუთრივ მისი გამოცემების მხარდამხარ, შეხვდებით ტერენტის დიდი მეოხის, მწერალ ლერი ალიმონაკის ბიოგრაფიულ რომანს „კვირის წირვები", გივი ცქიტიშვილის მონოგრაფიას „ვიცი დრო მოვა ჩემი გაგების". მუზეუმში ინახება გრანელის დის შვილიშვილის საინტერესო გამოცემა რუსულ-ქართულ ენებზე „ცისფერი სიშორე"; მუზეუმის მშვებაა წალენჯიხელების ფინანსური მხარდაჭერით შექმნილი დოკუმენტური ფილმი ტერენტი გრანელზე (რეჟისორი — **მურმან ასიტაშვილი**). აი, ამწუთიერ, ათი ფერწერულ ტილოს შემოსწირავს ტერენტის სახლ-მუზეუმს პოეტის შემოქმედების დიდი ქომაგი, მხატვარი **რეზო ადამია**. აქვე გამომცემლობა „ივერიონის" დასტამბული წიგნის „უკვდავებაა სიკვდილში" ეგზემპლარები მოურთმევია მუზეუმისათვის, ღონისძიებას წვეული სტუმრებისთვის საჩუქრად. აქ გააცხადებს ბატონი რეზო შეკრებილი საზოგადოების დამაინტრიგებელს, რომ ფსიქიატრული საავადმყოფოს კედლებში ფორიაქისას პოეტს ხელისგულისოდენა რეცეპტის ქაღალდებზე, ასან-





თის კოლოფებზე რვაასზე მეტი მინიატურული ნახატი შეუქმნია. და მათგან მინიმუმ ასი შედევრიაო. მერე უცებ, ლამის მუდარით, თითებით ყელს გამოუწევს რაიონის ხელმძღვანელობას, ჩვეული გულისყური გამოჩინეთ მის გამოსაცემადო. მუნიციპალიტეტის გამგებელი **გიგა გულორდავა** და საკრებულოს თავმჯდომარე **თემურ ღვინჯილია** აღთქმასავით დადებენ პატიოსან სიტყვას ღონისძიების მონაწილეთა წინაშე, რომ სათანადო პროექტის წარმოდგენის შემთხვევაში მათგან წინადადებას მხარდაჭერა არ მოაკლდება.

ტერენტი გრანელის ბედისწერა არასდროს ყოფილა ხალხმრავალი. მის პროცესიას ათიოდე გულშემატკივარი მიაცილებდა სამუდამო გზაზე. და ახლა, დიდუბის პანთეონის მკვიდრს დროგამოშვებით მოაკითხავენ თაიგულები, იის კონები, მინდვრის ველური ყვავილები. კუკიის მისეული საფლავი პირღიაა თურმე დღემდე, როგორც პოეტის ნეშტის ნასახლარის ცოცხალი ძაგლი.

— აი, ახლა, ამწუთას ტერენტის დროებით საფლავს დიდუბის პანთეონში, სანთელს უნთებენ მისი შემოქმედების ტრფიალი ახალგაზრდები, — ამბობს სახლ-მუზეუმის დირექტორი, ქალბატონი **ბროლისა ლუკავა** და მობილურით მადლობას უხდის ამ ამაღლებული აქციის ორგანიზატორებს.

ქალბატონი ბროლისას სიტყვას „დროებით" ხელად აიტაცებს მწერალი ლაშა გვასალია და მთელი კატეგორიულობით განაცხადებს, რომ სახელმწიფომ იზრუნოს მთაწმინდის განსპეტაკებაზე — იმ ღვთაებრივი სომაღლიდან რამდენიმე პიროვნების ზირს მიწაზე ჩამოშვებისათვის და სანაცვლოდ იქ, ტერენტი გრანელის სამუდამო დამკვიდრებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამეგრელო, ლაკადა ვალდებულია სათანადო ღონისძიებები გაატაროს გენიოსი პოეტის ოდაბადეში ჩამოსასვენებლად.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გელა მამფორია** მოსხლეტილად მოხაზავს ტერენტი გრანელის ვერბალურ პორტრეტს და მადლობას სწირავს მისი შემოქმედების მოამაგეთ: განუმეორებელ ლერი ალიმონაკს, გივი ცქიტიშვილს, რეზო ადამიას, პოეტის სულში დანთქმული უჩინარი რიფების ყველასთვის საცნაურად ალმოცენების გამო. ჩემი მაჟორული ბუნება კი ნიადაგ ხელშესახებს,



მიწყივ ხორკლიანს, გრანიტივით მოუხეშავს და ბრდღვიალას ეძებდა მის პოეზიაში. ესპანური ექვსსიმიანი გიტარით გატაცებული მელოდიებს ვთხზავდი ხოლმე ადრეულ წლებში მის იდუმალებით დაყურსული სტრიქონების ასაჰანგებლად და დღემდე მიჟრიალებს მათი ხმიანება: „წითელი **მზე აელვარდა მინებთან, მიდის ჩუმი და ცისფერი ღამე, უნუგეშო გულის ძგერა მინელდა, შენ, წმინდაო, მაცხოვარო, ამინ!"** რაღაც-რაღაც და „რანაირი **ნაწამები მივალ, მიმაქვს ჩემით დაკრეფილი ხელები!"** ან იქვე მეზობლობაში „წმინდაო **ღმერთო, რად გამაჩინე, მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია**?!" დაბოლოს, გაცილებით შემძრავი და დამანგრეველი: „ჩემი სისხლი და ხორცი ეს **„Memento mori"-ა.**

მოგვიანებით ტერენტის თანამედროვეთა მოგონების ციკლს წარმოგვიდგენს ჰაეროვანი **სალომე კვირკველია**. იმ ვრცელი ტირადებიდან ჩემს მეხსიერებას განსაკუთრებით ესანდომება მივიწყებულ აკლდამაზე გართხმული ტერენტი გრანელი პოეზიაზე აგზნებული საუბრით. იგი ხომ გაუსაძლისი ხელმოკლეობის მიუხედავად მაღალესთეტიკური გემოვნებით გამორჩეულ გაზეთსაც გამოსცემდა — „კრონოსის სარკეს". იქ მისი ბრილიანტი სულის უმთავრესი წახნაგები იყო გამოკვეთილი, რომ მთავარი კატეგორია ხელოვანისთვის დროა, წამი დატყვევნილი, გნებავთ ქანდაკებად ქცეული საუკუნე.

ტერენტის ჩაცმულობას უწუნებდნენ ხელისუფლრბისგან ხელდასხმული კოლეგები და კიდეც იკენწლებოდნენ ისინი სხარტად მოქნეული შოლტივით სტრიქონებით: რომ უდიერად ჩაცმა პატარა ჯვარცმაა; რომ სადღაც ხარობენ, ალბათ, მისი პატარა მტრები; ჰყვებიან ასეთსაც; ფრანტ გრიგოლ რობაქიძეს ზურგზე შეახტება სიკვდილისფერი მაკენტოშიანი გრანელი. გვარიან ხანს არხეინობს ასე მოცქნაფული ტერენტი. ახალგაზრდების ჯგუფის წინაშე მენტორული ტონით მოსაუბრე დენდი კვლავინდებურად აინუნშიაც არ აგდებს უსადგოსო ნაცარქექიას ყურყუტს. ბოლოს მობეზრდება გრანელს თვინიერ ზურგზე ნებივრობა, ჩამოცურდება იქიდან, ხოლო რობაქიძე თეთრი ხელთათმანებით გადაიფერთხავს მხრებს, მახლობლად დაყუნცულ სანაგვე ყუთში გადაუძახებს და გაუტევს რუსთაველის ტროტუარს ტაატით.

ეს დარდიმანდული ჟესტიც ერთგვარი გასრესვაა პოეტისა, ქედმაღლური გადმოხედვა პარნასიდან, ღმერთების საუფლო ოლიმპოდან, რომელიც გოჯით მაინც უბიძგებს მის სულს ყვითელი სახლის კედლებისკენ. მაგრამ „ლამარას", „გველის პერანგის", მოგვიანებით ჰიტლერის მზედ და მუსოლინის მთვარედ შემრაცხავ ირუბაქიძის შთამომავალს „რაღაც სხვაზე" ნატამალი სიტყვა არ მოეპოვება. არც ღილკილოზე მიხაკგაჩრილ, დორიან გრეის ალკაზმულობის ტიციან ტაბიძეს და აღარც „ყივჩაღის პაემანში" ვარდის ფურცლობის ნიშნით აგოდებულ გიორგი ლეონიძეს. არავის, არცვინმეს მოუსიგრძეგანებია ცისქვეშეთში ამ „არამედ — რაღაც სხვის" გასაგისი. თუ სიკვდილს განველტვით და სიცოცხლესაც უკუვაგდებთ ამავდროულად, რა ციტადელი დაგვრჩენია კიდევ დაულაშქრავი?! ხელოვნებით წვა ხომ არა ნიადაგ?! მარადიული შესაქმე ხომ არა უფლისეული დღე პირველიდან დღე მეშვიდემდე, ვიდრე სფინქსის გამოცანის პერსონაჟი-ადამიანი დაიბადებოდეს, სანამ ცაბაოთი ბუდა შაკია მუნივით ნირვანას მიეცემოდეს. სად ვეძებოთ ამ გასაოცარი „არამედ — რაღაც სხვას" ტან-სხეული, როგორ დავადგინოთ მისი კოორდინატები?! და უცებ ძელსაკრავ ხის უროსავით მეხათქუნება თხემზე ატომური ტევადობის სიტყვა „ლაკადა", როგორც ადამიანად ყოფნის ოაზისი, კრიტერიუმი, ნიმუში, ნორმა.

მრავალი ჩინებული კუთხე მეგულება საქართველოში, ტრადიციით და მომხიბვლელობით დაბროლილი, მაგრამ წალენჯიხა ერთადერთია, წალენჯიხა მიუწვდომელია. ეს ის განცდაა, როცა აივანზე გამოხვალ და ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა გავლა მოგონდება უნებურად; იქნებ მთლად ეს არის **„რაღაც სხვა, უსახელო"**, კვირკველია, კვირიკეს უფალი, ტერენტი გრანელი.

**გური ოტობაია**

# კროსვორდი



**შვეულად:** 1. შიშის შიში. 2. სახელდახელოდ, წინასწარ მოუმზადებლად მოწყობა რისამე., 3. კომპიუტერის კომპლექტის ნაწილი. 5. შოტლანდიელი მამაკაცების ეროვნული სამოსი ქვედატანი. 6. იაპონიის უდიდესი გაზეთი. 8. თვალის რქოვანას თეთრი, გაუმჭვირი შემრღვევა. 9. საბავშვო გასართობი ბაღი თბილისში. 12. ჩოგბურთში მსაჯის თანაშემწე. 16. იგივეა, რაც სიფილისი. 17. ჩიტების გუნდის ხმიანობა. 19. ამ მეცნიერის სახელს ატარებს მოსკოვის სახ. უნივერსიტეტი. 21. ბერძ. მთოლოგიაში უკვდავი არსება, გიგანტი რომელიც ღმერთებს შეებრძოლა 24. ზამთრის კურორტი პოლონეთში. 25. რადიოაქტიური ქიმიური ელემენტი, გაზი. 26. მოსალოდნელი ამინდის წინდაწინ განჭვრეტა. 29. ინგლისური სპორტული ავტომობილი. 31. ძროხისებური ცხოველი, ბუნებრივად შემორჩა მხოლოდ რუსეთში. 33. ესპანეთის საფ. გუნდი ,,. . . სოსიედათი“.

**თარაზულად:** 4. ვულკანი ისლანდიაში. 7. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი. 9. ნიადაგის სარეველებისაგან დასაცავი სხვა და სხვა მასალები. 10. პატარა ტომარა. 11. ერთადერთი ქართველი ფეხბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი. 13. შვედური ავტომობილი. 14. ორ ან რამდენიმე ნივთიერების ურთიერთოქმედება, რომლის შედეგად წარმოიშვება ახალი ნივთიერება. 15. თვითმფრინავის კორპუსი. 18. წერილობითი მიმართვა ცნობილი მოღვაწის იუბილესთან დაკავშირებით. 20. დაცვაში მოთამაშე ფეხბურთელი. 22. ივ ... ლრრენი. 23. რიშელიეს მომდევნო კარნიდალი (გაიხსენეთ დიუმას ,,ოცი წლის შემდეგ“). 27. მთავარი ქრისტანული მღადელთმსახურება, ჟამისწირვა. 28. პატარა მდინარე. 30. პირველი რუსი პორნო მსახიობი ქალი ფილმში ,,პატარა ვერა“. 32. ბრტყელტერფიანობის საწინააღმდეგო საფენი ფეხსაცმელში. 34. ვიეტნამის ფული. 35. დიდი სპორტული შეჯიბრი.



1. სამხ. აფრიკის მკვიდრი მოსახლეობა
2. რისამე განვითარების გზა
3. ბრტყელი სხეულის გვერდითი სიგრძის ჯამი
4. ,,ამოკის“ ავტორი შტეფან . . .
5. მაღალი ტემპერატურა
6. მწირი, უნაყოფო ადგილი
7. პრეფერანსში დაბალი კარტი
8. ქიმიური ელემენტი
9. სამხრეთის მოპირდაირე მხარე
10. მეფის ტიტული მაჰმადიანურ სახელმწიფოში
10ა. იაპონიის დედაქალაქი
11. თევზსაჭერი გემი
12. ამერიკელი კომპოზიტორი . . . მილერი
13. უშვერად მოხუმარი
14. ფრანგი კომპოზიტორი ჰექტორ . . .
15. ჩუმი ჟღერადობა მუსიკაში
16. . . . კროუფორდი
17. რეჟისორი . . . სკოტი
18. სადურგლო ხელსაწყო
19. ეგვიპტის უზენაესი ღმერთი
20. უწვრილესი სისხლძარღვი
21. საიალქნო სპორტი
22. რუსული სატვირთო ავტომობილი
23. სიმებიანი მუს. საკრავი
24. ქლიავის სახეობა
25. შემდუღებელი სათვალე
26. პერანგის ძვ. შესატყვისი
27. მაგარი მინერალი
27ა. კუბელი მოჭადრაკე
28. ბოსტნეული
29. ქალაქი სიცილიაზე
30. ჰექტარის მეასედი საფრანგეთში
31. თბილისის უბანი
32. დასარტყამი ინსტრუმენტი
33. ენამოსწრებული, ოხუნჯი
34. ლულაზე წამოსაგები მჭრელი იარაღი
35. არც ცივი, არც ცხელი
36. ლიანდაგის სამაგრი განძელი
37. რძის პროდუქტი
38. ქვეყანა ფრიკაში
39. აღმ. ტკბილეული
40. რძიდან მიღებული ხის წებო
41. მამალი თხა
42. ცხენების გამოცვლა კავალერიაში
43. პრიზმაში გამავალი სხივების ფერადი ზოლი
44. დიდი ზომის ანტილოპა
45. იაპონელი მებრძოლი
46. კერძო მეურნეობა
47. ქვეყანა აზიაში
48. პორტუგალიური ღვინო
49. ვერტიკალრად მოძრავი მანქანა
50. ტროპიკული მცენარე
51. ფეხბურთელი . . . კოშტა
52. ვაშლის ჯიში
53. მსახიობი . . . ნისენი
54. მაგარი ქვა
55. ერთი ხელობის ოსტატთა გაერთიანება
56. მწვანილი





# ორხაზა კროსვორდი

| 2. ბარიუმის სულფიდი. | 4. უაზრო არეული ლაპარაკი. | 6. მუწუკი. | 8. ოდისევსი ჰყავდა 7 წ. გამოქაბულში. | 10. გარეული ფრინველი. | 12. დიდი ხე კერაზე. | 14. მოყვითალო ნაყოფიანი ხე. | 16. ღამის ფრინველი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|

| 1. ვაკე ადგილი დაბლობი. | 3. ფინელი მევიოლინე. | 5. სოფელი ოზურგეთში. | 7. ლობიოს ერთი მარცვალი. | 9. იგივეა, რაც კუში. | 11. ზვიო . . . | 13. დაკოდილი ცხენი. | 15. აკრძალვა ინდიელებში. |
|---|---|---|---|---|---|---|---|

# ბატონ ფარნა ლოლაძეს

## დაბადებიდან 80 წლისთავთან დაკავშირებით



— ნაღდ თელაველს გაუმარჯოს! გაუმარჯოს 80 წლის ამაგდარს, ქალაქის ღირსებას, თელაველ ყვავილების მინდიას გაუმარჯოს! — ისმოდა დარბაზში თელაველი საზოგადოების შეძახილები.

ფარნაოზ ლოლაძეს სამეგობროს წევრები პატიოსან შრომაში ჩამომარცვლულ 80 წლისთავს ულოცავდნენ.

იუბილარს კაცურ-კაცობაში გამოტარებული 80 წელი მიულოცეს თაობათა აღმზრდელმა, თელავის რაიონის განათლების განყოფილების ყოფილმა ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ლია მუმლაურმა, ძლიერ ამაღელვებელი იყო მისი დის — უსათნოესი თელაველი ქალბატონის დალი მუმლაურის გამოჩენა დარბაზში.

იუბილარს ესალმებოდნენ თელაველი პოეტები: ვაჟა-ფშაველას პრემიის ლაურეატი ფარნაოზ რაინაული, ცისანა თვალიაშვილი, მწერალი და ჟურნალისტი ზურაბ არსენიშვილი, ამაგდარი პედაგოგი ნათელა ქათამაძე, მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგი, პიანისტი ცინცინო მარკოზაშვილი, თელავის თეატრის ცნობილი მსახიობი ნონა ხუმარაშვილი. ამავე თეატრის მსახიობმა კარლო ქართველიშვილმა საკუთარი ლექსი უძღვნა ბატონ ფარნა ლოლაძეს და დიდის მოწიწებით და მოკრძალებით მიართვა საკუთარი ხელით შესრულებული ფერწერული ტილო — „თელავის ძველი ბაღის ულამაზესი პეიზაჟი ზამთარში“.

იუბილარს მიესალმა ახალგაზრდა პედაგოგი მანანა კევლიშვილი, ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველი ბიძინა დაჩაშვილი.

თელავის ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის პადაგოგმა ციცინო მარკოზაშვილმა ასეთი სიტყვებით მიმართა იუბილარს:

„თქვენ ბრძანდებით ბედნიერი ადამიანი, რადგან მთელი სიცოცხლე მშვენიერების სამსახურში გაატარეთ. თქვენ ბრძანდებით მხატვარი-დეკორატორი, ოღონდ მხატვარი არა ფუნჯით, არამედ ყვავილებით. თქვენი ხელოვნება, მზით გაჯერებული ხელოვნებაა. რამდენადაც, არც ერთ ხის ნერგს, ბუჩქს, არც ერთ ყვავილს არ შეუძლია მზის გარეშე არსებობა, ამდენად, თქვენ, თქვენი საქმიანობით ჩვენს ჩვეულებრივ ყოველდღიურ ყოფაში მუდამ შემოგქონდათ და დღესაც შემოგაქვთ მზის სითბო, სილამაზე და მშვენიერების განცდა. ძველ თელაველებს დღემდე გვახსოვს ქალაქის ცენტრში განთავსებულ გაზონებში, სკვერებში აელვარებული გლადიოლუსები, ნაირფერი ვარდები, უნაზესი პეტუნიები. ან რამ დაგვავიწყოს ზაფხულში, საღამოობით ნადიკვრის შესასვლელთან მოგებებული ღამის იის საოცარი სურნელი. ბატონო ფარნა, დიდი მადლობა თქვენ ამისთვის. თქვენ თქვენს საქმიანობაში ჩააქსოვეთ უდიდესი სიყვარული, ყველაფერს აკეთებდით უპრეტენზიოდ, ჩუმად, ხმაურის გარეშე. სწორედ ეს თავმდაბლობა, ეს ჩუმი მუშაკობაა პიროვნებაში დასაფასებელი. სწორედ თქვენნაირ ჩუმ და დიდი საქმის მკეთებელ ადამიანებს სჭირდებათ ყურადღება, მოფერება, მოსიყვარულება.

ნება მიბოძეთ, მეც მოგილოცოთ დაბადებიდან 80 წელი, გისურვოთ ყველაზე მთავარი — ჯანმრთელობა, სულის სიმხნევე, რათა ჩვეული ენერგიით კვლავაც ემსახუროთ თქვენს ქალაქს, თქვენს ხალხს“.

შეხვედრა იუბილართან საღონური მომხიბლველობით იყო გაჯერებული.

პატარა ნანიკო დიდი გრძნობით კითხულობდა ანა კალანდაძის ლექსს — „მებაღეო, ნუ დამტოვებ მარტო“!

ფარნაოზს რამდენჯერ უთქვამს, ზამთარში დიდთოვლობას, ძველ ბაღში რომ გავივლი, ახალგაზრდა, ჩამოთოვლილი ბუჩქები თითქოს შველას მთხოვენ და მე მაშინ მახსენდება ანას უკვდავი ლექსი — “მებაღეო, ნუ დამტოვებ მარტო!“

სულსა და გულს ესალბუნებოდა თელაველი მუსიკოსის ზურა ზაქარიაძის პაპას სიმღერები, ანსამბლ „წინანდლის“ წამყვანი სოლისტის დავით გაგანაშვილის მიერ უმაღლესი ოსტატობით შესრულებული „ურმული“.

საიუბილეო საღამო მადლიანი სიტყვით მოაგუმბათა ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა ქალბატონმა მაყვალა წიკლაურმა. მან თქვა:

— დილით სახლიდან რომ გამოვდივარ, თვალით ფარნას დავეძებ, დავეძებ ყვავილებში, ამწვანებულ სკვერებში, უფრო კი ახლადგაშენებულ გაზონებში, ვიცი, იქ იქნება, ის ხომ ჩვენთვის, თელაველებისთვის ქმნის სილამაზესა და მშვენიერებას. ეს ხომ მისი შინაგანი მოთხოვნილებაა. უფალმა ქვეყნად ამ მისიით მოავლინა.

ღვთის წყალობა და კარგად ყოფნა ნუ მოაკლოს ზენაარმა.

ბოლო სიტყვა იუბილარმა აიღო, ლაპარაკობდა ხმადაბლა, წყნარად, ხმაში აღელვება ეტყობოდა, თავს მაღლა ვერ სწევდა, ცრემლმორეულ თვალებს თუ მალავდა, პატარა ბავშვივით პირობას დებდა, კვლავაც გულითადად ვიზრუნებ მშობლიური ქალაქის ულამაზესი იერსახის კიდევ უფრო გამშვენიერებისთვისო.

უხვად მოიმკო ფარნა ლოლაძემ ნაამაგარი, მოიმკო თელაველთა სიყვარული და დიდი პატივისცემა, როგორც პატიოსანი შრომის პატივისმცემელმა კაცმა. საღამოს მონაწილეებმა ფარნა ლოლაძე აღიარეს, როგორც ქალაქის ღირსება.

**ლამარა იანვარაშვილი,**
**ქ. თელავი**


# სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს.



იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

**მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს.**
**მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:**
**ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)**
**ტელ: 557 358 900, 34 21 63**


# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



***„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი***
***მთვარისა კევლიშვილი.***
**ტელ.: 2 79 63 91;**
**0 790 60 64 69;**
**5 93 78 64 69**

* * *

**- რა შემთხვევაში შეუძლია ადმინისტრაციულ ორგანოს, უარი თქვას სამართლებრივ დახმარებაზე?**

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, არ აღმოუჩინოს სამართლებრივი დახმარება, თუ:

ა) ეს სცილდება მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს;

- ბ) სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა ზიანს აყენებს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ინტერესებს ანდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა განხორციელებას.

- ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანო უარს აცხადებს სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე, იგი ვალდებულია 3 დღის ვადაში წერილობით აცნობოს ამის შესახებ იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც თხოვნით მიმართა მას.

- ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის დავას სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ წყვეტს საერთო ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო ასეთის არარსებობისას — სასამართლო.

- ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, სარჩელი სასამართლოს წარედგინება მხოლოდ შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ზემდგომი ორგანოსაგან სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე წერილობითი უარის მიღების შემდეგ.

* * *

**- როგორ ხდება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა?**

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას. აუცილებელი არ არის, განცხადებაში მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი. სხვისი კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის თაობაზე განცხადების შეტანისას განმცხადებელი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წარადგენს შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებულ თანხმობას.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიეხდვით, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით, საჯარო დაწესებულების ელექტრონული რესურსების საშუალებით.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი მტკიცდება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

* * *

**- როგორ ხდება საჯარო ინფორმაციის გაცემა და ამ ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა სამართლებრივად?**

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;

ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;

გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10-დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება არ ათავისუფლებს საჯარო დაწესებულებას იმავე ან სხვა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში მისი დადგენილი წესით გაცემის ვალდებულებისგან.

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საჯარო დაწესებულების უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

2. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.

# სამშვილდე

სამშვილდე ერთ-ერთი უძველესი ისტორიული ციხე-ქალაქია აღმოსავლეთ საქართველოში ახლანდელი სოფელ სამშვილდის მახლობლად (თეთრი წყაროს რ-ნი), ისტორიულ ქვემო ქართლში. ქალაქი შემორჩენილია ნანგრევების სახით, მაგრამ თითოეული ქვა გვიამბობს, რომ წარსულში, ასეული წლების განმავლობაში სამშვილდე ისტორიული ქვემო ქართლის დიდი ქალაქი და საიმედო ციხე-სიმაგრე ყოფილა. იგი იბერიის პირველ ქალაქთა რიცხვს მიეკუთვნება. ძვ. წ-ის IV საუკუნეში სამშვილდე უკვე განთქმული ქალაქი იყო.

ქალაქი გაშენებულია ორი მდინარის, ჭივჭივასა და ხრამის (ქცია) შესართავში ბუნებრივად გამაგრებულ კონცხზე, რომლის ორი მხარე კლდოვანი, შვეული ხრამებია. სამშვილდე, ციცაბო ფერდობებიანი პლატო სამი მხრიდან ძალზე ძნელი მისადგომი იყო მტრისთვის, მეოთხე მხარე, რომელიც პლატოს გაგრძელებას წარმოადგენა, ჩასაკეტი იყო, ამიტომ, მთელ სიგანეზე მიუყვებოდა 5 მეტრამდე სისქის კედელი. მტრის შეტევაც სწორედ ამ კედელზე ხდებოდა. თუ მტერი ამ კედელს აიღებდა, შემდეგ ხვდებოდა ციხე, ისიც პლატოს მთელ სიგანეზე, ფერდობიდან ფერდობამდე გაშლილი. ციხე, რომელიც ფაქტობრივად ქალაქის ციტადელს წარმოადგენდა, გეგმით, დიდი ზომის ოთხკუთხედი იყო, თუმცა კედლების სისქე განსხვავდება, 2 ან 6 მეტრია. ანტიკურ საქართველოში მიღებული იყო სქელი კედლები, მაგრამ სამშვილდის მსგავსი სქელი კედლები სხვა არ





არის. ციხის მშენებლებს გაუთვალისწინებიათ, რომ მტრის თავდასხმები დასავლეთიდან იყო მოსალოდნელი და ამიტომ კედელიც ამ მხრიდან უნდა ყოფილიყო განსაკუთრებულად საიმედო.

ამჟამად ამ კედლის სიმაღლე 12 მეტრია, მაგრამ ეს მხოლოდ ის ნაწილია, რამაც ჩვენამდე მოაღწია, რომელსაც სიმაღლესთან ერთად ქონგურებიც ექნებოდა და იმდროინდელი ვერც ერთი კედლის სანგრევი მოწყობილობა ვერ შეანგრევდა – ფაქტობრივად, ფაქტი სახეზეა. კედელს მხოლოდ ერთგან ეტყობა ძირის გამოთხრის უშედეგო ცდა. მტერს არა ერთხელ აქვს აღებული ქალაქი, მაგრამ ჩანს, არა კედლიდან იერიშით...

შუა საუკუნეებში სამშვილდის ციტადელს მრავალჯერ განუცდია ცვლილება. გადაკეთებებიდან ადვილად ირჩევა XVII-XVIII საუკუნეების ფენა. ციხის შიგნით, ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ აუგიათ სასახლე და სხვა ნაგებობები, ხოლო შუა ნაწილში – აბანო. იმავე ხანებშია დამატებული დიდი ზომის კოშკები სამხრ-დასავლეთ და ჩრდ-დასავლეთის კუთხეებში. ამ კოშკების აშენებით ციხის მეპატრონემ სუსტი ადგილები, შემოსასვლელი კუთხეები გადაკეტა, შიდა მიმოსვლისთვის კი ერთ მათგანში ჭიშკარი დააყოლა. ნაქალაქარ სამშვილდეს რამდენიმე ათეული ჰექტარი უკავია და მთელი ეს ფართობი ნანგრევებითაა დაფარული.

ციტადელის დასავლეთი ნაწილი პლატოს გადამკეტ კედლამდე ქალაქის საცხოვრებელ კვარტლებს უკავია. დღესაც კარგად შეიმჩნევა ქუჩები და შესახვევები და აქა-იქ განლაგებული სასახლეები. მათი უმრავლესობა ორსართულიანია, მაგრამ არის სამსართულიანებიც.

სხვა ქართულ ქალაქთა უმრავლესობის მსგავსად, სამშვილდეც მეფეს ეკუთვნოდა, მაგრამ სხვადასხვა დროს მტრის ხელში გადადიოდა ხოლმე. XII საუკუნის დასაწყისში სამშვილდე თურქებს ეკავათ. დავით აღმაშენებელმა კარგად იცოდა სამშვილდის სტრატეგიულ-ეკონომიკური მნიშვნელობა, რომ სამხრეთიდან თბილისს იცავდა და სავაჭრო გზა მასზე გადიოდა, ამიტომ ბრძოლით წაართვა თურქებს. როგორც ისტორიკოსები გვაუწყებენ, ამ ამბავმა ისეთი თავზარი დასცა თურქებს, რომ ქვემო ქართლის რამდენიმე სხვა ციხეც დაცალეს და გაიქცნენ. თურქები ასე იოლად არ შეურიგდებოდნენ დამარცხებას და მართლაც, სულთანი დიდძალი ჯარით დაძრულა. მტერი ჩუმად შემოიპარა, მაგრამ ქართველებმა დროულად გაიგეს და ნაჭარმაგევის სასახლეში შეატყობინეს მეფეს. დავით აღმაშენებელს თან მხოლოდ 1500 მეომარი ახლდა, მაგრამ მაინც შეება მოწინავე ჯარს. თურქები არ ელოდნენ ქართველების საომარ მზადყოფნას და მთელი დღის შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ უკან დაიხიეს და საბოლოოდ გაიქცნენ კიდეც.

გვიან საუკუნეებში, როდესაც საქართველო მონღოლების, სპარსებისა და თურქების თარეშით დასუსტდა, სამშვილდეც დაქვეითებისკენ წავიდა. დაქუცმაცებულ ქვეყანაში იგი ხშირად იყო ადგილობრივი ფეოდალის ხელში.

XVI საუკუნეში ოსმალების მიერ მიტაცებული სამშვილდე 1683 წელს სვიმონ მეფემ ბრძოლით დაიბრუნა და შემდგომში მეფეთა საიმედო ციხე-სიმაგრედ ითვლებოდა, მაგრამ XVIII საუკუნის 40-იან წლების ბოლოს ორგული თავადების დახმარებით სამშვილდეში გამაგრდა ქართლის ბაგრატიონთა მემკვიდრე, ტახტის მაძიებელი აბდულა ბეგი (იასეს ძე). ერეკლე მეფემ დროზე შეიტყო, თბილისთან მოსულს წინ გადაუდგა და შავი დღე დააწია. აბდულა ბეგი გაიქცა და სამშვილდეს შეაფარა თავი. მეფემ იქაც შეუტია და 1748 წელს ციხე აიღო. აქედან მოყოლებული საუკუნის დასასრულამდე სამშვილდე მეფის საიმედო დასაყრდენი იყო. მის მიდამოებში მდებარე გამოქვაბულები, მენჰირები, ნამოსახლარები და ვრცელი სამაროვნები მიეკუთვნება ძვ.წ IV ათასწლეულის II ნახევარს. სამშვილდე იხსენიება ალექსანდრე მაკედონელის საქართველოში ვითარსი ლაშქრობასთან დაკავშირებით.

VIII-IX საუკუნეებში სამშვილდე თბილისის საამიროს ექვემდებარებოდა და მფლობელები „ნათესავით პიტიახშნი“ იყვნენ. IX საუკუნის ბოლოს ანისის სამეფო დაეუფლა. X საუკუნის ბოლოს სამშვილდე ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს დედაქალაქი გახდა. 1001 წელს სამშვილდე დაიპყრო გაგიკ I-მა. 1064 წელს სომეხთა მეფე კვირიაკე II-მ ტაშირ-ძორაკეთის სამეფოს ცენტრი სამშვილდედან ლორეში გადაიტანა. XI საუკუნის 60-იან წლებში სამშვილდე ბაგრატ IV-მ დაიბრუნა. 1110 წელს დავით აღმაშენებელმა სამშვილდე თურქ-სელჩუკებისგან გაანთავისუფლა და შემოიერთა. XII საუკუნეში სამშვილდეს ორბელთა ფეოდალური საგვარეულო ფლობდა და საქართველოს ამირსპასალარის რეზიდენცია იყო. ორბელთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ (1178წ) სამშვილდე უშუალოდ საქარველ მეფეს ემორჩილებოდა. XII-XIII საუკუნეების ქართულ და სომხურ წყაროებში სამშვილდე ეწოდება ციხე-ქალაქის მიმდებარე ტერიტორიასაც – „ყოველი სამშვილდე“. ქვემო ქართლის მრავალი ციხე-სიმაგრე ცნობდა მის პირველობას. XIII საუკუნეში მონღოლებმა „ჯერ ძლიერი და მაღალი ციხე სამშვილდე აიღეს და შემდეგ თბილისსაც მოადგნენ.“ 1440 წელს სამშვილდეს გარს შემოარტყა ჯეჰან-შაჰი. მან მოტყუებითა და მუქარით მისი აღება მოახერხა, შემდეგ კი სამშვილდის კარების წინ 1664 ადამიანის თავისგან მინარა დაადგმევინა. 9400 ტყვე წაიყვანა, ყველა ეკლესია დაანგრია და იქაურობა აოხრებული დატოვა.

## სამშვილდის სიონი

ციტადელის აღმოსავლეთ მხარეს სამი ეკლესია მდგარა, რომელთაგან გამოირჩევა შესანიშნავი გუმბათოვანი ტაძარი – სამშვილდის სიონი, აგებული XIII საუკუნეში. ტაძარი დანგრეულია, მაგრამ რაც არის დარჩენილი, ისიც საკმარისია მნახველის გასაოცებლად. შედარებით უკეთ არის შემონახული აღმოსავლეთი ნაწილი, რომლის ფასადზე დაცულ გრძელი წარწერის ფრაგმენტებსი მოთხრობილია ტაძრის ასენების ისტორია, მოხსენიებული არიან ისტორიული პირები – ბიზანტიის იმპერატორები კონსტანტინე V კოპრონიმე და ლეონ IV ხაზარი. ამ წარწერის საფუძველზე შესაძლო გახდა ტაძრის აგების ზუსტი თარიღის დადგენა 759-777 წლები, საქარტველოში არაბთა ბატონობის განსაკუთრებით სასტიკი ხანა. IV-VII საუკუნეების ქართულ არქიტექტურასთან სამშვილდის სიონი დაკავშირებულია ხუროთმოძღვრული დეტალების დამუშავების ხასიათით, მორთულობის სიმკაცრით, მკაცრი ფორმებით. ყველაზე მეტად სამშვილდის სიონი წრომის ტაძარს ენათესავება.



## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** – კვირის დასაწყისში ემოციურ გადაღლილობას იგრძნობთ, რაც გააძლებინებს ურთიერთობების დარეგულირების და საჭირბოროტო კითხვების დადებითი კუთხით გადაწყვეტას.

**კურო** – ეს კვირა თქვენთვის საკმარისზე მეტად დატვირთული იქნება. ამიტომ ყველა ცხოვრებისეულ პრობლემას სერიოზულად და ყურადღებით მოეკიდეთ. ნუ გამოავლენთ ხასიათის უარყოფით ნიშნებს.

**ტყუპები** – კვირის დასაწყისში წარმოქმნილი პრობლემები გარკვეულწილად გაგანერვიულებთ, რის გამოც, მოსალოდნელია კონფლიქტურ სიტუაციებშიც აღმოჩნდეთ ჩართული. შეეცადეთ იყოთ ზომიერი.

**კირჩხიბი** – არ იზარმაცოთ და არ მოდუნდეთ, რომ თქვენი გეგმებისა თუ საქმეების ჩაშლა არ მოხდეს. საჭიროა აქტიურად იმოქმედოთ და ნაბიჯ-ნაბიჯ წაიწიოთ წინ. გაფრთხილდით საუბრის დროსაც, რომ რაღაც მნიშვნელოვანი არ წამოგცდეთ და თქვენი სიტყვა მომავალში თქვენს წინააღმდეგ არ გამოიყენონ.

**ლომი** – მიმდინარე კვირაში მეტად მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრა მოგიწევთ – ამ საქმეთა უმრავლესობა კოლექტიურ საქმიანობასთან და მოგზაურობა-გადაადგილებასთან იქნება დაკავშირებული.

**ქალწული** – გირჩევთ, ამ კვირაში არ მოინდომოთ სერიოზული საკითხების გადაჭრა, ნურც რაიმე „გმირობის“ ჩადენას მოიწადინებთ, რადგან მოსალოდნელია, რომ მაქსიმალური ძალთა ხარჯვით მინიმალურ შედეგს მიაღწიოთ.

**სასწორი** – წარმატებით გააგრძელეთ ადრე დაწყებული საქმეები. მოგიწევთ უამრავი სასარგებლო შეხვედრა. მოსალოდნელია წინსვლა ცხოვრების მრავალ სფეროში.

**მორიელი** – მეტ-ნაკლებად სასიკეთო პერიოდი იქნება, გამოავლინეთ მეტი თავდაჭერა და ინტუიცია. კვირის ბოლოს შესაძლოა, თქვენთვის მნიშვნელოვან საკითხზე გარკვეულ შეთანხმებას მიაღწიოთ.

**მშვილდოსანი** – მოსალოდნელია, მოგეჩვენოთ, რომ საქმე ერთ წერტილზეა გაყინული და წინ აღარ მიდის, თუმცა ეს ასე არ არის.

**თხის რქა** – მოერიდეთ მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრას და არაფრისმომცემ საუბრებს. შესაძლოა, იმპულსურობა და მოუთმენლობაც გამოამჟღავნოთ, რასაც, ბუნებრივია, შეცდომების დაშვება მოჰყვება.

**მერწყული** – თქვენთვის ეს პერიოდი სასიკეთო იქნება. მნიშვნელოვნად გაძლიერდება თქვენი გონებრივი შესაძლებლობები, რაც ცხადია, თქვენს წინსვლას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

**თევზები** – შეეცადეთ, არ იყოთ უსაქმოდ და მიმდინარე პერიოდი ნაყოფიერად გამოიყენოთ. თქვენთვის მეტად პროდუქტიული იქნება კვირის დასაწყისი – იმოქმედეთ და დადებითი შედეგიც არ დააყოვნებს.

ISSN 2233-3983
9 772233 398001